გელა ირემაძე

რეგიონალიზმი და ინტეგრაცია

ლექციების კონსპექტური კურსი

ბათუმი 2014

შინაარსი

თემა 1 რეგიონალიზმისა და ინტეგრაციის განსაზღვრება

თემა 2 ინტეგრაციული პროცესების კვლევის თეორიული შეხედულებები

თემა 3 ინტეგრაციის თანამედროვე მოდელები

თემა 4 რეგიონალიზმი მსოფლიო პოლიტიკაში

თემა 5 ეკონომიკური ინტეგრაცია

თემა 6 საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ეტაპები, სფეროები და მექანიზმები

თემა 7 თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკული ასოციაცია

თემა 8 თანამშრომლობა წყნარი ოკეანის-აზიურ რეგიონში

თემა 9 ინტეგრაციული პროცესები სამხრეთ ამერიკაში

თემა 10 ინტეგრაციული პროცესები აფრიკაში და არაბულ სამყაროში

თემა 11ინტეგრაციული განვითარების მიმართულებები და პრობლემები დსთ სივრცეში

თემა 12 ევროპული ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების

თავისებურებანი თემა 13 დასავლეთ ევროპის რეგიონალიზაცია და

ინტეგრაცია

თემა 14 ევროკლავშირის რეგიონალური პოლიტიკა

თემა 15 საქართველოს ინტგერაცია ევროკავშირში

თემა 1

რეგიონალიზმისა და ინტეგრაციის განსაზღვრება

რეგიონალიზმისა და ინტეგრაციის განსაზღვრება

XXს. 60-იანი წლების მანძილზე, იმ ენთუზიაზმის ტალღაზე, რომელიც მოჰყვა რეგიონული ჯგუფების რაოდენობრივ ზრდასა და ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარებას, რეგიონები საერთაშორისო პოლიტიკაში განისაზღვრებოდა, როგორც „სახელმწიფოთა შეზღუდული რიცხვი, რომელთა კავშირსაც განაპირობებს გეოგრაფიული სიახლოვე და ურთიერთდამოკიდებულების მაღალი დონე. მათი დიფერენცირება კი შესაძლებელია სავაჭრო კავშირების განვითარების, ფორმალური ორგანიზაციების რიცხვისა და მნიშვნელობის, პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულების ხარისხის მიხედვით“ (Nye 1968: vii). ნაი მიიჩნევდა, რომ რეგიონალიზმისა და ინტეგრაციის პროცესი მოიცავდა მსოფლიოს მრავალ მხარეს და მას ხელს უწყობდა ახალი სახელმწიფოების - ყოფილი კოლონიების რიცხვის გაზრდა; დაძაბულობის შედარებითი განმუხტვა ზესახელმწიფოებს შორის; ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების აღმავლობა; მრავალმხრივი სავაჭრო რეჟიმის განმტკიცება; დასავლეთ ევროპის უმძლავრესი ქვეყნების დაახლოება ეკონომიკური ინტეგრაციის საშუალებით.

რეგიონალიზმის სასურველი განვითარებისათვის არ არის საკმარისი მარტოოდენ გეოგრაფიულ სიახლოვე და ეკონომიკურ ურთიერთდამოკიდებულება. სხვა ფაქტორებიც ასევე მნიშვნელოვანია რეგიონული პრობლემების გადაწყვეტის პროცესების განვითარების პოტენციური საფუძვლების შექმნისათვის. ეს არის ისტორიული გამოცდილება, ძალაუფლებისა და კეთილდღეობის გადანაწილება ჯგუფების შიგნითა და გარეთ, კულტურული, სოციალური და ეთნიკური ტრადიციები, იდეოლოგიური თუ პოლიტიკური არჩევანი - ყოველივე ზემოთქმულს შესაძლოა განსაკუთრებული მნიშვნელობა გააჩნდეს იმის გასაგებად თუ რატომ და როგორ სურთ მიიღონ აქტორებს გადაწყვეტილებანი რეგიონულ დონეზე.

მიუხედავად ამისა, რეგიონალიზმი შესაძლოა გარკვეულწილად განსასაზღვრად მონოლითური კონცეფცია იყოს. ზოგიერთი მკვლევარი მოითხოვს, რომ იგი დავანაწილოთ სპეციფიკურ და კონკრეტულ ტიპებად (Hurrel 1995). ამ გზით ჩვენ

შეგვიძლია რეგიონალიზმის მნიშვნელოვანი ვარიაციების იდენტიფიცირება. ვარიაცია, მაგალითისათვის, შეიძლება აიხსნას სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების დონის ზრდის თვალსაზრისით; იმ სივრცით, რომელშიც ცალკეული ფასეულობები და კულტურული ტრადიციები განაგრძობენ არსებობას; ფორმალური ინსტიტუციონალური წესრიგის განვრცობის ხარისხით; იმ გეოგრაფიული გარემოთი, რომელშიც რეგიონული დაჯგუფება გამოხატავს თანმთხვევ იდენტურობას. მთავრობები და სახელმწიფოები შეიძლება იყვნენ უმთავრესი აქტორები ზოგიერთ რეგიონულ დაჯგუფებაში, სხვებში კი უფრო მნიშვნელოვან აქტორებს შეიძლება წარმოადგენდნენ კორპორატიული და ეკონომიკური ინტერესები. ზოგიერთი რეგიონული დაჯგუფების მიზანი შეიძლება იყოს უპირველესად ინტრარეგიონული ვაჭრობისა და ინვესტირებისაგან მაქსიმალური ეკონომიკური მოგების მიღება, სხვების დანიშნულებას კი შეადგენდეს თავდაცვასა და უსაფრთხოებაზე ზრუნვა, ანდა სოციალური და კულტურული ტრადიციების დაცვა.

რეგიონალიზმი შემდეგ ტიპებად შეიძლება ჩამოყალიბდეს:

- რეგიონალიზმი, როგორც პროცესი, რომელიც გულისხმობს არაფორმალური კავშირებისა და ურთიერთქმედების გაზრდას. იგი უპირველესად ეკონომიკური აქტიურობიდან გამომდინარეობს, მაგრამ ასევე მოიცავს სოციალურ და პოლიტიკურ ურთიერთკავშირს.
- რეგიონული ცნობიერება და იდენტურობა, როდესაც ისტორიული, კულტურული და სოციალური ტრადიციების თანთმხვევა თვალსაჩინოს ხდის გარკვეული საზოგადოებისადმი კუთვნილების გრძნობას.
- რეგიონალიზმი, როგორც სახელმწიფოთაშორისო კოოპერაცია: სახელმწიფოებმა ან მთავრობებმა, საერთო პრობლემების გადაწყვეტისათვის, შეიძლება მიაღწიონ შეთანხმებებსა და მოახდინონ მოქმედებათა კოორდინაცია, რათა „დაიცვან და გააძლიერონ სახელმწიფო და მთავრობის ძალაუფლება“.
- სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი რეგიონული ეკონომიკური ინტეგრაცია ხშირად რეგიონალიზმის ყველაზე საერთო ფორმას წარმოადგენს. მთავრობები და ბიზნესის ინტერესები ხელს უწყობენ ეკონომიკურ ინტეგრაციას, რაც იწვევს ვაჭრობის ლიბერალიზაციასა და ეკონომიკურ ზრდას.

ოთხი პირველი პროცესის კომბინაციამ უნდა გამოიწვიოს მტკიცე და კონსოლიდირებული რეგიონული გაერთიანების წარმოქმნა. ამგვარად პოლიტიკურად უმაღლეს დონეზე დაკავშირებულ დაჯგუფებამ შეიძლება იტვირთოს უმნიშვნელოვანესი როლი როგორც შიდა გარემოში, ისე გლობალურ პოლიტიკაში“

ინტეგრაცია

ინტეგრაცია – გლობალური პოლიტიკის თანამედროვე ტენდენცია

უკანასკნელი 50 წელია, რაც ცნება „ინტეგრაცია“ გახდა მსოფლიო პოლიტიკური ლექსიკონის განუყოფელი ნაწილი. თავდაპირველად ამ ტერმინით ხდებოდა დასავლეთ ევროპული ქვეყნების გაერთიანების პროცესების დეფინიცია. დღეისათვის კი ცნება „ინტეგრაცია“ გამოიყენება სხვადასხვა რეგიონებში სახელმწიფოებს შორის არსებული აქტიური ურთიერთთანამშრომლობის პროცესების აღსანიშნავად. საყოველთაოდ ცნობილი ევროკავშირის გარდა არსებობს ინტეგრაციული ხასიათის რამდენიმე ბლოკი, როგორიცაა ასეანი და დსთ, რომლების რეგიონალური ინტეგრაციის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენენ.

ინტეგრაციული პროცესების კვლევას განსაკუთრებულად მნიშვნელოვანს ხდის ის ფაქტი, რომ მის ყურადღების ცენტრში ექცევა თანამედროვეობის ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები, როგორიცაა სახელმწიფოთა უკონფლიქტო თანაცხოვრების უზრუნველყოფა, ეფექტური ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარება, თანამედროვე სახელმწიფოს ფუნქციების, ეკონომიკასა და პოლიტიკას შორის ურთიერთქმედებათა ნორმალიზაცია.

ტერმინი ინტეგრაცია (integrace) ლათინური სიტყვაა და აღნიშნავს ერთგვარ მთლიანობას, სტრუქტურას, სრულყოფილება[1]. ცნება ინტეგრაცია, ისევე როგორც თვით ინტეგრაციელი პროცესი პოლიტიკურ ლექსიკონში გამოჩნდა XX საუკუნის 20–იან წლებში და განსაზღვრავდა „სწავლებას ინტეგრაციული პროცესების შესახებ“[2]. ეს ტერმინი პირველად ხალხთა, სახელმწიფოთა გაერთიანებებისა და სოციალურ–პოლიტიკური ურთოერთობების დეფინიციის მიზნით გამოიყენეს გერმანელმა მეცნიერებმა რ.შმედმა, ხ.კელზენმა და დ.შინდლერმა, თუმცა ეკონომიკური ურთიერთობების ნაკლებად განვითარებამ ხელი შეუშალა ამ იდეის შემდგომ რეალიზაციას.

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ტერმინი „ინტერგაცია“ გამოიყენებოდა სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობის ისეთი ფორმების აღნიშვნისათვის, როგორიცაა ეკონომიკური, ტექნიკური და სამხედრო თანამშრომლობა. რაც შეეხება ცნება „ინტეგრაციის“ დეფინიციას, მას არც სამეცნიერო ლიტერატურაში და არც პრაქტიკულ გამოყენებაში ორი ერთნაირი განსაზღვრება არ ეძებნებოდა, რადგან ამ პერიოდისათვის

---

[1] ИНТЕГРАЦИЯ В ТЕОРИИ МЕЖДУНАРОДНЫХ ОТНОШЕНИЯХ: ОБЗОР СОВРЕМЕННЫХ ПОДХОДОВ *Р.В. Бугров*, ., 2005

[2] Современный словарь иностранных слов: 20 000 слов. - М., 1992.

არსებობდა ინტერგაციული პროცესების მრავალი ტიპები და მოდელები, რომლების ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა თავისი მიზნებით, ფუნქციებითა და სახელმწიფოთა ეროვნული ინტერესებით.

დღეს საერთაშორისო გამოცდილების ანალიზს მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ისეთი საერთო მიზნების მიღწევა, როგორიცაა მშვიდობის შენარჩუნება, უსაფრთხოება, კეთილდღეობის ზრდა, ეკონომიკური თანამშრომლობა და სხვა, წარმოადგენს ინტეგრაცული პროცესების განმსაზღვრელ მთავარ კრიტერიუმს. ინტეგრაციული პროცესები, როგორც მსოფლიო პოლიტიკის განმავითარებელი ერთერთი ძირითადი ფაქტორი უწყვეტი განვითარებისა და ცვლილების რეჟიმშია. მათ უწყვეტად შეაქვთ კორექტირება თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში და ქმნიან ახალ პოლიტიკურ რეალობას. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს კასპიის რეგიონსა და სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე ინტერგაციული პროცესები, რომელთა ხასიათსაც აქ განხორციელებული და მომავალში დაგეგმილი ფართომასშტაბიანი საერთაშორისო პროექტები განაპირობებს.

ინტეგრაციის კონცეფცია უფრო რთული ჩამოსაყალიბებელია. ინტეგრაცია შეიძლება გაგებული იყოს როგორც პირობა ან პროცესი, როგორც აღწერა სისტემისა უკვე არსებული ელემენტებით; ანდა გამოყენებული იყოს იმის ასახსნელად, თუ რატომ არსებობს გარკვეული პოლიტიკური სისტემა და რატომ ვითარდება იგი ამა თუ იმ მიმართულებით.

ინტეგრაცია – ეს არის განსაკუთრებული ეტაპი ინტერნაციონალური სამეურნეო ცხოვრების პროცესში, რომელიც მიიწევს ახალი ხარისხის შექმნასთან – რამოდენიმე სახელმწიფოს სამეურნეო კომპლექსის განპირობებული მთლიანობა (ერთგვაროვანი, შინაგანად შერწყმული სამეურნეო მექანიზმი).

ინტეგრაციის ნიშნები:

- ნაციონალური საწარმოო პროცესების ურთიერთშეღწევა და გადახლართვა;
- ამ ფუძეზე ხდება ღრმა სტრუქტურული ცვლილებები ქვეყანა-მონაწილეების ეკონომიკაში;
- ინტეგრაციული პროცესების საჭიროება და მიზანმიმართული რეგულირება; სახელმწიფოთაშორის (ზენაციონალური ან ზესახელმწიფოებრივი) სტრუქტურების (ინსტიტუციონალური სტრუქტურების) წარმოშობა.

ინტეგრაციის პირობები:

1. განვითარებული ინფრასტრუქტურა;
2. მთავრობის პოლიტიკური გადაწყვეტილებების ქონა (ინტეგრაციისთვის პირობების შექმნა – პოლიტიკური და ეკონომიკური ბაზა);

ინტეგრაციის დონეები:

1. მაკროეკონომიკური (სახელმწიფო დონე);
2. მიკროეკონომიკური (ფირმებს შორის – ტრანსნაციონალური კომპანიები).

ინტეგრაციის უპირატესობები:

1. ბაზრების სიდიდის გაზრდა – ეფექტი წარმოებების მასშტაბისაგან (ქვეყნებისთვის ნაციონალური ბაზრის მცირე ტევადობით), ამ საფუძველზე საწარმოს ოპტიმელური სიდიდის განსაზღვრის აუცილებლობა;
2. იზრდება კონკურენცია ქვეყნებს შორის.
3. ვაჭრობის უკეთესი პირობების უზრუნველყოფა.
4. ვაჭრობის გაფართოება ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პარალელურად.
5. მოწინავე ტექნოლოგიის გავრცელება.

უარყოფითი შედეგები:

1. უფრო მეტად ჩამორჩენილი ქვეყნების ამას მიყავს რესურსების (წარმოების ფაქტორების) უკუდინებისკენ, მიმდინარეობს გადანაწილება უფრო ძლიერი პარტნიორების სასარგებლოდ.
2. ოლიგოპოლური შეთანხმება ტრანსნაციონალური კომპანიების ქვეყანა-მონაწილეების შორის, რასაც მივყავართ ფასების ზრდისკენ.
3. საწარმოების მასშტაბების გაზრდის გამო, ძლიერი კონცენტრაციის დროს დანაკარგების ეფექტი.

საყურადღებოა ინტეგრაციის შემდეგი სახით განსაზღვრება: „მანამდე ავტონომიურად არსებულ ერთობებს შორის ურთიერთქმედების ინტენსიური და მრავალმხრივი კავშირების შექმნა და შენარჩუნება. ეს კავშირები თავისი ხასიათით ნაწილობრივ შეიძლება იყოს ეკონომიკური, ნაწილობრივ სოციალური, ნაწილობრივ კი პოლიტიკური: პოლიტიკურ ინტეგრაციის თან ახლავს ეკონომიკური და სოციალური ურთიერთქმედების მაღალი დონე” (Wallace, 1990: 9).

ინტეგრაცია შეიძლება ატარებდეს როგორც **ფორმალურ** ხასიათს - რაც გამოიხატება პოლიტიკური გადაწყვეტილებებით, ისე შეიძლება გამოიხატოს **არაფორმალური** ცნებებით - რაც გულისხმობს ურთიერთქმედებას ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ სფეროებში. მსოფლიო რეგიონებს შორის ინტეგრაცია შეიძლება იყოს კომპლექსური და მრავლმხრივი პროცესი, რომელშიც ჩართულნი არიან აქტორთა სხვადასხვა ტიპები. ეს აქტორები მოქმედებენ

საზოგადოებრივი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროებში და ასევე არიან ამ სფეროების დამაკავშირებელნი.

კონცეპტუალური მიდგომები ინტეგრაციის მიმართ

საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის **პლურალისტული** ტრადიცია მოიცავს არა მხოლოდ ეროვნულ სახელმწიფოებს, არამედ სხვადასხვა სახის აქტორებსაც, რომლებიც ჩართულნი არიან პოლიტიკურ მოღვაწეობაში. ამ ტრადიციის მიხედვით, კარლ დოიჩი ამტკიცებს, რომ კომუნიკაციების და ურთიერთქმედების (ტრანსაქციის) ზრდამ სხვადასხვა აქტორებს შორის შეუძლია გაამყაროს ტრანსნაციონალური პოლიტიკური საზოგადოების კავშირები (ინტეგრაცია) და გამოიწვიოს**„უსაფრთხოების საზოგადოების“** შექმნა, რომლის საფუძველს წარმოადგენს მშვიდობიანი თანამშრომლობისა და ურთიერთობის სურვილი.

მეორეს მხრივ, **რეალისტური ტრადიცია,** ინტეგრაციის ამხსნელ ფაქტორად სტრუქტურულ პირობებს მიიჩნევს. ნეორეალისტური და ნეოლიბერალური შეხედულებებით, ინტეგრაცია უნდა განისაზღვროს უტილიტარული ტერმინოლოგიით, ანდა სხვა სიტყვებით, გარკვეული დაჯგუფება ერთიანობას აღწევს იმ მიზნით, რათა მისმა წევრებმა საკუთარი პოზიციები გაამყარონ და ძალა გაზარდონ სხვა ერთობის წევრებთან მიმართებაში.

საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინა მიუთითებს რეგიონალიზმის განვითარების ეფექტურობაზე მშვიდობისათვის, სტაბილურობისა და წესრიგისათვის. რეგიონალიზმისა და ინტეგრაციის შესწავლა დაკავშირებულია იმ პრობლემებთან, თუ როგორ შეიძლება გადაწყდეს კონფლიქტები, განვითარდეს თანამშრომლობა და შენარჩუნდეს სტაბილურობა. ძალაუფლებისა და ალიანსების ტრადიციული ბალანსის თეორიებით ყურადღება გამახვილებულია წესრიგისა და უსფართხოების შენარჩუნებაზე (რეგიონული) თავდაცვითი კოალიციების ჩამოყალიბებით და ერთმანეთის მიმართ „ბალანსირებადი“ სამხედრო შემძლეობებით. გასული საუკუნეში, ომთაშორის პერიოდში, გლობალური კოლექტიური უსაფრთხოება და მრავალფუნქციანი საერთაშორისო ორგანიზაციის შექმნა უფრო სასურველი ჩანდა, ვიდრე „ზემალაზე“ დამყარებული აგრესიული რეგიონალიზმი. 1945 წლიდან საერთაშორისო ურთიერთობებში დომინირებდა ბიპოლარული ქიშპი და დაპირისპირება, რამაც უცილობლად გამოიწვია ამა თუ იმ ბანაკთან რეგიონული დაკავშირება. მნიშვნელოვანი გამონაკლისი იყო მიუმხრობლობის მოძრაობა, რომლეიც 50-იან წლებში წარმოიქმნა და მიზნად ისახავდა ზესახელმწიფოებზე დამოკიდებულების შემცირებას. დასავლეთ ევროპის წარმატებული კოოპერაცია და

ინტეგრაცია მთლიანად იყო მხარდაჭერილი აშშ-ის მიერ ფინასური და თავდაცვითი ასპექტებით. იმავდროულად კი მოხდა აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნების ძალადობრივი მიერთება საბჭოთა ბლოკთან.

1989 წლის შემდეგ გლობალური პოლიტიკა ცვალებადი და მრავალპოლუსიანია. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა თეორია პირველ რიგში იმის გარკვევას ისახავს მიზნად, თუ რამდენად შეუძლიათ ან არ შეუძლიათ ინსტიტუციონალიზებულ კოოპერაციულ რეგიონული ჯგუფებს გახდნენ მშვიდობიანი მრავალპოლუსიანი საერთაშორისო სისტემის ინტეგრალური ელემენტები. რეგიონული თანამშრომლობისა და სტრუქტურების განვითარება ხშირად აიხსნება, როგორც უტილიტარისტული და სახელმწიფოს მიერ წარმართული პროცესი, რომელიც სახელმწიფოებს საშუალებას აძლევს მიაღწიონ მოთხოვნების ჰარმონიზაციას გლობალური პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებების პირობებში. ნეორალისტური-ნეოლიბერალური დებატები საერთაშორისო ურთიერთობების შესახებ მიმდინარეობს იმის თაობაზე, თუ რამდენად გააჩნია უნარი რეგიონულ თანამშრომლობასა და დაჯგუფებებს იყვნენ ეფექტური და სანდო იარაღი წესრიგისა და მშვიდობის შესანარჩუნებლად. დებატები საერთაშორისო ურთიერთობების თეორიის განვითარების მიმართულების შესახებ საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ თანამშრომლობისა და კავშირების მნიშვნელოვან მახასიათებლებზე, როგორიცაა ურთიერთნდობა, კეთილდღეობის გადანაწილება თანამშრომლობის გზით; პროპაგანდა, რომლის მიზანიცაა დაჯგუფების წევრთა ურთიერთობის პროცესში უნდობლობის მოსპობა; და ასევე ის, თუ რამდენად შეიძლება იყოს შეთანმხმება, გამაგრებული ინსტიტუციონალიზაციის მაღალი დონით, მისი წევრებისაგან ავტონომიური და დამოუკიდებელი ქმედების საშუალება.

საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის შესწავლა აჩვენებს, რომ ეკონომიკური და ტექნოლოგიური ცვლილებები შეიძლება გახდეს გლობალური პოლიტიკური ცვლილების კატალიზატორი. ამ პერსპექტივიდან, „ნაციონალური“ ეკონომიკის ინტეგრაცია და კორპორატიული აქტიურობა შეიძლება გამოჩნდეს, როგორც რეგულირების სტრატეგია მოუწესრიგებელ და მეტად მგრძნობიარე გლობალურ ეკონომიკაში. ამასთანავე საერთაშორისო ურთიერთობათა დისციპლინის დიდი ნაწილი ტერიტორიული სუვერენული ძალაუფლების კონცეფციების ერთგული რჩება. ამ შემთხვევაში კი შეიძლება პრობლემები წარმოიქმნას იმ მიზეზით, რომ „დამოუკიდებელი სახელმწიფოს არსებობის ლოგიკა და აპარატი არ არის ტრანსნაციონალური ინტეგრიზმის - ეკონომიკურისა თუ პოლიტიკურის - ხელშემწობი;

მაგრამ ნეოფორდიზმის შედეგებმა აიძულა მრავალი ქვეყანა განევითარებინა სხვადასხვა სახის კოოპერაციული სტრატეგიები“.

„ტერმინი ნეოფორდიზმი გამოიყენება კაპიტალის ინვესტირებას, წარმოების პროცესებს, საწარმოო ძალების იმ შეცვლილი ურთიერთობების გამოსახატავად, რომლებიც აღარ თავსდება ტრადიციულ ჩარჩოებს. ეს ცვლილებები ასოცირებული დომინირებად გლობალურ ეკონომიკურ ან კულტურულ ნიმუშებთან და ასევე ორიენტირებულია რეგიონში არსებულ დინამიკასა და იდენტურობაზე.“

საკვანძო საკითხები

- თუკი ჩვენ გვსურს კარგად გავიგოთ როგორ და რატომ ვითარდება რეგიონალიზმი, რეგიონალიზმისა და ინტეგრაციის საბაზისო პირობებს - გეოგრაფიულ სიახლოვესა და ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების მაღალ დონეს - უნდა დაემატოს მნიშვნელოვანი ისტორიული, პოლიტიკური და კულტურული ფაქტორები,.
- ამ ფაქტორების ურთიერთზემოქმედება იწვევს რეგიონალიზმის სხვადასხვა ტიპების წარმოქმნას. სხვადასხვა სახის ფორმალური სტრატეგიები და არაფორმალური პროცესები მეთოდურად და თანდათანობით ახორციელებენ ინტეგრაციულ პროცესებს რეგიონის შიგნით და ქმნიან მნიშვნელოვან განსხვავებებს რეგიონულ დაჯგუფებებს შორის.

საერთაშორისო პოლიტიკის შესწავლა ხასიათდება მრავალი სხვადასხვა თეორიული მიდგომით, ზოგიერთი მათგანი მნიშვნელოვანია იმის გასარკვევად, თუ რას ვგულისხმობთ რეგიონული იდენტურობისა და თანამშრომლობის განვითარებაში და როგორ შევისწავლით მას. გასულ ათწლეულში ღრმა და სწრაფი ცვლილებები ეკონომიკურ პროცესებში, კაპიტალში, კულტურასა და პოლიტიკაში ინტერპრეტირებული და გაგებული სხვადასხვა გზით სხვადასხვა რეგიონული დაჯგუფებების მიერ. საერთაშორისო ურთიერთობათა თეორია იწყებს მათ მიმართ ადაპტირებას.

გლობალიზაციის პროცესი მოიცავს კაპიტალის, ვაჭრობის, ინფორმაციის, ტექნოლოგიების სწრაფ ტრანსნაციონალიზაციას. მსოფლიო სულ უფრო პატარა ხდება. მიუხედავად ამისა, ადამიანური რესურსები და სოციალური ზნე-ჩვეულებები უფრო ნაკლებად ხშირად არის ტრანსნაციონალური ფენომენი. გლობალიზაცია, რომელშიც დომინირებს დასავლური კორპორატიული იდენტურობა, ხშირად აღიქმება ადგილობრივი წესებისა და საზოგადოებებისავის საფრთხედ. რეგიონალიზმი და და ინტეგრაცია შეიძლება ხშირად აღქმული იყოს და გახდეს „ლოკალური“ იდენტურობისა

და ფასეულობების დაცვისა და გამდიდრების მექანიზმი. მაგალითად, ევროკავშირის შიგნით, დავა წევრ სახელმწიფოებს შორის წამოიჭრება საერთო სოციალურ უზრუნველყოფაზე, ასევე კორპორატიული ინტერესების გამომუშავებაზე კავშირის შიგნით ან მის გარეთ „იაფი ფასების“ ქვეყნებიდან საქონლისა და მუშახელის გადაადგილებაზე. იმავე ევროკავშირის შიგნით საფრანგეთის მთავრობა გამოხატავს უკმაყოფილებას აშშ-ის კინოინდუსტრიის შემოჭრით ევროპაში, რასაც დამღუპველი შედეგები აქვს ადგილობრივი ევროპული პროდუქციისათვის კინოს, მუსიკის, კულტურის სფეროებში. ყოველივე ეს მეტად მნიშვნელოვან ელემენტად იქცა აშშ—ევროკავშირის კონფლიქტისას ურაუგვაის GATT-ის რაუნდზე..

კონფლიქტების წარმოქმნის პოტენციალი სულაც არ მოსპობილა მაღალ დონეზე ურთიერთდამოკიდებული გლობალური სისტემის შექმნით, მაგრამ რეგიონალიზმი და ინტეგრაცია ხელს უწყობს სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობებს ჩამოყალიბება-განვითარებას ლოკალურ დონეზე და, ზოგიერთ შემთხვევაში, იწვევს ტრადიციულ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებში მშვიდობას და კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარებას.

აუცილებელია აღნიშნოს, რომ მსოფლიო პოლიტიკის დიფუზია და დეცენტრალიზაცია იწვევს არა არასტაბილურობას სისტემაში, არამედ ამჟამად ამაგრებს მის სტაბილურობას, ამჟღავნებს მოქნილობას და ადაპტირებადობის უნარს მსოფლიო სისტემისადმი მაკრო დონეზე... ახალი მსოფლიო წესრიგის უმთვარესი ნიშან-თვისება, მაგალითისათვის, ერთის მხრივ უნდა იყოს ლოკალური და რეგიონული კონფლიქტების განმუხტვა, ხოლო მეორეს მხრივ კონფლიქტების სტაბილიზაცია მთლიანად სისტემაში“.

ამ პერსპექტივით, რეგიონალიზმი და ინტეგრაცია არა წარმოადგენს მხოლოდ სახელმწიფოთა ინტერესების შეჯერების იარაღს, ლოკალური უსაფრთხოების შექმნის საშუალებას ანდა ლოკალური იდენტურობისა და წესების დაცვის გზას გლობალური ცვლილებების წინააღმდეგ, არამედ ასევე ცივი ომის შემდგომ პერიოდში ხდება მსოფლიო წესრიგის სტაბილურობის ხელშემწყობი მნიშვნელოვანი მექანიზმი.

თემა 2

ინტეგრაციული პროცესების კვლევის თეორიული შეხედულებები

ინტეგრაციული პროცესების კვლევის თეორიული შეხედულებები იძლევიან ზუსტ პასუხს კითხვებზე: რა წარმოადგენს ინტეგრაციული პროცესების არსსა და მიზნებს? ინტეგრაცია პროცესია თუ შედეგი? გარდა ამისა არსებობს განსაკუთრებული აზრი იმის შესახებ თუ რა წარმოადგენს ინტეგრაციული პროცესების მამოძრავებელ ძალას – ეკონომიკური კეთილდღეობა თუ პოლიტიკური იდეა? სწორედ ამიტომ ყოველი თეორია იძლევა რეგიონალური ინტერგაციული პროცესების მისეულ განმარტებას. ამ თეორიებს აერთიანებს მხოლოდ ის, რომ მათი შესწავლის საგანს წარმოადგენს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ერთ სისტემაში მშვიდობიანი და ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძვლებისა და შედეგების შესწავლა.

დღეისათვის ინტეგრაციული პროცესების სამეცნიერო კვლევითი მუშაობა ძირითად ეყრდნობა იმ რეალურ პოლიტიკურ ინტეგრაციული პროცესების შეწავლას, რომელიც ბოლო ასწლეულია მიმდინარეობს მსოფლიოში.

მათგან აღსანიშნავია სამი ძირითადი თეორიული მიმართულება, ანუ სამი სამეცნიერო სკოლა ინტეგრაციული პროცესების შესწავალსთან დაკავშირებითთ:

1. ფუნქციონალიზმი და ნეოფუნქციონალიზმი;

2. ფედერალაზმი;

3. ტრანსნაციონალიზმი (პლურალისტური).

ფუნქციონალიზმი და ნეოფუნქციონალიზმი

ამ მიმართულების ჩამოყალიბება დაკავშირებულია ინგლისელ მკვლევართან დ. მიტერანთან. მან 1943 წელს გამოაქვეყნა სტატია ,,მშვიდობა და საერთაშორისო ორგანიზაციის ფუნქციური განვითარება", სადაც მოგვცა ყველა წინასწარ არსებული პოლიტიკური ინტეგრაციის მოდელის შეფასებები. მისი აზრით, ერთა ლიგამ ვერ შეძლო ფუნქციონირება უპირველს ყოვლისა იმიტომ, რომ მასში სახელმწიფოებმა დაინახეს საკუთრი სუვერენიტეტისათვის საფრთხე.

აზრი არ აქვს ომის შემდეგ, მშვიდობის მხარდაჭერისათვის იმ ამბიციური პროექტების შექმნას, რომელსაც ექნება ზენაციონალური ძალაუფლება და მოწოდებული იქნება უზრუნველყოს სახელმწიფოთა პოლიტიკური ინტეგრაცია, ვინაიდან ომი ბუნებრივი მოვლენაა, თვლიან რეალისტები.

თუმცა ლიბერალები/პლურალისტები მიიჩნევენ, რომ გლობალურ საერთაშორისო ორგანიზაციას ძალუძს არამარტო დაძლიოს სუვერენიტეტის ცუდი შედეგები, არამედ, ასევ შეუძლია, უბრალოდ შექმნას გარანტიც სახელმწიფოებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობებისათვის. აუცილებელია სახელმწიფოთა თანამშროლობა იმ ამოცანების გადაწყვეტისათვის, რომლებიც წარმოადგენენ ერთობლივი ინტერესების სფეროს და დაკავშირებულია თითოეული მთგანის კონკრეტულ ეკონომიკურ, სოციალურ, სამეცნიერო-ტექნიკურ და ა.შ. მოთხოვნებთან.

მსგავსი თანამშრომლობისათვის პრაგმატული სიტუაცია სახალმწიფოებს თანდათან უბიძგებს საერთაშორისო ორგანოს შექმნის აუცილებლობას, რომელიც თავის მხრივ შექმნის პირობებს პოლიტიკური კორპორაციისათვის. ე.ი. **ფუნქციონალიზმი გვთავაზობს ფუნქციური თანამშრომლობიდან კორპორაციულ ურთიერთობებზე გადასვლას,** რაც დაგვირგვინდება საერთო მაკოორდინირებელი და ხელმძღვანელი ორგანოს ჩამოყალიბებით.

ფუნქციონალიზმი არა მარტო გვთავაზობს სხვადასხვა სფეროში სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობის გაფართოებას, რომელიც შეიძლება წმინდა ტექნიკური ხასიათს ატარებდეს, არამედ იგი მასში ხედავს პოლიტიკური მიზნის მიღწევის გზას – სახელმწიფოთა ინტეგრაციის ბევრად უფრო ფართო ურთიერთობებს მათ მიერ სუვერენიტეტის თანდათანობით დათმობის გზით.

ახალი ეკონომიკური, სოციალური და ტექნიკური პრობლემების გადაწყვეტისათვის ფუნქციონალიზმი ეროვნულ სახელმწიფოებს განიხილავს როგორც ძალზედ მწირ საშულებას. მათი აზრით მსგავსი პრობლემები შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობის სფუძველზე. ამიტომ სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობა უნდა შეიცვალოს იმგვარად, რომ ,,ვერტიკალურ" ტერიტორიულ კარჩაკეტილობასთან ერთად უნდა შეიქმნას მოქმედი ,,ჰორიზონტალური" სტრუქტურა, რომლის ადმინისტრაცია მოწოდებული იქნება საერთაშორისო თანამშრომლობის კორდინირებისათვის კონკრეტულ სფეროში. ეს კი საშულებას მისცემს საელმწიფოებს თავიდან აიცილონ ეკონომიკური და სოცილური კონფლიქტები, რაც საბოლოდ შექმნის იმ წინაპირობებს რომ სახელმწიფოებმა თანდათან Dდა უმტკივნეულოდ დათმონ სახელმწიფო სუვერენიტეტი.

ამრიგად, ევოლუციური გზით სახელმწიფოთშორის თანამშრომლობა იქნება უფრი მჭიდრო, ხოლო ურთიერთდამოკიდებულება მაღალი.

საერთაშორისო გარემო განიცდის გლობალურ ცვლილებებს, რომლის წყლობითაც ჯარისკაცების და დიპლომატების ადგილს იკავებს ადმინისტრატორები და ტექნიკური მუშაკები, კანცელარიებს შორის ურთიერთობები კი იცვლება ტექნიკურ

ადმინისტრაციებს შორის პირდაპირი კონტაქტებით, ხოლო სუვერენიტეტსი დაცვის სურვილი დაჩრდილა კონკრეტული საკითხების პრაგმატულმა გადაწყვეტამ.

პრაგმატიზმთან ერთად, ინტეგრაციული პროცესების ფუნქციური მიმართულება შეიცავს ნორმების შესამჩნევ ნაწილსაც. მაგ. ნათელია ფუნქციონალიზმის პარაქტიკული გავლენაც გაეროს შექმნა_განვითრებაზეც. კერძოდ, მის ინსტიტუტებზე, როგორიცაა გაეროს სოციალურ-ეკონომიკური საბჭო, რომელმაც მიიღო მანდატი მოცემულ სფეროში სახელმწიფოთაშორის მოქმედების კორდინირებისათვის. გაეროს ქარტიაში სწორედ მის ფუნქციონალურ ვალდებულებეს ეთმობა მნიშვნელოვანი ადგილი. გაეროს გენერალური ასამბლეა ქმნის ისეთ ინსტიტუტებს, როგორიცაა გაეროს კონფერენცია ვაჭრობისა და თანამშროლობის, ინდისტრიული განვითარების შესახებ და ა.შ. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ ფუნქციონალიზმის პრაქტიკული მიდგომები საერთაშორისო ინტეგრაციის პრაქტიკაში ავლენს მის ნაკლსაც:

პირველი, მისი შედეგით საერთაშორისო საზოგადოება უფრო მეტად გახდა დეცენტრალიზებული, რაც განსაზღვრავს მისი ძალის დისპერსიას. ვებერთელა და მრავალრიცხოვანმა ტექნიკურმა ორგანიზაციებმა შექმნა კორდინაციის ახალი პრობლემები. გარდა ამისა, გაჩნდა იმის საშიშროებაც, რომ სახელმწიფოს სუვერენიტეტის მნიშვნელობის დაცემის კვალდაკვალ გაიზარდოს სპეციალიზირებული ორგანიზაციების სუვერენიტეტის ხარისხი.

მეორე, აღმოჩნდა, რომ ფუნქციონალური თანამშრომლობით საერთაშორისო ინტეგრაცია პრაქტიკაში არ მიდის ავტომატურად ,,სუვერენიტეტის კვდომისაკენ". უფრო მეტიც, ევროპულმა პროცესებმა აჩვენა, რომ სახელმწიფოებისათვის განსაკუთრებით მტკივნეული აღმოჩნდა სწორედ მათი პოლიტიკური და სამხედრო კომპეტენციების გადაცემა საერთო სტრუქტურისათვის.

მესამე, პოლიტიკური ხასიათის გამო საკუთრივ ფუნქციონალურ თანამშრომლობას სჭირდება განმტკიცება გარკვეული ღონისძიებებით.

ამ ხარვეზთა არსებობამ განაპირობა ფუნქცინალისტურ მიმართულებაში ***ნეოფუნქციონალიზმის*** (მიდეევერები ე. ხასი, ლინბერგი) ჩამოყალიბება, რომელიც შეეცადა აეხსნა აღნიშნული ნაკლოვანებები. ეს მიმართულება ავითარებს იდეას, რომლის თანახმადაც თანამშროლობის მოქმედების მოთხოვნილება ეკონომიკურ, სოცილურ თუ კულტურულ სექტორში იწვევს ჯაჭვურ რეაქციას სხვებთან მიმართებითაც, რასაც თავისთავად მივყავართ სპეციალიზირებული ზეეროვნული ინსტიტუტის შექმნის აუცილებლობამდე, ამ მოქმედებათა კორდინაციის მიზნით, და ამდენად, პოლიტიკური ინტეგრაციის პროცესის დაჩქარებისაკენ.

ნეოფუნქციონალისტებიც ადსატურებენ ინტეგრაციის საფუძვლად მის სტრუქტურულ უზრუნველყოფას. ამავე დროს მიუთითებენ, რომ ფუნქციონალური

ინტეგრაციის ლოგიკა ატრებს არა მექანიკურ, არამედ ნდობით ხასიათს, და თვით ეს პროცესი დამოკიდებულია ბევრ ფაქტორზე.

ფედერალიზმი

თუკი ,,ფუნქციონალიზმი” საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოთა შორის ინტეგრაციული პროცესების განვითარებაში მნიშვნელობას ფუნქციურ ურთიერთობებს ანიჭებენ უპირატესეობას ვიდრე პოლიტიკურ ინსტიტუტებს (მათ აძელევენ მეორეხარისხოვან მნიშვნელობას და მათ თვლიან როგორც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პროცესების პარალელურ ქმედებას,) **ფედერალიზმი** (ა. ეტციონი, ა. სპინელი, კ. ფრიდრიხი, ჯ. ელერი და ა.შ.) პირიქით, **პოლიტიკურ ინსტიტუტებს განიხილავს ინტეგრაციის საფუძვლად**.

ფედერალიზმი — სახელმწიფოს მოწყობის ფორმა, რომლის დროს ქვეყნის ცალკეულ ნაწილებს მინიჭებული აქვთ შესამჩნევი თვითმმართველობა. ფედერალიზმის საწინააღმდეგო ცნებაა უნიტარიზმი. უფრო ფართო გაგებით ფედერალიზმი ნიშნავს რაიმე ერთიანი სისტემის ისეთნაირად ორგანიზებას, რომ ამ სისტემის ცალკეულ ნაწილებს შესამჩნევი თავისუფლება უნარჩუნდებათ.

ფედერალიზმი პოლიტიკური ცნებაა, რომლის ობიექტია თვითონ „გაერთიანება ან კავშირი“. ფედერალიზმი, როგორც სამართლებრივი ცნება, არის „ამ მისწრაფებათა პოზიტიურ-სამართლებრივი შედეგი, როდესაც უკვე ჩამოყალიბებულია ფედერალური კავშირი“.როგორც წესი, ფედერალიზმის დღემდე ჩამოყალიბებულ ცნებათა უმრავლესობა არსებითად იზღუდება დინამიკური და სტატიკური კომპონენტებიდან მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტის ანალიზით ან ახდენს რომელიმე მათგანის აბსოლუტიზაციას. ნფედერალიზმის ცნება პირველად საერთაშორისო სამართლისა და სახელმწიფო სამართლის სფეროში იქნა გამოყენებული, მაგრამ მე-19 საუკუნიდან მოყოლებული, ფედერალიზმი განიხილება ადამიანთა მთელი საზოგადოების მომცველი უნივერსალური სოციალურფილოსოფიური სისტემის თვალსაზრისითაც. ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში ფედერალიზმი განიხილებოდა როგორც ისტორიულ-სოციოლოგიური რეალობა.

ფედერაციული სახელმწიფო შედგება რამდენიმე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნისაგან, რომლებიც გარკვეული პოლიტიკური თუ ეკონომიკური თვითმართველობით სარგებლობენ. მათ აქვთ საკუთარი კონსტიტუცია, საკანონმდებლო, აღმასრულებელი თუ სასამართლო ორგანოები და სხვა სახელმწიფოებრივი ატრიბუტები. თავიანთ შემადგენლობაში არსებულ წარმონაქმნებს მოიხსენიებენ როგორც ფედერაციის ობიექტებს. მაგ. შტატები, მიწები, პროვინციები.

საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი პრობელმად და კონფლიქტის მიზეზად ფედერალისტები მიჩნევენ სუვერენიტეტების დეცენტრალიზაციას - მრავალფეროვანი

დამოუკიდებელი სუვერენული სახელმწიფოების არსებობას, რომლებიც თავს ვერ აღწევენ ურთიერთუნდობლობას, საფრთხეებს, დაპირისპირებას და ძალადობას.

ფედერალისტები გამოდიან საერთაშორისო ურთიერთობებში ანარქიის წინააღმდეგ და გვთავაზობენ ისეთ რევოლუციურ გადაწყვეტას, რომელიც გულისხმობს საერთაშორისო სისტემის საფუძვლებისათვის ძირის გამოთხრას. კერძოდ: ეროვნულ დამოუკიდებლობაზე უარის თქმა და სხვადასხვა პოლიტიკური ერთეულების ერთად გაერთიანება.

ფედერალისტების აზრით კონფლიქტების ინსტიტუციონალური გადაწყვეტისათვის მხარეებმა ფედერაციას უნდა გადასცენ მონოპოლია ძალების გამოყენებაზე, რომელიც პირველ რიგში გულისხმობს შეიარაღებული ძალების ფორმირებაზე უპირატეს უფლებას, იმისათვის რომ ზენაციონალურმა მთავრობამ შეძლოს ევროპულ ქვეყნებს შორის ურთიერთობების ისე რეგულირება, როგორც ეროვნული მთავრობა არეგულირებს საკუთარ მოქალაქეებს შორის ურთიერთობებს სახელმწიფოს შიგნით.

ფედერალისტების შეხედულებებით შეიძლება აიხსნას თუ რატომ უნდა დადონე სახელმწიფოებმა სამხედრო-პოლიტიკური კავშირი, მაგრამ შეუძლებელია მარტივად გავიგოთ ის თუ სახელმწიფოებმა რატომ უნდა დაუშვან ნებაყოფლობით საკუთარი სუვერენიტეტის შეზღუდვა ყველაზე უფრო მგრძნობიარე სფეროში.

ფედერალისტები, ფედერალიზმს განიხილავენ როგორც **ნებაყოფილობით უარის თქმას ცენტრალიზმზე** და **სხვადასხვა ცენტრებს შორის რწმუნებების დისპერსიის სტრუქტურულულად გაფორმებას**, რომელთა კანონიერი უფლებამოსილება გარანტირებულია კონსტუტუციით.

საერთაშორისო ინტეგრაცია, ფედერალიზმის ჩარჩოებში განიხილება სახელმწიფოების ,,შიდა რეჟიმების" ანალოგიურად, რომლებიც მოწყობილნი არიან ფედერალურ პრინციპზე.

ფედერალიზმი, დასაბუთებულად ამტკიცებს იმ მნიშვნელობას, რომელიც აქვს საერთაშორისო ინტეგრაციისათვის მის **მონაწილეთა პოლიტიკურ ნ**ებას. ასევე **რწმუნებათა განაწილების როლს** სხვადასხვა დონეებს შორის. მათ **ფრაგმენტაციას,** როგორც გარანტს ცენტრის მხრიდან თავისი ხელისუფლების შესაძლო ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ.

სხვათაშორის ევროპის ინტეგრაციის პროცესი ბევრ საერთო ნიშანს ავლენს ,,ფედერალიზმის " მიმართულებასთან. მაგრამ ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს იგი ევროპული ინტეგრაციის კონცეპტუალურ ბაზას წარმოადგენს. ამ პროცესის დაწყებისათვის თეორიულად შესაძლებელი იყო სამი გზა:

1. ბევრად უფრო ტრადიციული _ სახელმწიფოებს შორის **კავშირების ან ასოციაციების ფარგლებში თანამშრომლობით**;

2. ბევრად უფრო გაბედული – ფედერაცია, რომელიც დაეფუძნებოდა მთელ რიგ მიმართულებებში **ზეეროვნულ პოლიტიკურ ხელისუფლებას**;

3. ბევრად უფორო ორიგინალური _ **ფუნქციონალური ინტეგრაცია**, რომელიც სპეციალიზირებული ინსტიტუტების ჩარჩოებში იძლევა ერთიანი მოქმედების შესაძლებლობას.

პრაქტიკაში პირველი გზა აღმოჩნდა აუცილებელი და სასრგებლო, მაგრამ არასაკმარისი; მეორე _ განუხორცილებელი. ამიტომ ინტეგრაციის პროცესი წავიდა ფუნქციონალური მოდელის გზით, რომელიც საშულებას იძლევა უბრალო თანამშრომლობის ფარგლებში შესვლას და პირობების მომზადებას შესაძლო ფედერაციისათვის.

ამრიგად, საერთაშორისო ინტეგრაციის ფედერალისტური მოდელისა ერთ ერთ მთავრ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მისი მთელი მიმზიდველობის პირობებშიც კი მას აქვს წარმატების ნაკლები შანსი, ვიდრე ფუნქციონალისტურ მოდელს, რამდენადაც მასში უფრო მაღალია **ნორმების ყველა ელემენტის ხვედრითი წილი**.

ამიტომ, ზემოთ განხილულ სხვა კოცეფციების ნაკლთა გათვალისწინებით, საერთაშორისო ინტეგრაციის რეალური პროცესი შეიძლება გავიგოთ მხოლოდ თითეული მთგანის უპირატესობების კომპლექსური გაგების საფუძველზე. არსით, სწორედ საქმე ეხება ,,პლურალისტურ" კონცეფციას, რომელიც ჩამოაყალიბა კ. დოიჩმა.

ტრანსნაციონალიზმი (პლურალისტური)

ტერმინი წარმოიქმნა ზედსართავიდან ტრანსნაციონალური, რომელიც პირდაპირი მნიშვნელობით ერსმიღმიერს (სახელმწიფოსმიღმიერს) ნიშნავს. საერთაშორისო ურთიერთობებში ტ-ის ცნება გულისხმობს როგორც ურთიერთობებს სხელმწიფოებს (ერებს) შორის, ისე სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციებს შორის. უკანასკნელ წლებში **ტრანსნაციონალიზმ**ში უფრო ხშირად იგულისხმება გლობალიზაციის შედეგი, როცა სახელმწიფოებისა და ერების როლი განუხრელად მცირდება როგორც ურთიერთობებში, ისე ორგანიზაციებში. ყველა შემთხვევაში **ტრანსნაციონალიზმი** აღნიშნავს ეროვნულ (სახელმწიფო) საზღვრებს მიღმიერ ურთიერთობებს. ტრანსნაციონალური კავშირი გულისხმობს მოძრაობის სამ სახეს: ა) ფიზიკური ობიექტების (მათ შორის მოსახლეობის) მოძრაობას; ბ) ინფორმაციისა და იდეების მოძრაობას; გ) ფულისა და კრედიტების მოძრაობას. ტრანსნაციონალური კავშირის გააქტიურებამ და ტრანსნაციონალური ორგანიზაციების რიცხვის ზრდამ მნიშვნელოვნად გაზარდა არასახელმწიფოებრივი აქტორების როლი საერთაშორისო ურთიერთობებში და საგრძნობლად შეასუსტა სახელმწიფოცენტრიზმი.

მათი აზრით სახელმწიფო, როგორც საერთაშორისო აქტორი თმობს თავის მონოპოლიას. სახელმწიფოს გარდა საერთაშორისო ურთიერთობებში მონაწილეობას

ღებულობენ ინდივიდები, წარმოებები, ორგანიზაციები და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციები და გაერთიანებები. ასევე, მრავლმხვრივი მონაწილეები, სახეები (კულტურული და სამეცნიერო თანმშრომლობა, ეკონომიკური გაცვლები და სხვა) და ,,არხები" (პარტნიორული კავშირები უნივერსიტეტებს შორის, რელიგიური ორგანიზაციები, ასოციაციები და აშ) ურთიერთობენ ერთმანეთთან, რითაც ფაქტობრივად დევნიან სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთობების ცენტრიდან, ხელს უწყობენ ასეთი ურთიერთობების ტრანსფორმაციას ,,ინტერნაციონალურიდან" (სახელმწიფოთაშორის) ,,ტრანსნაციონალურად (სახელმწიფო მონაწილეების გარეშე).

ამ კონცეფციის ჩარჩოებში **ინტეგრაციის პროცესი განიხილება გადამცემი საკომუნიკაციო ქსელების სახით, რომელიც ახდენს ინფორმაციის გაცვლას, და რითაც ხელს უწყობს განსაზღვრული ფუნქციების შესრულებას და გამოცდილების დაგროვებას**.

საერთაშორისო ურთიერთობათა თეორიის **პლურალისტული** ტრადიცია მოიცავს არა მხოლოდ ეროვნულ სახელმწიფოებს, არამედ სხვადასხვა სახის აქტორებსაც, რომლებიც ჩართულნი არიან პოლიტიკურ მოღვაწეობაში. ამ ტრადიციის მიხედვით, კარლ დოიჩი ამტკიცებს, რომ კომუნიკაციების და ურთიერთქმედების (ტრანსაქციის) ზრდამ სხვადასხვა აქტორებს შორის შეუძლია გაამყაროს ტრანსნაციონალური პოლიტიკური საზოგადოების კავშირები (ინტეგრაცია) და გამოიწვიოს **„უსაფრთხოების საზოგადოების"** შექმნა, რომლის საფუძველს წარმოადგენს მშვიდობიანი თანამშრომლობისა და ურთიერთობის სურვილი.კ. დოიჩი ანალიზს უკეთებს პოლიტიკური გაერთიენების ორ ტიპს, რომელთაგნ თითეულს შეესაბამება ინტეგრაციის თავისი განსაკუთრებული პროცესი _ ,,ამალგამიური") და ,,პლურალისტური". პირველში, შესაბამის ფორმაში შერწყმით, მოიაზრება ორი ან რამდენიმე თვითმყოფადი პოლიტიკური ერთეულის ბევრად უფრო ფართო გაერთიანება; საერთო მართვის განსაზღვრულ ტიპთან მიმართებით. მეორეში _ კი ინტეგრაციის პროცესში მყოფი ერთეულები ინარჩუნებენ თავიანთ პოლიტიკურ თვითმყოფადობას.

ამგვარ პირობებში ამალგამიური ინტეგრაცია მთლიანობაში საჭიროებს პოლიტიკური და სოციოკულტურული ხასიათის სხვადასხვა პირობების კომპლექს, რომელთა შორის აუცილებელია: ინტეგრაციული მოსახელობის მიმხრობას ერთი და იმავე ფასეულეობებისადმი; ინტეგრაციიდან მოსალოდნელი შედეგის დადასტურება; ერთიმეორეზე საკმარისი ინფორმაციის მიღება და შესაბამის ქცევის გათვლა.

ინტეგრაციულ პროცესს აუცილებლად უნდა ახლდეს მოსახლეობის ლოიალური დამოკიდებულება წარმოქმნილი ახალი პოლიტიკური ინსტიტუდებისადმი, ღრმა გააზრება საკუთრი ერთობის. ასევე პოლიტიკურ არენაზე ხელმძღვანელობის ახალი

გენერატორის გამოსვლა. რა თქმა უნდა ჯამში უნდა ჩამოყალიბდეს ცხოვრების ერთიანი სახე, რომელიც დაეფუძნება ,,ამალგამური" ინტეგრაციის სახეს.

ინტეგრაციის ,,პლურალისტური" ტიპის რეალიზაცია არ მოითხოვს ესოდენ ფართო და მკაცრ პირობებს. ინტეგრაციული ერთეულების სოციოკულტურული ფასეულეობების საფუძვლები უბრალოდ არ უნდა იყოს წინააღმდეგობრივი; ქცევის განჭვრეტა ეხება მხოლოდ საერთო ინტერესების შეზღუდულ სფეროებს; აგრეთვე, მოითხოვს პოლიტიკური ელიტის ადექვატურ რეაქციას დაინტერესებული მთვრობების და მოსახლეობის სიგნალებსა და მოქმედებებზე. გარდა ამისა, ინტეგრაციის წარმატებას ხელს უწყობს გამაერთიანებლი იდეის აღქმა ინტელექტულური წრეებისა და პოლიტიკური მოძრაობების მიერ, როგორც კომუნიკაციური ქსელის და ყოვლემხვრივი ურთიერთობების მუდმივი განვითარება. პლურალიზმის მომხრეები თვლიან, რომ ,,ევროპული ინტეგრაციის პლურალისტურ ვერსიას ბევრად უფრო საიმედო მომავალი აქვს, ვიდრე ,,ამალგამიურს".

ამრიგად, მიუხედვად ინტეგრაციული პროცესების შესახებ განსხვავებული თეორიიული შეხედულებების არსებობისა, ეს პროცესი მართლაც დაკავშირებულია გარკვეულ პრობლემებთან და სირთულეებთან, თუმცა თანამედროვე მსოფლიო ინტეგრაციული პროცესები აშკარად მეტყველებს ამ პროცესის შეუქცევად ხასიათზე. როგორ განხორციელდება, რა ფორმით, ინტეგრაციული პროცესები ეს დამოკიდებული იქნება კონკრეტული პოლიტიკური ერთეულების განვითერების დონეზე, მსოფლიოში არსებულ ვითრებასა და ცალკეული პოლიტური ერთეულების პოლიტიკურ ნებაზე. ისიც ცხადია, რომ ეს პრობლემა მოკლე დროში ბოლომდე ვერ გადაიჭრება და მოთხოვს ხანგრძლივ პერიოდს.

თემა 3

ინტეგრაციის თანამედროვე მოდელები

ინტეგრაციამ, როგორც სამართლებრივმა პროცესმა, რომელიც გამოხატავს ურთიერთდამოკიდებულებასა და ურთიერთქმედებას ქვეყნების ჯგუფებს შორის, ბუნებრივია, შეიძლება სხვადასხვა ფორმები მიიღოს - ეკონომიკური და პოლიტიკური.

ეკონომიკური ინტეგრაცია ხშირად გულისხმობს საბაჟო კავშირებს, შეთანხმებებს თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ანდა თავისუფალ ბაზარს, რის შედეგადაც იქმნება ეკონომიკური მოღვაწეობის ლიბერალიზაციისათვის აუცილებელი პირობები და მიიღება რეგულირებისათვის საერთო წესები სხვადასხვა ეროვნული კანონების სანაცვლოდ.

პოლიტიკური ინტეგრაცია შეიძლება გულისხმობდეს არა მხოლოდ ინსტიტუციონალური მექანიზმების ფორმირებასა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცედურებს, არამედ ასევე თანმთხვევი ფასეულობებისა და მიზნების ჩამოყალიბებას, უთანხმოებათა მშვიდობიან გადაწყვეტასა და სოციალურ-პოლიტიკურ მჭიდრო დაკავშირებას.

საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია ნიშნავს ყველა ამ ბლოკის დაწინაურებას, საერთაშორისო მასშტაბებში მათ მეტად მჭიდრო დაკავშირებას. ამავე დროს საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია სხვა სფეროებთან მიმართებაში იძენს ფუძემდებლურ მნიშვნელობას. მასშტაბური, მდგრადი და მუდმივი საერთაშორისო საქმიანი თანამშრომლობა განსაზღვრავს დაინტერესებულ, ურთიერთმომგებიან, ღია ადამიანურ ურთიერთობას, აძლიერებს ნაციონალური ჩაკეტილობისა და ეგოიზმის გადალახვის აუცილებლობას. იქმნება სახელმწიფო საზღვრების გამჭვირვალობის დამატებითი წინაპირობები, განსაკუთრებით ფორმალურ-ბიუროკრატიული და ფისკალური პროცედურების ნაწილში. დაჟინებულ მოთხოვნილებად ხდება ერთიანი ეკონომიკური, სამართლებრივი, ინფორმაციული სივრცის ჩამოყალიბება, მეურნეობის ყველა სუბიექტების თავისუფალი და ეფექტური სამეწარმეო მოქმედებისთვის. ამიტომ არსებობს ყველა საფუძველი იმის დასამტკიცებლად, რომ საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია სრულიად ეწერება გლობალიზაციის პროცესში, და შეადგენს მის ძირითად ბირთვს. მაგრამ საერთაშორისო ეკონომიკურ ინტეგრაციას, რომელიც ნიშნავს ნაციონალური ეკონომიკების ურტიერთშეწყობას, მათი ერთიან აღდგენით პროცესში ჩაყენებას, არ შეუძლია არ შეეხოს და არ შეიტანოს სახეცვლილებები საერთაშორისო

ურთიერთობების სხვა სფეროებში: ვითარდება სახელმწიფოთაშორის (მრავალმხრივი და ორმხრივი) შეთანხმების პრაქტიკა, იქმნება ზესახელმწიფო სტრუქტურები და რეგულირების საერთაშორისო შეთანხმებული სისტემის ორგანოები, გამოიყენება სპეციალური მექანიზმები, ინსტრუმენტები.

იცვლება აგრეთვე საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის ადგილისა და როლის გაგება, გლობალიზაციის პროცესის გამაფართოებელ განმარტებაში, რომელიც ვარაუდობს საერთაშორისო, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ურთიერთგავლენისა და უკუეფექტების აღრიცხვას და შეფასებას. ამ შემთხვევაში საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაცია ხდება მოცემული პროცესის ქმედით მეთოდად, რომელიც ხელს უწყობს მუდმივი, მსოფლიო-ისტორიული ამოცანების გადაწყვეტას – მსოფლიო თანასაზოგადოების სულიერი და მატერიალური მოთხოვნილებების შესაძლო სრულ დაკმაყოფილებას.

ეკონომიკური თეორიის კლასიკოსები (სმიტი, რიკარდო, მილი) იყვნენ თავისუფალი ვაჭრობის (ფრიდრეტერობის) მომხრეები. გარე ვაჭრობასთან მათ მიდგომაში იდო შრომის საერთაშორისო დაყოფის ბაზაზე, წარმოების სპეციალიზაციიდან და საქონლის გაცვლა-გამოცვლიდან ქვეყნების შემოსავლის კლასიკური პრინციპი. ეს მიდგომა უდევს საფუძვლად საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიას, თუმცა მასში არსებობს სხვადასხვა მიმართულებები.

ეს მიმართულებები უპირველესად განსხვავდება ინტეგრაციული მექანიზმების სხვადასხვა შეფასებებით. ასე მაგ. ადრეული ნეოლიბერალიზმის მომხრეებს (ვ.რეპკე, მ.ალე) სრული ინტეგრაცია წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც ერთიანი საბაზრო სივრცე რამოდენიმე ქვეყნის მასშტაბში, სადაც სახელმწიფოების პოლიტიკის და ნაციონალური საერთაშორისო საკანონმდებლო აქტების მიუხედავად, მოქმედებენ საბაზრო სტიქიური ძალები. გვიანი ნეოლიბერალიზმის წარმომადგენლები (ბ.ბალასა) დიდ ყურადღებას უთმობდნენ, სხვადასხვა ქვეყნებში ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების განვითარებაზე ბაზირებულ, ინტეგრაციის ევოლუციას.

კორპორაციონალიზმის მომხრეები (ს.როლფი, უ. როსტოუ) თვლიდნენ, რომ საერთაშორისო ეკონომიკის ინტეგრირების უზრუნველყოფა შეუძლია არა საბაზრე მექანიზმს და სახელმწიფო რეგულირებას, არამედ საერთაშორისო კორპორაციებს, რომელთა ფუნქციონირება ხელს უწყობს მსოფლიო მეურნეობის კავშირების რაციონალურ და დაბალანსირებულ განვითარებას.

სტრუქტურალიზმის წარმომადგენლების (გ.მიურდალი) მიერ, ეკონომიკური ინტეგრაცია განიხილებოდა როგორც ქვეყნების (ინტეგრაციის განვითარების

ცენტრებით – მსხვილი ფირმებით და მრეწველობის მთელი დარგებით) ეკონომიკაში სტრუქტურული გარდაქმნების პროცესი. ამ გარდაქმნების შედეგებად მათი აზრით, დგება ხარისხობრივად ახალი ინტეგრირებული სივრცე უფრო სრულყოფილი სამეურნეო მექანიზმით.

ნეოკეინსიანელები (რ.კუპერი) თვლიდნენ, რომ ფართო საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთმოქმედების მრავალსახოვანი სარგებელის გამოყენებისათვის, ამასთანავე ყველა ქვეყნისათვის თავისუფლების ხარისხის მაქსიმალური შენარჩუნებით, საჭიროა ინტეგრირებადი მხარეების შიდა და საგარეო პოლიტიკის შეთანხმება, ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების ორი შესაძლო ვარიანტის ოპტიმალური შეთავსების მიღწევის მიზნით: ა) სახელმწიფოთა გაერთიანება, მათ მიერ სუვერენიტეტის შემდგომი დაკარგვით და ეკონომიკური პოლიტიკის ურთიერთშეთანხმებით; ბ) ინტეგრაცია ნაციონალური ავტონომიის მაქსიმალური შენარჩუნებით.

დირიჟიზმის თეორეტიკოსები (ი.ტინბერგენი, რ.სანვალდი, ი.შტოლერი), გამორიცხავდნენ რა საბაზრო მექანიზმის გადამწყვეტ როლს ინტეგრაციულ პროცესებში, ვარაუდობდნენ, რომ საერთაშორისო ინტეგრირებული სტრუქტურების ფუნქციონირება შესაძლებელია მათი მონაწილეების მიერ საერთო ეკონომიკური პოლიტიკის და შეთანხმებული სოციალური კანონმდებლობის შემუშავების საფუძველზე, საერთაშორისო მეურნეობის ოპტიმალური სტრუქტურის შექმნის მიზნით, რომელიც იცილებს ხელოვნურ ზღუდეებს და რომელსაც შეგნებულად შემოაქვს კოორდინაციისა და უნიფიკაციის სასურველი ელემენტები.

მნიშვნელოვანი შენატანი საერთაშორისო ეკონომიკური ინტეგრაციის თეორიაში შემოიტანეს რუსმა მეცნიერებმა – მ.მ.მაქსიმოვამ, ნ.პ.შმელევმა, ი.ვ.შიშკოვმა და სხვებმა.

საერთაშორისო ინტეგრაციის ეკონომიკური არსის კონცეფციების მრავალსახეობის გააზრებისას, უნდა გავითვალისწინოდ, რომ მნიშვნელოვანი იმპულსი მისი პრაქტიკული განხორციელებისას XX საუკუნის ნახევრიდან, იყო დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების კომპანიების დონეზე, კავშირების გამყარების მისწრაფება, რომელიც შემდგომში გაფორმებულია შეთანხმებებით, მიმართული დასავლეთ ევროპის ქვეყნების განვითარებაზე, იმ დროისათვის ორი მსოფლიო სახელმწიფოს – სსრკ და აშშ, გამწვავებული დაპირისპირების საპირისპიროდ.

პოლიტიკური ინტეგრაცია ტეორიების ჭრილში

ფედერალიზმი/ნეოფედერალიზმი. ფედერალიზმი, (ან კონსტიტუციონალიზმი), როგორც ინტეგრაციული პროცესების თეორიული შეხებულება ჩამოყალიბდა მეორე

მსოფლიო ომის შემდეგ და მას შემდეგ ერთერთ ძირითად თეორიულ მიმართულებას წარმოადგენს.

თეორიის განვითარების საფუძველს წარმოადგენს ფედერალიზმის პრინციპის შემუშავება. ფედერალიზმის კლასიკოსის – კ. უიერას აზრით, ფედერალიზმის პრინციპი – სამართლებრივი პრინციპია, რომლის მიხედვითაც კანონმდებლობის სუვერენიტეტი ნაწილდება გეორგაფიულად გაყოფილ მმართველობის დონეებს შორის. „ინტეგრაციის ფედერალიზმისეული შეხედულება მოითხოვს სამთავრობო მმართველობის ორი დონის შექმნას, რომლებიც ერთმანეთისაგან გამოყოფილია, მაგრამ მუშაობენ კოორდინირებულად – ხელისუფლება, რომელიც დგას მთელი მმართველობის სათავეში (ფედერალური დონე) და ხელისუფლება, რომელიც არეგულირებს მმართველობის სხვადასხვა ნაწილებს (სახელმწიფო დონე)“. ამგვარად ფედერალიზმი გვთავაზობს სახელმწიფოს გარდაქმნას ისე, რომ იგი გახდეს მსოფლიო საზოგადოებში ძალაუფლების ორგანიზების ერთერთი საფეხური და სახელმწიფომ შეწყვიტოს მსოფლიოს პოლიტიკური დანაწილების მამოძრავებელი ფაქტორის როლის თამაში. ამ განსაზღვრებიდან გამომდინარე ფედერალისტები გამოყოფენ სამ შესაბამის დებულებას: პირველი – კონსტიტუცია დგას ეროვნულ ხელისუფლებაზე მაღლა; მეორე – კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა ვერ განხორციელდება ცალმხრივ რეჟიმში; მესამე – კონსტიტუციის გარანტი უნდა გახდეს დამოუკიდებელი საარბიტრაჟო ორგანო, როგორიცაა საკონსტიტუციო ან უზენაესი სასამართლო.

ფედერალიზმის მიზანს წარმოადგენს სხვადასხვა პოლიტიკურ წარმონაქმნებს შორის განსაკუთრებული ხასიათის ურთიერთობების შენარჩენებას, რომლიც არსი მდგომარეობს „კავშირის შექმნაში გაერთიანებისკენ შემდგომი სწრაფვის გარეშე“.

ფედერალიზმს, მისი მხარდამჭერების თვალსაზრისით, აქვს ორი ძირითადი უპირატესობა სხვა თეორიებთან მიმართებაში. პირველი, ეს არის სისტემის დაცულობა ძალაუფლების ერთი პოლიტიკური ჯგუფის მიერ მიტაცებისგან. მეორე, ფედერაცია უფრო გამძლეა გარე გამოწვევების მიმართ. გარდა ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ფედერალიზმი მიზნად არ ისახავს მმართველობის რომელიმე კონკრეტული ფორმის ანალიზს. უფრო მეტიც, ნაკლებად სავარაუდოა, რომ არსებობდეს სახელმწიფო, რომლის მმართველობის ფორმა სრულად შეესაბამება ფედერალიზმის პრინციპებს, და ეს იმიტომ, რომ მმართველობის ფედერალური ფორმა არის მუდმივი განვითარების რეჟიმში.

თანამედროვე ნეოფედერალიზმის წარმომადგენლები იყოფიან კომუნიტარიზმისა და კოსმოპოლიტიზმის მხარდამჭერებად. კოსმოპოლიტიზმის თვალსაზრისით,

ადამიანის ღირებულებები უნივერსალური ხასიათისაა, რომელთა მიმართაც სახელმწიფო წარმოადგენს მხოლოდ ზედმეტ შეზღუდვას.

აღსანიშნავია, რომ პრაქტიკული თვალსაზრისით, ფედერალიზმის იდეა ახდენს მნიშვნელოვან გავლენას რეგიონული ინტეგრაციის პროცესებში. მაგალითად, 1992 წლის მაასტრიხტის ხელშეკრულების (ევროკავშირის შექმნა) პირველადი ვერსია აყენებს „ფედერალური ევროპის“ შექმნის იდეას. მიუხედავად იმისა, რომ შემდგომ მიზანის ფორმულირება შეიცვალა და აყენებდა "უფრო მჭიდრო კავშირი შექმნის" იდეას, ნეოფედერალიზმის ბევრი მხარდამჭერები დარწმუნებულნი არიან, რომ ფედერალური პრინციპი დღესაც საუკეთესო რაციონალური საშუალებაა ევროპაში მიმდინარე ინტერგაციული პროცესების წინაშე მდგარი ინსტიტუციური და იდეოლოგიური პრობლემების გადაწყვეტისათვის. ბოლო ოთხი წელია ფედერალიზმის მხარდამჭერთა შორის მიმდინარეობს აქტიური დისკუსია კონსტიტუციური შეთანხმებით ფორმლირებაში. მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირის კონსტიტუცია სავარაუდოდ არ იქნება ევროპული ფედერაციის შექმნის საბოლოო აქტი, თვის ის ფაქტი, რომ მიმდინარეობს მუშაობა ასეთი სახის დოკუმენტზე, იძლევა საშუალებას რათა დავასკვნათ, რომ ფედერალიზმის პრინციპები კვლავაც აქტიურად იქნება გამოყენებული ევროკავშირის ჩამოყალიბებაში.

ფუნქციონალიზმი/ნეოფუნქციონალიზმი. ფუნქციური მიდგომა სათავეს იღებს ინტეგრაციის ფენომენის კონცეპტუალური აღქმიდან და საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების შესწავლისას წარმნოადგენს რა ძირითად ელემენტს, მას მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს თანამედროვე ურთიერთდამოკიდებულება და რეჟიმების თეორიების განვითარებაში. მთავარი ამოცანა, რომლის გადაწყვეტასაც ცდილობდნენ ფუნქციონალიზმის მიმდევრები, თანხვდებოდა ფედერალისტების მიზნებს, მაგრამ ერებს შორის ხანგრძლივი მშვიდობის მიღწევის სტრატეგიის ძიება მათ სულ სხვა პირობები დაიწყეს.

ნეოფუნქციონალიზმი რეგიონული ინტეგრაციის ძირითადი თეორიებისგან გამოირჩევა დახვეწილობითა და მოქნილობით. ფაქტობრივად, ნეოფუნქციონალიზმი შეეცადა შეემუშავებინა ინტეგრაციული პროცესების განვითარების პრაქტიკული რეკომენდაციები, რომელიც ეფუძნება შემდეგ დებულებებს:

1) ინტეგრაცია უნდა დაიწყოს ეტაპობრივად, იმ სფეროებიდან, რომლებსაც არ შეხებია "მაღალი" პოლიტიკის საკითხები, მაგრამ ამავე დროს წარმოადგენს საკვანძო სექტორს ეკონომიკაში;

2) საჭიროა შეიქმნას სათანადო მართვის სტრუქტურა, რომელიც მაქსიმალურად დამოუკიდებელი იქნება ეროვნული მთავრობების

გავლენისაგან და რომელიც გახდება შემდგომი ინტეგრაციული პროცესების აქტიური მონაწილე;

3) ეკონომიკის კონკრეტულ სექტორებში წარმატებით განხორციელებული ინტერგაციული პროცესები, შექმნის ფუნქციონალურ ზეწოლას მეზობელ სეგმენტებზე, რაც იწვევს ინტეგრაციული პროცესების აქტივაციას და გაფართოებას. (პროცესი ცნობილია სახელწოდებით "გადასხმა");

4) ინტერგაციული პროცესების გაღრმავება და გაფართოება გამოიწვიოს საერთო ინსტიტუტების განვითარებას, ისე, რომ ეკონომიკური ინტეგრაციის გარდაუვალი შედეგი პოლიტიკური ინტეგრაცია იქნება, რაც თავის მხრივ გამოიწვევს მსოფლიოში მშვიდობიანი ურთიერთობების განმტკიცებას.

ნეოფუმქციონალიზმის პრინციპები ასახული იყო ე.ჰაასისა და ლ. ლინდბერგის ნათრომებში.

ნეოფუნქციონალისტების მიღწევა ის არის, რომ ისინი შეეცადნენ რეგიონული ინტეგრაციის თეორია შექმნათ კონკრეტულ სახელმწიფოებში უკვე არსებულ მიდგომათა საფუძველზე. ე.ჰაასი მიესალმება რეგიონული ინტეგრაციის ბლოკების შექმნას, თუ თუ ამისათვის არსებობს სამი პირობა: პლურალისტური სოციალური სტრუქტურა, საჭირო ეკონომიკური და სამრეწველო განვითარება და საერთო იდეოლოგიური ორიენტაცია. ზოგადად, ნეოფუნქციონალისტები ინტეგრაციას განიხილავენ რეგიონულ დონეზე, როგორც თანამედროვეობის გარდაუვალ პროდუქტს, რომელიც ხასიათდება ინდუსტრიალიზაციითა და ურბანიზაციიით. ე.ჰაასი და პ.შმიტერი რამდენიმე ინტეგრაციული სტრუქტურების ანალიზის შემდეგ მივიდნენ დასკვნამდე, რომ მხოლოდ ევროკავშირის არსებობს ინტეგრაციის ავტომატური პოლიტიზირების პოტენციალი, სხვებმა კი ნაკლებად სავარაუდოა, რომ შექმნათ თავისუფალ სავაჭრო ზონაზე რამე უფრო მეტი.

ტრანსნაციონალიზმი. თუ ფუნქციონალისტებისა და ფედერალიზმის მიმდევრების მიზანი იყო სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება ან ახალი არასამთავრობო მმართველობის ძიება, ტრანზაქციონალიზმის თეორიის (მას ასევე უწოდებენ კომუნიკაციის ან პლურალისტურ თეორიას) მიზანია იპოვოს სტაბილური და მშვიდობიანი თანაარსებობის გზები არსებულ ეროვნულ სუბიექტებს შორის. აღნიშნულ თეორიას საფუძველი ჩაუყარა კ.დოიჩმა, რომელმაც ის შეიმუშავა საერთაშორისო პოლიტიკისა და ნაციონალიზმის შერწყმის საფუძველზე.

ამ მიდგომის არსი ასახულია წიგნიში "პოლიტიკური თანამეგობრობა და ჩრდილოატლანტიკური სივრცე: საერთაშორისო ორგანიზაცია ისტორიული გამოცდილებაის ფონზე." პროექტის ავტორების ყურადღების საგანი გახდა უსაფრთხოების თანამეგობრობა - პოლიტიკური თანამეგობრობა, რომელიც გამორიცხავს სამხედრო ძალის გამოყენების შესაძლებლობას საერთაშორისო დავების მოგვარების საქმეში. ასეთი თანამეგობრობის შექმნა დაკავშირებულია ინტეგრაციის ფონცეფციასთან, რაც იმას ნიშნავს, "გარკვეული ტერიტორიის ფარლებში მიიღწევა ერთიანობის გრძნობა, რაც შექმნის ინსტიტუტებსა და წესებს, რომლების ქვეყნებს შორის მშვიდობიანი ურთიერთობების განვითარების გარანტი გახდება." ამ შემთხვევაში, ინტეგრაცია შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს, თუ შექმნა უსაფრთხოების თანამეგობრობა.

ტრანსნაციონალიზმი მთავარი პროგნოზი ამბობს, რომ სახელმწიფოებს შორის თანამეგობრობის გრძნობა ყველაზე მეტად მოსალოდნელია იქ, სადაც კომუნიკაცია ყველაზე აქტიურია, ე.ი იქ, სადაც ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ფონზე აქტიურად მიმდინარეობს ტრანზაქციების გაცვლითი ოპერაციები (მატერიალური, კულტურული, პოლიტიკური).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ძირითადი განსხვავება კომუნიკაციის თეორიასა და ინტეგრაციის სხვა მიდგომებს შორის არის ის, რომ ინტეგრაციულ პროცესებს არ აკავშირებს არსებული ფორმალური ინტეგრაციის არცერთ ბლოკებს. კომუნიკაციის თეორიის წყალობით საერთაშორისო ურთიერთობებისადმი შეხედულება ფართოვდება და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობების გარდა მოიცავს ხალხთა და საზოგადოებებს შორის ურთიერთობებს, რომელიც გვეხმარა არაფორმალური ურთიერთობის როლის განსაზღვრაში და არაფორმალური ინტეგრაციის პროცესების სხვადასხვა ფაქტორების იდენტიფიცირებაში.

თუ საგარეო ტარიფი დგინდება უფრო დაბალი, ვიდრე საბაჟო კავშირის მონაწილე-ქვეყნების გასაშუალებული ტარიფით, მაშინ დამაჯამებელი ფასების გათვალისწინებით ხდება მესამე ქვეყნების ბაზარზე მათი საგარეო ვაჭრობის გადაორიენტირება. ასეთი ზომები შეიძლება მიღებულ იქნას შიდა და საგარეო მწარმოებლების კონკურენციის გასაძლიერებლად, თუ აუცილებელია საკუთარი მწარმოებლის "წაბიძგება" უფრო კონკურენტუნარიანი პროდექციის გამოშვებისკენ. ასე რომ, საგარეო ვაჭრობის ტარიფის რეგულირება, გაძლიერებული სახით მოქმედებს საბაჟო კავშირის შიგნით ინტეგრაციული პროცესების განვითარებაზე. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საგარეო ტარიფის რეგულირება მთლიანობაში სასიკეთოდ მოქმედებს

საქონლისა და მომსახურეობის შიდა ბაზრის განვითარებაზე. ხდება ფასების ზრდის დაწევა ან შენელება, ძლიერდება საბაჟო კავშირის ჩარჩოებში იმპორტული საქონლის საქონელმწარმოებლებსა და მომმარაგებლებს შორის კონკურენცია. საბაჟო კავშირისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს კავშირის შემადგენლობაში ერთი-ორი მსხვილი სახელმწიფოს არსებობა. მაშინ რესურსების პრობლემები ტექნიკურად წყდება უფრო მარტივად, ვიდრე საბაჟო კავშირის ჩარჩოებში, რომლებიც აერთიანებენ რესურსებით ღარიბ ქვეყნებს. "თამაში" საბაჟო ტარიფებით შესაძლებელს ხდის უფრო მისაღები პირობების შექმნას, უცხოური ინვესტიციების მისაზიდად, რაც აგრეთვე უშუალო ზეგავლენას ახდენს ეკონომიკურ ზრდაზე. საბაჟო კავშირის ფუნქციონირება ითხოვს ცვლილებებს ინტეგრაციული პროცესების მართვის მიდგომაში. როგორც ზემოთ მითითებული იყო, თავისუფალი ვაჭრობის ზონების ჩარჩოებში მოქმედება არ განაპირობებს მუდმივად მოქმედი ორგანოების შექმნას. საბაჟო კავშირისთვის უკვე ჩნდება აუცილებლობა მარეგულირებელ ინსტიტუტებში.

უპირველესად, ერთიან საბაჟო გადასახადებზე და საკოორდინაციო ზომების ერთობლივ განხორციელებაზე გადასვლა, მოითხოვს ყველა ქვეყანაში ნაციონალური ეკონომიკის მრავალი დარგის განვითარებისკენ მიდგომების არსებით გადახედვას. მეორე, საჭიროა ცალკეული დარგის განვითარების კოორდინაცია მაკროეკონომიკურ დონეზე, რასაც მივყავართ მოქმედების სხვა სფეროებში ახალი სხვადასხვაგვარი პრობლემების გამოვლენისკენ. მესამე, ჩნდება არამხოლოდ საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის შეთანხმებაზე მოლაპარაკებების მოთხოვნილება, არამედ შიდა ბაზრების კოორდინაცია ან შეწყობა საერთო ინტერესების წარმოშობასთან. ამასთან დაკავშირებით დგება საკითხი ზენაციონალური ორგანოების შექმნის შესახებ, რომლებიც შეიმუშავებენ, კოორდინაციას და კონტროლს გაუწევენ საგარეო ვაჭრობის და წარმოების ცალკეული სფეროების მოქმედებას. რეალური საბაჟო კავშირები ამის გარეშე ვერ იმოქმედებენ.

აუცულებელია აღინიშნოს აგრეთვე შემდეგი. საბაჟო კავშირის ფუნქციონირება სრულიად არ ითვალისწინებს საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის უნიფიკაციას წარმოებული და მოხმარებული საქონლის მთელი სპექტრისთვის. ინტეგრაციული მოქმედების სფეროში ამ ეტაპზე თანდათანობით ხვდება ეკონომიკის ყველაზე განსხვავებული დარგები და სექტორები. ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან მთავარ როლს იღებს მოძრაობა მიკროდონეზე, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოო ინტეგრაციას. ინტეგრაცია ხდება აგრეთვე სავალუტო-საფინანსო დარგშიც, მაგრამ სავალუტო-საფინანსო თანამშრომლობა, განსაკუთრებით პირველ ეტაპზე, არ არის

ავანგარდული. იგი უფრო მომსახურეობითი ფაქტორის როლს თამაშობს. როგორც წესი, საბაჟო კავშირის ჩარჩოებში შექმნილი ფინანსური ინსტიტუტები, ბანკები, სადაზღვევო კომპანიები თამაშობენ მეორეხარისხოვან როლს.

როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, საბაჟო კავშირის სფეროს და მისი ერთიანი საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის გარეთ, რჩება ისეთი მსხვილი მიმართულებები, როგორიცაა თავდაცვითი მრეწველობა, ენერგეტიკის და სხვა ცალკეული დარგები.

- ხარისხობრივად ინტეგრაციის უფრო მაღალი საფეხურია **ერთიანი ბაზარი (ებ).** დღესდღეობით ინტეგრაციის განვითარების ეს ეტაპი რეალიზებულია ევროპულ კავშირში, რომლის გამოცდილების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს პრაქტიკული დასკვნები და შეფასებები, არ არის გამორიცხული, რომ პერსპექტივაში, სხვა მსგავსი ინტეგრაციული სტრუქტურების წინ წაწევისას, შეიქმნება ახალი სიტუაციები, დამახასიათებელი ამ დაჯგუფებებისთვის, რომლებსაც ექნებათ გარკვეული განსხვავებები ევროკავშირის პრაქტიკისაგან. საბაჟო კავშირის გადაზრდა ერთიან ბაზარში განპირობებულია, როგორც ეკონომიკური ფაქტორებით, ასევე პოლიტიკურით. (მოცემული მდგომარეობა იქნება სწორი სხვა ინტეგრაციული დაჯგუფებების, და არა მხოლოდ ევროკავშირისთვის, შემდგომი ევოლუციური გარდაქმნებისთვის.) გაცვლა-გამოცვლაში სატარიფო დაბრკოლებების გარკვეული ზომით გაქრობის მიუხედავად, არსებობს ასევე არასატარიფოები: განსხვავებები ტექნიკურ ნორმებში, საქონლის და ა.შ. ნაციონალური მარკების საკანონმდებლო დაცვა. სწორედ საბაჟო კავშირების შექმნისას, მაგალითად ევროპაში, არ იყო მოსალოდნელი მსგავსი სიძნელეების წარმოშობა. განსაკუთრებით დაბალი ზრდის პერიოდში დგებოდა საკითხი ნაციონალური და ა.შ. შესახებ. ექსპერტები ხაზს უსვამენ, რომ "ნამდვილად ერთიანი" შიდა ბაზრის შექმნა, ითხოვს კანონმდებლობისა და ნორმების დიდი რაოდენობის ჰარმონიზაციას, რომლებიც მოქმედების მრავალ სფეროს ეხებიან.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ საკითხების ფართო წრის შეთანხმება არის საკმაოდ რთული საქმე და კონსენსუსის მიღწევა ყოველთვის არ ხერხდება. წარმატების მიღწევისათვის საჭიროა ახალი მიდგომები და მეთოდები მართვაში, ზენაციონალური ინტერესების მნიშვნელოვანი გაძლიერება. ერთიანი ბაზრის შესაქმნელად საჭიროა 6-7 აუცილებელი მსხვილი ამოცანის რეალიზება, რის განხორციელებაც შეუძლებელია საბაჟო კავშირების ჩარჩოებში. მაგრამ სწორედ საბაჟო კავშირები, უპირველესად, სახელმწიფო-წევრებს შორის საბაჟო გადასახადების გაუქმებით და, მეორედ, მესამე ქვეყნებთან მიმართებაში ერთიანი სავაჭრო პოლიტიკის შემუშავებით, ქმნიან ერთიანი ბაზრისკენ გადასვლის წინაპირობებს. ერთიანი ბაზრის შექმნისთვის ეს საკმარისი არ

არის. მესამე ამოცანაა – ეკონომიკის ცალკეული დარგებისა და სექტორების განვითარების საერთო პოლიტიკის შემუშავება. მათი ამორჩევა უნდა ხორციელდებოდეს იქიდან გამომდინარე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ეს ინტეგრაციის შემდგომი გამყარებისათვის, როგორი იქნება სოციალური რეზონანსი შესაბამისი ზომების მიღების შემდგომ, როგორ აისახება ეს კონკრეტული მომხმარებლის საჭიროებებზე და მოთხოვნილებებზე. შემთხვევითი არ არის რომ ევროკავშირში ერთიან ბაზარზე გადასვლისას, შერჩეულ სფეროებად იქნა განსაზღვრული სოფლის მეურნეობა და ტრანსპორტი. მეოთხე ამოცანაა – კაპიტალის თავისუფალი მოძრაობისათვის პირობების, ძალის, მომსახურეობის და ინფორმაციის, რომელნიც ავსებენ საქონლის შეუფერხებელ გადაადგილებას, შექმნა. საჭიროა ავღნიშნოთ აგრეთვე ერთიანი ბაზრის შექმნისას გადასაწყვეტი შემდეგი მეხუთე ამოცანა: სოციალური და რეგიონალური განვითარების ხელშემწყობი ერთიანი ფონდების ჩამოყალიბება, რაც მოიაზრებს "შეტრიალებას" უშუალოდ მომხმარებლის ინტერესებისაკენ და საჭიროებისაკენ, "მოთხოვნილებების ადგილზე" დაკმაყოფილების ორიენტაციას, რომელიც ინტეგრაციული პროცესების უპირატესობების რეალურად შეგრძნების ნებას იძლევა. ეს ეკონომიკური ნაბიჯები განაპირობებენ ნაციონალური კანონების ჰარმონიზაციაზე და უნიფიკაციაზე სერიოზული ზომების შეთანხმებას. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ზომების სისტემის შემოღებას, რომელნიც ირიდებენ კონკურენციის მარეგულირებელი ნორმების დარღვევას. ბუნებრივია, ამით განისაზღვრებოდა მართვისა და კონტროლის სპეციალური, მათ შორის ზენაციონალური, ორგანოების ჩამოყალიბების აუცილებლობა. ევროკავშირში ეს არის – ევროპარლამენტი, მინისტრთა საბჭო, ევროკომისია, სასამართლო, ევროპული საბჭო. სხვა ინტეგრაციულ დაჯგუფებებს, შესაძლოა, ექნებათ მართვისა და კონტროლის სხვა ორგანოები. ამოცანები, რომელნიც, როგორც მოწმობს ევროპული კავშირის გამოცდილება, უნდა ამოხსნან ინტეგრაციულმა დაჯგუფებებმა, მოითხოვენ შესაბამისი ინსტრუმენტარიუმის შექმნას და გამოყენებას. არ არის გამორიცხული, რომ ერთიანი ბაზრის ჩარჩოებში პოლიტიკის გატარება, როგორც ეს მოჩანს ევროპული კავშირის პოზიციებიდან, იქნება განხორციელებული უკვე "გამომუშავებული" ინსტრუმენტარიუმის დახმარებით, რომელიც მდგომარეობს შემდეგში:

1. რეგლამენტები, რომლებიც თავისთავად წარმოადგენენ კანონებს, წევრ-სახელმწიფოებში გამოყენებისთვის აუცილებელია.

2. დირექტივები, რომლებიც გადამისამართებულია სახელმწიფო-წევრთათვის, გამოყენებისთვის აუცილებელია, მაგრამ ყველა ქვეყანას ეძლევა შესასრულებლად ფორმებისა და მეთოდების არჩევანის თავისუფლება.

3. აუცილებელი ხასიათის გადაწყვეტილებები, რომლებიც მიუთითებენ დაჯგუფების წევრ-სახელმწიფოს, იურიდიულ ან ფიზიკურ პირს კონკურენტული პოლიტიკის სფეროში, გარკვეული მოქმედების შესრულებას. საწყისი თეზისის თანახმად, პოლიტიკა კონკურენციის სფეროში – ძლიერ არსებითი რგოლია ინტეგრაციული "უზრუნველყოფის სისტემაში", ამიტომ სწორედ ეს გადაწყვეტილებები აუცილებლად შესრულებულ უნდა იქნას.

4. რეკომენდაციები და დასკვნები, რომელთაც აუცილებელი ძალა არ გააჩნიათ.

- ერთიანი ბაზრის მშენებლობა უნდა დასრულდეს ნამდვილად ერთიანი ეკონომიკური, სამართლებრივი და ინფორმაციული სივრცის შექმნით და მისცეს იმპულსი ინტეგრაციული დაჯგუფების ხარისხობრივად ახალ საფეხურზე გადასვლას – **ეკონომიკური კავშირი (ეკ).** მაშინვე უნდა აღინიშნოს, რომ თეორეტიკული დამუშავებებები, რომლებიც ეხებიან ეკონომიკური კავშირის მექანიზმებს და ინსტრუმენტებს, არც ისე ბევრია. პრაქტიკულად არ არსებობს გამოცდილება განზოგადოებისთვის და დასკვნებისთვის. როგორც ცნობილია, ევროპაში ერთიანი ბაზარი შეიქმნა 1993 წლის დასაწყისისათვის. მაშინვე დადგა **ეკონომიკური და სავალუტო კავშირის (ესკ)** შექმნის ამოცანა, თანაც მოკლე ვადებში, 1999 წლის დასაწყისისათვის.

ეკონომიკური კავშირის ფუნქციონირება დღესდღეობით სქემატური სახით გამოიყურება შემდეგნაირად. წევრ-ქვეყანათა და კავშირის პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები განისაზღვრება ერთობლივად წევრ-ქვეყანათა მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილებების სახით, რომელიც აგრეთვე აკვირდება თვითოეული ქვეყნის და კავშირის მთლიანად ეკონომიკური განვითარების მსვლელობას. რომელიმე ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის შეუსაბამობისას ევროპული კავშირის ძირითად მიმართულებებთან ან იმ შემთხვევაში, თუ მისი გატარება ეწინააღმდეგება ეკონომიკური კავშირის ნორმალურ ფუნქციონირებას, მინისტრთა საბჭო იღებს საჭირო ზომებს. ასე, მაგალითად წევრი-ქვეყნები უნდა ერიდნენ სახელმწიფო ბიუჯეტის ზედმეტ დეფიციტს, და ამაზე დგას კონტროლი.

რაც შეეხება სავალუტო კავშირს, ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ჩამოყალიბების უკანასკნელი ეტაპის დაწყებისთანავე გათვალისწინებულია ერთიანი

სავალუტო პოლიტიკის გატარება, ერთიანი ვალუტის – ევრო – შემოღება, ახალი ინსტიტუტის - ერთიანი ცენტრალური ბანკი – შექმნა, რომელიც წევრი-ქვეყნების ცენტრალურ ბანკებთან ერთად ქმნის ეკონომიკურ და სავალუტო კავშირში შემავალი, ქვეყნების ცენტრალური ბანკების ერთიან სისტემას.

თემა 7

თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკული ასოციაცია

საერთაშორისო ინტეგრაციის სხვა პრაქტიკული მაგალითია თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკული ასოციაცია (НАФТА). შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკული ასოციაციის შესახებ ხელმოწერილი იყო აშშ, კანადას და მექსიკას შორის, რომელიც ძალაში შევიდა 1994 წლის 1 იანვარს. თუ გავაანალიზებთ შეთანხმების დებულებების ძირითად არსს და შევადარებთ ევროკავშირის დოკუმენტების ფუძემდებლურ ამანათებთან, მაშინ ცხადდება მთავარი: ხდება აღება არა მხოლოდ საბაჟო ბარიერების, თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკული ასოციაცია (НАФТА) ხსნის გზას საქონლის, მომსახურეობის, კაპიტალის და სამუშაო ძალის თავისუფალი ბრუნვის ერთიანი კონტინენტალური ბაზრის შესაქმნელად. სპეციალისტთა დათვლებით არ არის გამორიცხული, რომ 15 წლის შემდეგ მოხდება სამი ნაციონალური ბაზრის შერწყმა და ჩამოყალიბდება 375 მლნ. ადამიანზე მეტ მოსახლეობასთან თავისუფალი ვაჭრობის ზონა. ამასთან უნდა გავითვალისწინოთ, რომ თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკული ასოციაციის (НАФТА) ჩარჩოებში ჯერჯერობით არ არის შექმნილი სპეციალური ორგანოები, ანალოგიური ევროპულ კავშირში არსებულთან (კომისია, სასამართლო, პარლამენტი და ა.შ.), რომლებიც არეგულირებენ თანამშრომლობას. არ არის გამორიცხული, რომ თანამშრომლობის პროცესში, გაჩნდება სხვა, ვიდრე ევროპულ კავშირში, მექანიზმები, რაც იქნება გამოწვეული საჭიროებით.

თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკული ასოციაციის (НАФТА) შექმნა იყო ინიცირებული პოლიტიკოსების გადაწყვეტილებით, თუმცა ეკონომიკური იმპერატივების მნიშვნელობა ამასთან სრულიად არ მცირდება. 90-იანი წლების დასაწყისში “ცივი ომის” დასრულებისთანავე, მსოფლიოში რადიკალურად შეიცვალა სამხედრო-პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაცია: გაქრა შსგ (ОВД), ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო (СЭВ), მკვეთრად შესუსტდა რუსეთის და სსრკ სხვა ყოფილი რესპუბლიკების სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური პოზიციები. ახალ პირობებში უფრო ხშირად ვლინდება დასავლეთ ევროპის, იაპონიის, წყნარი ოკეანის აზიური რეგიონის (АТР) ქვეყნების მცდელობები და განზრახვები ამერიკული

ქოლგიდან გამოსვლის შესახებ, ეკონომიკური სიმძლავრის გამყარებაზე სახსრების დინების შესახებ.

ბოლო წლების მასალები მოწმობენ რეგიონების რიგი ქვეყნების ჯამური ეკონომიკური და სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალების, აშშ ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარების შესახებ. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ევროპული კავშირი, 90-იანი წლების დასაწყისში ინტეგრაციის დადგომის შედარებით გრძელი პერიოდის შემდეგ, შეუდგა "მკვეთრი ფორსაჟის" პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ინტეგრაციის გაღრმავებაზე და გაფართოებაზე. ამავე დროს იკვეთება იაპონიის და სამხრეთ-აღმოსავლეთის აზიის რიგი ქვეყნების ეკონომიკური სიმძლავრის სწრაფი ზრდა. აქტიურდება წყნარი ოკეანის-აზიური ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის მოქმედება, მოჩანს აზიური საერთო ბაზრის შექმნაზე იაპონიის კურსი, მიმდინარეობს მოლაპარაკებები აღმოსავლურ-აზიური ეკონომიკური თანასაზოგადოების შექმნის შესახებ და ა.შ. მსოფლიო ეკონომიკურ ცხოვრებაში მოვლენების ასეთ ევოლუციას არ შეიძლება არ მიექცია აშშ ყურადღება, არ აეძულებინა იგი მიეღო ქმედითი ზომები, იმისათვის რომ აეცილებინათ შესაძლო ნეგატიური შედეგები.

ჩრდილო-ამერიკულ სივრცეში ინტეგრაციის განვითარების წამყვანი როლი, რათქმა უნდა ეკუთვნის აშშ, რომელიც მრავალი წლის მანძილზე თავისი კომპანიების მეშვეობით აქტიურად მკვიდრდებოდა მეზობლების ეკონომიკაში. კონტინენტზე ამერიკული ეკონომიკის დამთრგუნველი უპირატესობის, მსოფლიო ბაზარზე უსიტყვო ლიდერობის პერიოდში, აშშ დიდად არ საჭიროებდა თავის კონტინენტზე ინტეგრაციული პროცესების განვითარებას. მსოფლიოში განლაგების ცვლილებამ ობიექტურად დააყენა მის წინაშე ეს ამოცანა.

პოლიტიკური ხასიათის არგუმენტების გარდა, შეთანხმების ყველა მონაწილე-ქვეყანას აქვს თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკულ ასოციაციაციაში (НАФТА) მონაწილეობის მიღების თავისი ეკონომიკური დასაბუთებული მიზეზები. ასე, ამერიკული ექსპერტების აზრით, ექსპორტის გაზრდა მიიყვანს სამუშაო ადგილების რიცხვის ზრდასთან (ეს გათვლები უკვე დადასტურდა, დროის შედარებით მცირე შუალედის მიუხედავად). დიდი იმედები უკავშირდება მექსიკურ ტერიტორიაზე შრომატევადი, მასალატევადი და სხვა ძვირადღირებული წარმოებების პროცესის გადატანასთან, რამაც არსებითად უნდა იმოქმედოს ხარჯების დაწევაზე და ამით აწიოს ამერიკული საქონლის კონკურენტუნარიანობა. ამერიკელი პოლიტოლოგები-ეკონომისტები თვლიან თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკულ ასოციაციას

(НАФТА) თავისებურ ტრამპლინად ლათინურიამერიკის ქვეყნების ეკონომიკაში ღრმად შესაღწევად, ხარისხობრივად ახალ პირობებზე, მაგალითად პარტნიორის, და არა "ექსპლუატატორის".

თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკული ასოციაციის (НАФТА) განმასხვავებელი თავისებურებებია ის, რომ იგი ვრცელდება უზარმაზარ ტერიტორიაზე 370 მლნ. ადამიანი მოსახლეობით და ძალიან ძლიერი, განსაკუთრებით აშშ წყალობით, ეკონომიკური პოტენციალით. ჩრდილო-ამერიკული ინტეგრაცია ატარებს ასიმეტრიულ ხასიათს (ორმხრივი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარების და ინტენსიურობის ასიმეტრია), ვინაიდან, ერთის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკული ასოციაცია (НАФТА) შექმნეს ისეთმა განვითარებულმა სახელმწიფოებმა, როგორიცაა აშშ და კანადა, მეორეს მხრივ – მექსიკა, რომელსაც გააჩნია დიდი ეკონომიკური და დემოგრაფიული პოტენციალი, მაგრამ რომელიც მაინც განვითარებად ქვეყნებს მიეკუთვნება. გარდა ამისა, თავისი პოტენციალით, ჩრდილოეთის და სამხრეთის პარტნიორები მრავალჯერ უთმობენ აშშ (იხილეთ დანართის #1 ცხრილი).

კანადის ეკონომიკა მჭიდროდ დაკავშირებულია აშშ ეკონომიკასთან. აშშ წილი კანადის გარესავაჭრო ბრუნვაში შეადგენს დაახლოებით 70% და, პირიქით, კანადის წილი – 20%. ეს ძალიან დიდი მაჩვენებელია, თუ გავითვალისწინებთ, რომ ყველაზე ინტეგრირებულ დაჯგუფებაში, ევროპულ კავშირში, გერმანიის წილი საფრანგეთის გარესავაჭრო ბრუნვაში შეადგენს 20% ნაკლებს, ხოლო საფრანგეთის წილი – 10% ცოტა მეტს. 80-იანი წლების ბოლოს კანადელები მივიდნენ დასკვნამდე აშშ-სთან ინტეგრაციული პროცესების გასაღრმავებლად, შედარებით სასიკეთო პირობების დადგომის შესახებ, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ კანადური ფირმების ეფექტურობა მიუახლოვდა ანალოგიურ ამერიკულ მაჩვენებელს. საბაჟო ბარიერების ლიკვიდაციის შემდეგ შესაძლო ეკონომიკური მოგება წინასწარ იქნა დაანგარიშებული, კერძოდ, გადამამუშავებელი და მომპოვებელი მრეწველობის. კანადის მთავრობა თვლის, რომ თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკულ ასოციაციაში (НАФТА) მონაწილეობა შესაძლებელს გახდის სამეცნ. პროდუქციის გამოშვებას, გაზარდოს შემოსავალი, რადგან კანადაში შრომის ანაზღაურება უფრო მეტია, ვიდრე დაჯგუფების პარტნიორების. უნდა აღინიშნოს, რომ კანადაში არის აშშ-სთან, თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკულ ასოციაციასთან (НАФТА) ინტეგრაციის გაღრმავების ბევრი მოწინააღმდეგე, რადგან ამერიკული ფირმები კანადაში მეტად აგრესიულნი არიან, და არსებობს ზოგიერთ დარგზე ნაციონალური კონტროლის დაკარგვის გარკვეული

საშიშროება. კანადელების სიფრთხილე გასაგებია კიდევ იმიტომ, რომ ჯერჯერობით არ შექმნილა ძლიერი იურიდიული ინსტიტუტები, რომლებიც მოწოდებულია ეკონომიკური პროცესების თანხლებისათვის.

თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკულ ასოციაციაზე (НАФТА) დიდ იმედებს ამყარებს მექსიკა. იგი ვარაუდობს მკვეთრად გაზარდოს თავისი განვითარების ტემპები, გაატაროს რეფორმები და უკვე 10-15 წლის შემდეგ თავისი განვითარების დონით მიუახლოვდეს მრეწველურად განვითარებულ ქვეყნებს. იყო მიღებული გაბედული ზომები კაპიტალის მოძრაობის ლიბერალიზაციაზე. ამავე დროს არსებობს საფრთხე, რომ მექსიკურ კომპანიებს ძალიან გაუჭირდებათ შეაჩერონ ჩრდილოელი მეზობლების ზეწოლა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაში, სადაც შეიძლება სერიოზული პრობლემები გაჩნდეს.

ამჟამად ჯერ რთულია შეაფასო თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკული ასოციაციის (НАФТА) მოქმედების ეფექტურობა, ვინაიდან არც ისე დიდი დრო გავიდა, თუმცა უკვე დღესდღეობით ჩანს რიგი სამხრეთამერიკული ქვეყნის მისწრაფება შეუერთდეს ამ ეკონომიკურ ჯგუფს. ალბად, ახლო პერსპექტივაში თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკული ასოციაციის (НАФТА) გაფართოების მოლოდინი შესაძლებელი იქნება, თუმცა საჭიროა შეიქმნას გარკვეული ორგანიზაციული სტრუქტურები და შემუშავდეს თანამშრომლობის მექანიზმი.

თემა 8

თანამშრომლობა წყნარი ოკეანის-აზიურ რეგიონში

ბოლო წლებში ძალას იკრებს ინტეგრაციული პროცესები აღმოსავლეთ აზიაში. თითქმის 30 წლის განმავლობაში წარმატებით მოქმედებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია (ACEAH), რომელშიც შედის ოთხიდან ერთერთი აზიური "დრაკონი" – სინგაპური, და აგრეთვე სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ACEAH) "ახალი ტალღის" – მალაიზია, ინდონეზია, ტაილანდი, ბრუნეი და ფილიპინები. ამ დაჯგუფების ჩარჩოებში ურთიერთ თანამშრომლობის წარმატება მჭიდროდ დაკავშირებულია სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ACEAH) მონაწილე – ქვეყნების უმრავლესობის მძვინვარე ეკონომიკურ ზრდასთან, მათი განვითარების დონის შეხამებასთან, რომელიც კარგად აწყობილია და გააჩნია ძველი ისტორიული ტრადიციები ურთიერთსავაჭრო კავშირებით, და აგრეთვე თანამშრომლობის დარეგულირებული ფორმით. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ACEAH) გეგმაშია 2000 წლამდე დაწიოს მონაწილე-ქვეყნების საბაჟო გადასახადები საშუალოდ 5% 38000 დასახელების საქონელზე. 1995 წლის ბოლოს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება 2003 წ. თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ, და მოვლენების სასიკეთოდ განვითარებისას – 2000 წლისთვის.

აღმოსავლეთ აზიაში ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების პერსპექტივები მნიშვნელოვნად დაკავშირებულია (АТЭС) ეკონომიკური თანამშრომლობის წყნარი ოკეანის – აზიური ორგანიზაციების შექმნასთან. წყნარი ოკეანის – აზიური თანამშრომლობა (АТЭС) – არის მთავრობათაშორის ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს რეგიონის 21 სახელმწიფოს.

წყნარი ოკეანის – აზიური თანამშრომლობა (АТЭС) შეიქმნა 1989 წელს ავსტრალიის წინადადებით, წყნარი ოკეანის ბასეინში ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების მიზნით. თავდაპირველად მასში შედიოდა 12 ქვეყანა^ ავსტრალია, ბრუნეი, კანადა, ინდონეზია, იაპონია, მალაიზია, ახალი ზელანდია, ფილიპინები, სინგაპური, სამხრეთ კორეა, ტაილანდი და აშშ. შემდეგ წლებში მათ ჩინეთი, ჰონკონგი (სიანგანი), ტაივანი, მექსიკა, ჩილე, პაპუა-ახალი გვინეა, ხოლო 1998 წელს – ვიეტნამი, პერუ და რუსეთი.

წყნარი ოკეანის – აზიურ თანამშრომლობას (АТЭС) ფორმალურად კონსულტატიური სტატუსი აქვს, მაგრამ მისი სამუშაო ორგანოების ჩარჩოებში განისაზღვრება ვაჭრობის, ინვესტიციური და საფინანსო მოქმედების წარმოების რეგიონალური წესები, ტარდება დარგობრივი მინისტრების და ექსპერტების შეხვედრები, ამა თუ იმ სფეროებში თანამშრომლობის საკითხებში.

1993 წელს შედგა წყნარი ოკეანის – აზიური თანამშრომლობის (АТЭС) ქვეყნების (სიეტლი, აშშ) ლიდერთა პირველი შეხვედრა, რომლის მსვლელობისას გამოიკვეთა სერიოზული შეუთანხმებლობები რეგიონში გაჩაღებული ინტეგრაციული პროცესებისაგან, კეთილდღეობების უთანასწოროდ გადანაწილების გამო. ექსპერტთა შეფასებით, წყნარი ოკეანის – აზიური თანამშრომლობის (АТЭС) ვაჭრობის ლიბერალიზაციამ უნდა მიგვიყვანოს წევრი-ქვეყნების რეალური შემოსავლების 2% გაზრდისკენ. მაგრამ მოგებას პირველ რიგში უფრო მეტად კონკურენტუნარიანი ქვეყნები მიიღებენ.

წყნარი ოკეანის – აზიურ რეგიონში ეკონომიკური ინტეგრაციების პროცესების შეფასებისას, მრავალი სპეციალისტი მისი განვითარების განსაკუთრებულ პირობებზე და თავისებურებაზე მიუთითებენ. ტერიტორიალური განვითარების სააგენტოს ინტეგრაციული პროცესების თავისებურებების ძირითად რიცხვს, შეიძლება მივაკუთვნოთ შემდეგი:

- პირველი, წყნარი ოკეანის – აზიური თანამშრომლობის (АТЭС) ორგანიზაციებში ინტეგრაციული პროცესები, მიდიან ტრანსნაციონალური კომპანიების (ТНК) წამყვანი როლით, რომლებიც ქმნიან ნიადაგს სახელმწიფოთაშორის თანამშრომლობისთვის. ეს გამოჩნდა კერძოდ იმაში, რომ არასამთავრობო რეგიონალური ეკონომიკური ორგანიზაციების ჩამოყალიბებამ – წყნარი ოკეანის ეკონომიკური საბჭო – წეს (1967 წელს) და საბჭო წყნარი ოკეანის ეკონომიკურ თანამშრომლობაზე – სწეთ (1980 წელს) ბევრად წინ გაუსწრო თავად წყნარი ოკეანის – აზიური თანამშრომლობის (АТЭС) შექმნას. ამასთან ერთად წყნარი ოკეანის ეკონომიკური საბჭო და საბჭო წყნარი ოკეანის ეკონომიკურ თანამშრომლობაზე ფუძნდებოდა ნაციონალური კომიტეტების ბაზაზე, რომლებსაც ჰქონდათ მყარი კავშირები თავიანთ მთავრობებთან და ღებულობდნენ მისგან ყოველმხრივ მხარდაჭერას;
- მეორე, ინტეგრაციის პროცესი მოიცავს ქვეყნებს არსებითად განსხვავებული ეკონომიკური განვითარების დონით, გასხვავებული კულტურებით და სოციალურ-პოლიტიკური სისტემებით. წყნარი ოკეანის – აზიური თანამშრომლობის (АТЭС) უნიკალური როლი მდგომარეობს იმაში, რომ მასში ერთიანდებიან XX საუკუნის ორი

დიდი ეკონომიკური სახელმწიფო – აშშ და იაპონია, და აგრეთვე XXI საუკუნის ეკონომიკური გიგანტი – ჩინეთი. რაც შეეხება იაპონიას, წყნარი ოკეანის – აზიური თანამშრომლობა (АТЭС) არის ერთადერთი ინტეგრაციული ტიპის საერთაშორისო სტრუქტურა, სადაც შედის ეს სახელმწიფო. მნიშვნელოვანია აღინიშნოს ის ფაქტი, რომ წყნარი ოკეანის – აზიურ თანამშრომლობაში (АТЭС) შედიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა და ტაივანი, რომელთა შორის არც თუ ისე მარტივი ურთიერთობები, ითხოვენ სასიკეთო გარე პირობებს;

- მესამე, ინტეგრაცია ტერიტორიალური განვითარების სააგენტოს მასშტაბებში მოიცავს სუბრეგიონალურ ეკონომიკურ კავშირებს (სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაცია (ACEAH), თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკული ასოციაცია (НАФТА), წყნარი ოკეანის – სამხრეთ ფორუმი და სხ.) ანუ უშვებს ინტეგრაციის სხვადასხვა დონეებს, მაგალითად საგარეო პოლიტიკის ლიბერალიზაციის ხარისხში;
- მეოთხე, წყნარი ოკეანის "გახსნილი" რეგიონალიზმის იდეოლოგია, განვითარებული წყნარი ოკეანის ეკონომიკურ საბჭოში და საბჭოში წყნარი ოკეანის ეკონომიკურ თანამშრომლობაზე, განიხილავს რეგიონალურ ინტეგრაციას, როგორც ეკონომიკური გლობალიზმის ელემენტს. ამასთან მსოფლიო ეკონომიკის ევოლუცია წარსდგება, როგორც თანდათანობითი გაერთიანების და რეგიონალური ეკონომიკური კავშირების ურთიერთშეღწევის პროცესი. "ღია რეგიონალიზმის" კონცეპცია აგრეთვე ითვალისწინებს იმას, რომ წყნარი ოკეანის რეგიონის შიგნით იხსნება შეზღუდვები საქონლის, კაპიტალის, სამუშაო ძალის ბრუნვაზე, მიიღება პროტექციონიზმზე უარის თქმის ვალდებულებები, სტიმულირდება შიდარეგიონალური ეკონომიკური კავშირები.

მთლიანობაში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ACEAH) ჩარჩოებში ინტეგრაციული ურთიერთობების მოწიფულობის ხარისხი ჯერჯერობით დაბალია. ასე მაგალითად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ACEAH) სისტემაში ვაჭრობის ზონა შეიძლება მივაკუთვნოდ ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების პირველ ეტაპს, ე.ი. თავისუფალი ვაჭრობის ზონას ტარიფების და სხვა შეზღუდვების მოხსნით. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციასთან (ACEAH) მიმართებაში ჯერჯერობით შეიძლება ითქვას არა როგორც თავისუფალი ვაჭრობის ზონის შესახებ, არამედ როგორც "ღია ეკონომიკური ასოციაციის შესახებ".

ამ ორგანიზაციის ჩარჩოებში სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ACEAH) განვითარების და ინტეგრაციული პროცესების პერსპექტივები უახლოეს წლებში განიხილება სამ ვარიანტში.

პირველი - სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ACEAH) განვითარება მოხდება ბაგორში თათბირზე მიღებული სცენარით (1994 წ. ინდონეზია). მასთან შესაბამისად შეიქმნება თავისუფალი ვაჭრობის ზონა და 2020 წ. ინვესტიციური სფეროს ლიბერალიზაცია (მრეწველურად განვითარებული ქვეყნებისთვის – 2010 წ.). საბაჟო ტარიფების დაწევა მოხდება ტარიფების და ვაჭრობის გენ. შეთანხმების (ГАТТ)/მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (ВТО) ჩარჩოებში მიღწეული შეთანხმებების შესაბამისად.

მეორე, როგორც სპეციალისტები ვარაუდობენ, ყველაზე საალბათო ვარიანტი, გაამაგრებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების ასოციაციის (ACEAH) რეგიონში ვაჭრობის პრობლემების განხილვისათვის ფორუმის როლს. ამ შემთხვევაში გარდაუვალია კამათი უკვე არსებული შეთანხმებების შესრულების მსვლელობაზე, რაც მიგვიყვანს ორგანიზაციის შესუსტებისკენ. ამ პირობებში ამაღლდება სხვა, რეგიონალურად უფრო ინტეგრირებული დაჯგუფებების როლი, მითუმეტეს, რომ სუბრეგიონებში და ტერიტორიალური განვითარების სააგენტოს (АТР) ჯგუფებში, ცალკეული ქვეყნების ინტეგრირების ხარისხი, შედარებით მაღალია და მათ შეუძლიათ გახდნენ მთლიანად რეგიონში ინტეგრაციული პროცესების დაჩქარებული განვითარების თავისებური პოლუსები, უჯრედები. ასე მაგალითად არსებობს “ზრდის სამკუთხედი” – სამხრეთ – ჩინეთის ეკონომიკური ზონა (ჩინეთი, ჰონკონგი, ტაივანი); ზრდის ოქროს სამკუთხედი” (ინდონეზია, მალაიზია, სინგაპური); იაპონიის ზღვის ბასეინის ქვეყნების ეკონომიკური ზონა; ინდოჩინეთის ეკონომიკური ზონა.

მესამე ვარიანტი არ გამორიცხავს აშშ და ევროპულ კავშირში პროტექციონისტული განწყობების დამკვიდრებას, რაც შეაფერხებს მსოფლიო ვაჭრობის სწრაფ ლიბერაკიზაციას და შეიძლება შეზღუდოს აზიური ქვეყნების მიერ წყნარი ოკეანის – აზიური თანამშრომლობის (АТЭС) ინტეგრაციული პროცესების ჩარჩოები.

ტერიტორიალური განვითარების სააგენტოს (АТР) მრავალი ქვეყნის სწრაფი მზარდი ეკონომიკური ზრდა, ხელს უწყობდა საერთო აზრის ჩამოყალიბებას იმის შესახებ, რომ მსოფლიო ეკონომიკური განვითარების ცენტრი იწევს წყნარი ოკეანის ბასეინის მხარეს. 90-იანი წლების ნახევარში წყნარი ოკეანის – აზიური თანამშრომლობის (АТЭС) ქვეყნებზე მოდიოდა მსოფლიოს მოსახლეობის 38,2% და 55,7 მისი ერთიანი შიდა პროდუქტი (ВВП) (მაშინ როდესაც ევროპულ კავშირზე, მაგალითად, შესაბამისად 6,7 და ერთიანი შიდა პროდუქტის (ВВП) 20,5%). ევროპულ კავშირთან მიახლოებული ხვედრითი წონა გააჩნიათ აგრეთვე თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკული ასოციაციის (НАФТА) ქვეყნებს. წყნარი ოკეანის – აზიურ

თანამშრომლობაზე (АТЭС) მოდის აგრეთვე საქონლით მსოფლიო ვაჭრობის მოცულობის 43,9%, მომსახურეობით ვაჭრობის 32,9% და ტექნოლოგიების ექსპორტის 64,1%. გარე ვაჭრობის სფეროში წყნარი ოკეანის – აზიური თანამშრომლობის (АТЭС) ჩარჩოებში შიდარეგიონალურ გარიგებებზე დამოკიდებულება, და მასში შემავალი ქვეყნების, შეადგენდა 70%, იმ დროს, როდესაც ევროპული კავშირის ქვეყნების ეს მაჩვენებელი აღწევს 55%. ძალიან სწრაფი ტემპებით იზრდება საქონელბრუნვა წყნარი ოკეანის – აზიური თანამშრომლობის (АТЭС) სამ მთავარ მონაწილეს შორის: იაპონიის, აშშ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების (იაპონიის გარეშე).

ზოგიერთი შეფასებით, წყნარი ოკეანის – აზიური თანამშრომლობის (АТЭС) შუაწლის ეკონომიკური ნამატის ტემპები 2000 წლამდე შეადგენენ 3-3,5%. თანაც აზიური ქვეყნები ამ შემთხვევაში მნიშვნელოვნად გაუსწრებენ თავიანთ მრეწველურად უფრო განვითარებულ დასავლეთის პარტნიორებს. ეკონომიკური განვითარების მაღალი ტემპები, საქონლის, მომსახურეობის, კაპიტალების მზარდი შიდარეგიონალური ნაკადები, იძლევიან საფუძველს დასკვნის გამოტანაზე, რომ XXI საუკუნეში წყნარი ოკეანის – აზიური თანამშრომლობა (АТЭС) გახდება მსოფლიოს ეკონომიკური ზრდის ღერძად.

თემა 9

ინტეგრაციული პროცესები სამხრეთ ამერიკაში

განვითარებად სამყაროში ინტეგრაციის აქტიური ცენტრებია – ლათინური ამერიკა, აფრიკა, ახლო აღმოსავლეთი და აზიის ქვეყნები. ინტეგრაცია ამ დონეზე არის სიძნელეების დასუსტების ინსტრუმენტი.

ინტეგრაციამ აქტიურად განვითარება დაიწყო 50-60-იან წლებში. 50-იან წლებში ლათინურ ამერიკაში გაჩნდა "პერიფერიული ეკონომიკის" თეორია. ამ სკოლის თავი – რაულ პრებეში – ამტკიცებდა, რომ ჩამორჩენილი ეკონომიკა ექსპლუატირდება მრეწველურად განვითარებული ქვეყნების მიერ ფასების მექანიზმით. აქედან გამომდინარეობს განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკის მნიშვნელოვანი ასპექტი – მიაღწიო ინდუსტრიალიზაციას, ამასთან ინდუსტრიალიზაცია უნდა ტარდებოდეს პირველ რიგში იმ დარგებში, რომლებსაც უნარი აქვთ შეცვალონ იმპორტი (იმპორტშენაცვლება). დიდი როლი ეთმობოდა რეგიონალურ ინტეგრაციას. მისი დახმარებით ნავარაუდევი იყო შემდეგი შედეგების მიღწევა:

1. იმპორტის რეგიონალური შენაცვლების ხარჯზე შემცირდეს განვითარებული ქვეყნების პოლიტიკაზე დამოკიდებულება, და როგორც შედეგი, მცირედიდ მონაწილეობის მიღება არაეკვივალენტურ გაცვლაში.
2. გადაილახოს ნაციონალური ბაზრების სივიწროვე და გაფართოვდეს საბაზრო სივრცე ოპტიმალურ ზომებამდე.
3. უზრუნველყოფილ იქნას რაოდენობრივი პროტექციონიზმის უპირატესობა.
4. გაიზარდოს ინდუსტრიის ინვესტიციური შესაძლებლობები უცხოური კაპიტალის მოზიდვის ხარჯზე.

- რეგიონალური ბაზრის კოორდინაციის შესაძლებლობა მკვეთრად გაზრდის ტრანსნაციონალური კომპანიების დაინტერესებას ლათინურ ამერიკაში კაპიტალდაბანდებებში;
- რეგიონის სახელმწიფოების ფინანსური საშუალებების გაერთიანების საფუძველზე რეგიონალური მასშტაბით ინვესტიციური პოლიტიკის კოორდინაციის შესაძლებლობა, გამანაწილებელი-კომპენსაციური მექანიზმების და ა.შ. შექმნის ხარჯზე;

- რეგიონალური ინტეგრაცია ხელს უწყობს საგადასახადო ბალანსის დაძაბულობის დაწევას და ასეთი ხერხით წაიყვანდა მათ საგარეო დავალიანების პრობლემის შესუსტებისკენ;
- ურთიერთშევსებადი ეკონომიკური კომპლექსების საფუძველზე ინდუსტრიალიზაციის ერთობლივი დაგეგმვის განხორციელება.

დღესდღეობით არსებობს რამოდენიმე მსხვილი რეგიონალური დაჯგუფება:

1. ინტეგრაციის ლათინოამერიკული ასოციაცია (ილა), მის ჩარჩოებში წარმოქმნილია:
   - ანდების დაჯგუფება
   - ლაპლატის დაჯგუფება
   - ამაზონის პაქტი
2. კარიბის თანასაზოგადოება – რომელსაც ადრე ეწოდებოდა თავისუფალი ვაჭრობის კარიბის ასოციაცია .
3. ცენტრალურ-ამერიკული საერთო ბაზარი (ცასბ)
4. ლათინოამერიკული ეკონომიკური სისტემა (ლაეს)
5. სამხრეთამერიკული საერთო ბაზრის (სამხრეთ კონუსის ქვეყნების ინტეგრაცია)

ყველა გაერთიანება გარდა 5-ე პუნქტში მითითებულისა, რომლებიც იქმნებოდა 80-იან წლებში, რეგიონალური გარდაქმნების სიღრმით და მასშტაბებით გვაძლევენ მდიდარ გამოცდილებას. ყველა დაჯგუფებას შორის შეიძლება გამოვყოთ 4 ჯგუფი:

1. კლასიკური სავაჭრო კავშირები (თავისუფალი ვაჭრობის ზონა), მაგალითად, კარიბის თანასაზოგადოება.
2. მრავალნაციონალური სამრეწველო-კოორდინაციული და კონსულტაციური ორგანიზაციები (ძირითადი ყურადღება ეთმობა: საწარმოო ინტეგრაციას, ენერგეტიკის, ნავთობმომპოვებელი მრეწველობის, ჩარხმშენებლობის განვითარების საერთო კოორდინირებული გეგმების შემუშავებას; მაგალითად – ლათინოამერიკული ეკონომიკური სისტემა;
3. გაერთიანებები, რომლებიც საერთო ძალებით შეიმუშავებენ ცალკეულ პროექტებს, მაგალითად ლაპლატის დაჯგუფება, რომელიც დაკავებულია ლა-პლატის მდინარის ბასეინის ეკონომიკით და ეკოლოგიით, გადადის კომპლექსურ პროგრამებთან;

4. აქტიურად ვითარდება საზაზღვრო ინტეგრაცია, როგორც ტერიტორიალური განვითარების სააგენტოში (ზრდის სამკუთხედი), მაგალითი: ჩილე-კოლუმბია, ჩილე-ვენესუელა, კოლუმბია-ეკვადორი-ვენესუელა (ეს ქვეყნები შედიან თავისუფალი ვაჭრობის ზონაში);

ამ ოთხი ტიპის გარდა, შეიძლება გამოვყოთ რეგიონალიზმის მეხუთე სახესხვაობა: რეგიონალური თანამშრომლობა ქვეყნების ასოციაციების წარმოქმნის სახით, რომლებიც აწარმოებენ და ექსპორტს უკეთებენ საქონლის გარკვეულ სახეობას. ამის მაგალითად შეიძლება გამოვიყენოთ ხორცის მწარმოებელი ლათინოამერიკული ასოციაცია, ლათინოამერიკული ქვეყნების და კარიბის ბასეინის ქვეყნების – შაქრის ექსპორტიორები – ასოციაცია.

ამ გაერთიანებების შემოქმედება ძალიან წინააღმდეგობრივია. მე-20 ს. 60-70-იან წლებში აღინიშნებოდა ისეთი ნეგატიური მოვლენები, როგორიცაა სტაგნაცია.

1960 ლათინური ამერიკის მსხვილ და მეტად დინამიურ სავაჭრო-პოლიტიკურ კავშირებს უნდა მიეკუთვნოს სამხრეთამერიკული საერთო ბაზარი არგენტინის, ბრაზილიის, პარაგვაის და ურუგვაის შემადგენლობით 200 მლნ. ადამიანის მოსახლეობის და 1 ტრილიონზე მეტი დოლარის (მშპ). მასში თავმოყრილია ამ კონტინენტის 45% მოსახლეობა, ერთიანი შიდა პროდუქტის (Вერთობლიობის 50% ზევით, 40% პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, საქონელბრუნვის ერთობლივი მოცულობის 60% მეტი და ლათინური ამერიკის ქვეყნების საგარეო ვაჭრობის მოცულობის 33%.

სამხრეთამერიკული საერთო ბაზრის შექმნის შესახებ ხელშეკრულებით, რომელიც დაიდო 1991 წელს, გათვალისწინებული იყო ოთხ ქვეყანას შორის ურთიერთვაჭრობის პერსპექტივაში ყველა გადასახადების და სატარიფო შეზღუდვების გაუქმება, მესამე ქვეყნებთან მიმართებაში ერთიანი საბაჟო ტარიფის დაყენება, კაპიტალის და სამუშაო ძალის თავისუფალი მოძრაობა, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის და კავშირების დარგში პოლიტიკის კოორდინაცია, სავალუტო-საფინანსო სფეროში სტრატეგიის შეთანხმება.

1994 წლის იანვარში სამხრეთამერიკული საერთო ბაზრის მონაწილე-ქვეყნებმა მიიღეს საბაჟო კავშირისკენ წაწევის პროგრამა და მონიშნეს ვადა (2000 წლამდე), როდესაც საერთო გარესავაჭრო ბრუნვის 85% მთლიანად იქნება განთავისუფლებული ნებისმიერი სატარიფო ბარიერებისაგან. სამხრეთამერიკული საერთო ბაზრის შექმნის შესახებ ხელშეკრულება აგრეთვე ითვალისწინებს 2000 წლამდე, საქონლის უმრავლესობაზე სატარიფო შეზღუდვების გაუქმებას (გარდა შეიარაღებით და

საბრძოლო ტექნიკით, რადიოაქტიური მასალებით, ძვირფასი მეტალებით, ეროვნული კულტურული საკუთრების საგნებით ვაჭრობაზე).

ინტეგრაციის პროცესების მართვისთვის, შეიქმნა ზენაციონალური მართვის ორგანოები: საერთო ბაზრის საბჭო საგარეო საქმეთა მინისტრების შემადგენლობით; აღმასრულებელი ორგანო – საერთო ბაზრის ჯგუფი, რომელიც მუდმივად ფუნქციონირებს მონტევიდეოში შტაბ-ბინასთან; 10 ტექნიკური კომისია, რომელიც ემორჩილება საერთო ბაზრის ჯგუფს, და რომლის ფუნქციებშიც შედის საგარეო ვაჭრობის საკითხები, საბაჟო რეგულირება, ტექნიკური ნორმები, სავალუტო-საფინანსო და მაკროეკონომიკური პოლიტიკა, სახმელეთო და საზღვაო ტრანსპორტი, სამრეწველო ტექნოლოგიები, სოფლის მეურნეობა და ენერგეტიკა. მიიღება ზომები მონაწილე-ქვეყნებს შორის სავაჭრო კონფლიქტების გადასაწყვეტად, სპეციალური ტრიბუნალის შესაქმნელად.

სამხრეთამერიკული საერთო ბაზრის ფუნქციონირების შედეგები მოწმობენ ინტეგრაციული დაჯგუფების გარკვეულ წარმატებებს, საბაჟო კავშირის შექმნის დაუსრულებლობის მიუხედავად. ბლოკის შიგნით ექსპორტის მოცულობა 1991-1997 წწ. თითქმის ოთხჯერ გაიზარდა, ეს იმ დროს, როდესაც იტერაციული ჯგუფის მონაწილე-სახელმწიფოების ჯამურმა ექსპორტმა მესამე ქვეყნებში, ამ პერიოდში გაიზარდა არაუმეტესად 30%. ამასთან სამხრეთამერიკული საერთო ბაზრის საქონლის გატანის საერთო მოცულობით, ბლოკის შიგნით წილი ამავე პერიოდში გაიზარდა 9-დან 20%. სამხრეთამერიკული საერთო ბაზრის ჩარჩოებში საერთო გარეეკონომიკური კავშირების გაფართოება ვრცელდება აგრეთვე მესამე ქვეყნებიდან უცხოურ ინვესტიციებზე. მაგალითად, იაპონურმა კორპორაციამ “ტოიოტა მოტორსი”, რომელმაც არგენტინაში მანქანათმშენებლობის ქარხნის აგებაში დაახლოებით 100 მლნ. დოლარი ჩადო, ამ ქვეყანაში უნდა გამოუშვას 20 ათასი მსუბუქი სატვირთო პიკაპი წელიწადში. ამ ავტომობილების ნახევარი გადაწყვეტილია გაზიდულ იქნას ბრაზილიაში მაკომპლექტებელ ნაკეთობებზე გაცვლით, რომლებსაც აწარმოებენ ბრაზილიელი საწარმოები.

თუ 90-იანი წლების ნახევარში ითვლებოდა, რომ ლათინოამერიკული ქვეყნები უფრო მეტად იწევდნენ თავისუფალი ვაჭრობის ჩრდილო-ამერიკული ასოციაციის ბლოკთან, ახლა ეს სიტუაცია შეიცვალა. სამხრეთამერიკული საერთო ბაზრის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების საფუძველზე შეუერთდნენ ჩილე და ბოლივია (როგორც ასოციირებული წევრები). წინ მიიწევს მოლაპარაკებები სამხრეთამერიკული საერთო ბაზრის და ანდების დაჯგუფებას შორის თანამშრომლობის

შესახებ, სადაც ბოლივიის გარდა შედიან ვენესუელა, კოლუმბია, პერუ, ეკვადორი. სამხრეთამერიკული საერთო ბაზრის გეგმაშია – არც ისე შორეულ პერპექტივაში სამხრეთამერიკული ვაჭრობის ზონის შექმნა –, რომელიც ვრცელდება პანამის არხიდან მაგელანის სრუტემდე.

სამხრეთამერიკული საერთო ბაზრის ინტეგრაციული პროცესები ვითარდება ქვეყანა-მონაწილეებს შორის სიძნელეებით და წინააღმდეგობებით. ასე, ისინი ვერ მივიდნენ შეთანხმებამდე შიდარეგიონალურ ვაჭრობაში ტერიფების სრული გაუქმების შესახებ, პირველად დანიშნული ვადისთვის - 1995 წლის 1 იანვარი. აგრეთვე მათ ვერ შეათანხმეს დანიშნულ ვადებში ერთიანი საგარეო ტარიფები მესამე ქვეყნებიდან საქონლის იმპორტზე. არგენტინა და ბრაზილია, რომელთა წილზეც მოდის სამხრეთამერიკული საერთო ბაზრის წევრი-ქვეყნების საერთო 90% (მშპ), განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ უცხოური კონკურენტებისაგან დაცვას, თავისთან შექმნილი მრეწველობის მაღალტექნოლოგიური დარგების – კომპიუტერების და ტელეკომუნიკაციების მოწყობილობების წარმოებისას. კერძოდ, 90-იანი წლების ნახევარში ბრაზილია გამოდიოდა მესამე ქვეყნებთან ვაჭრობისას ელექტრონული, ნავთობქიმიური მრეწველობის და მძიმე მანქანათმშენებლობის პროდუქციაზე, იმპორტული ბაჟის შემოღებაზე – 35% დონეზე, არგენტინა – 12% დონეზე, ხოლო ურუგვაი და პარაგვაი, რომლებიც შიშობენ ბრაზილიისაგან და არგენტინისაგან ტექნოლოგიურ დამოკიდებულებას, მხარს უჭერდნენ მინიმალურ ბაჟს.

სამხრეთამერიკული საერთო ბაზრის პერსპექტივებს სამხრეთამერიკის ანალიტიკოსები აფასებენ, როგორც სასიკეთოს. შემდგომი განვითარების გზაზე ამ დაჯგუფების ქვეყანა-მონაწილეებმა უნდა გადალახონ არსებული დაბრკოლებები, ეკონომიკურ პოტენციალში მნიშვნელოვანი სხვაობა, იპოვონ საბაზრო მექანიზმების ოპტიმალური გაერთიანებები ლათინოამერიკის რეგიონის სპეციფიკის პირობებში სახელმწიფოს მარეგულირებელი როლით, რომელიც არც თუ ისე დიდი ხნის წინ იმყოფებოდა ავტორიტარული რეჟიმების ძალაუფლების ქვეშ და აშშ კორპორაციების ძლიერი ზეგავლენის ქვეშ.

<u>ლათინოამერიკული ინტეგრაცია</u> – მსხვილი ინტეგრაციული დაჯგუფება, შექმნილი 1980 წელს, შეცვალა აქამდე არსებული ლათინო-ამერიკული ასოციაცია თავისუფალი ვაჭრობის შესახებ , რომელმაც იარსება 1961 წლიდან 1980 წლამდე.

ლათინოამერიკული ინტეგრაციის მიზანია: ლათინოამერიკული საერთო ბაზრის შექმნა თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ლათინო-ამერიკული ასოციაციის თავისუფალი ვაჭრობის ზონის არსებობის წლებში უკვე შექმნილის ბაზაზე.

ორგანიზაციის წევრები არიან 11 ქვეყანა, რომელიც დაიყოფა 3 დაჯგუფებათ:

1. უფრო მეტად განვითარებული (არგენტინა, ბრაზილია, მექსიკა);
2. საშუალო დონე (ვენესუელა, კოლუმბია, პერუ, ურუგვაი, ჩილე);
3. უფრო ნაკლებად განვითარებული (ბოლივია, პარაგვაი, ეკვადორი).

ლათინოამერიკული ინტეგრაციის წევრებმა დადეს ერთმანეთს შორის შეთანხმება, პრეფერენციალური ვაჭრობის შესახებ, სადაც უფრო ნაკლებად განვითარებულებს მეტად განვითარებულების მხრიდან ეთმობათ პრეფერენციები.

ლათინოამერიკული ინტეგრაციის უმაღლესი ორგანოა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო, აღმასრულებელი ორგანო – შეფასებების და დაახლოების კონფერენცია – რომელიც სწავლობს ეკონომიკური განვითარების დონეებს, ინტეგრაციის შესაძლო მიმართულებებს, მისი ზემოქმედებას ეკონომიკაზე, გამოიმუშავებს ინტეგრაციული პროცესების სტადიებს და ამოცანებს; იკრიბება წელიწადში 1. მუდმივი ორგანო – წარმომადგენელთა კომიტეტი. შტაბ-ბინა – მონტევიდეოში (ურუგვაი).

<u>ანდების დაჯგუფება</u> – სუბრეგიონალური ჯგუფი, შექმნილი 1978 წელს. შეთანხმება ძალაში შევიდა 1980 წელს.

მონაწილეები: ბოლივია, ბრაზილია, ვენესუელა, გაიანა, კოლუმბია, პერუ, სურინამი, ეკვადორი.

მიზანი: ამაზონიის ერთობლივი შესწავლა, ათვისება, გამოყენება, მისი რესურსების დაცვა; ქვეყნებს შორის ხორციელდება თანაბარი განაწილება, თანაბარი კვოტების, ფინანსური დაბანდებების საფუძველზე.

ყველაზე დიდი წარმატებები მიღწეულია ეკოლოგიის სფეროში. შექმნილია ეკოლოგიური ინფორმაციის ანდების სისტემა.

გარდა ამისა იქნა მიღებული დოკუმენტი “უცხოური კაპიტალის, სავაჭრო ნიშნების, პატენტების და ლიცენზიების მიმართ საერთო რეჟიმი” (24-თა გადაწყვეტილება). ეს დოკუმენტი მიმართულია, საგარეო დიდი ვალის პირობებში, პირდაპირი უცხოური კაპიტალდაბანდებების გამოსაყენებლად პირობების შექმნაზე. ამასთან ლათინოამერიკულმა ქვეყნებმა მკვეთრად აწიეს მოთხოვნილებები პროექტების ეკოლოგიურ უსაფრთხოებაზე.

ყველა ლათინოამერიკული დაჯგუფების თავისებურება არის კარგად გამართული ინსტიტუციონალური სტრუქტურა.

არსებობს ინტეგრაციის ლათინოამერიკული ინსტიტუტი, რომელიც პროფესიულ კადრებს ამზადებს.

<u>ლაპლატის დაჯგუფება</u> – შეიქმნა 1969 წელს ლათინოამერიკული ინტეგრაციის ჩარჩოებში.

მიზანი: ჰარმონიზაცია განვითარება და ლა-პლატის მდინარის ბასეინის ბუნებრივი რესურსების დაცვა.

შტაბ-ბინა – ბუენოს-აირესში.

<u>ამაზონის პაქტი</u> – შეიქმნა 1978 წელს.

ამ დაჯგუფების პრიორიტეტია – ეკოლოგიის სფეროში რეგიონალური თანამშრომლობა, ამაზონიის რესურსების ერთობლივი შესწავლა და ათვისება.

<u>ლათინოამერიკული ეკონომიკური სისტემა</u>

ამ ორგანიზაციის თავისებურება იქედან გამომდინარეობს, რომ იგი არის ერთობლივი კონტინენტალური ორგანიზაცია (ლათინურ ამერიკაში სულ 37 სახელმწიფო, ორგანიზაციების წევრები არიან – 26).

მიზანი: სოფლის მეურნეობის, სურსათის წარმოების დარგში კოორდინირებული პოლიტიკის შემუშავება, ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის, სავალუტო-საფინანსო ინტეგრაციის (შექმნილია ლათინოამერიკული ბანკი) განვითარების საერთო გეგმების შემუშავება და რეალიზაცია. ლათინოამერიკული ეკონომიკური სისტემა (ЛАЭС) გამოდის აშშ-სთან გარეეკონომიკური კავშირების განვითარების საერთო სტრატეგიაზე.

70-80-იან წლებში ბლოკმა, რომელსაც ჰქონდა საკმაოდ ტევადი ბაზარი, განიცადა კრიზისი, რამაც აჩვენა მსხვილი დაჯგუფებების ყველაზე დაბალი ეფექტურობა.

კარიბის თანასაზოგადოება

ყველაზე მდგრადი დაჯგუფებაა კარიბის თანასაზოგადოება შექმნილი 1973 წელს, ტრინიდადში და ტობაგოში ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე. მოიცავს კარიბის ბასეინის 16 ქვეყანას და ყველა ინტეგრაციული დაჯგუფებისგან განსხვავებით არა მხოლოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოებს, არამედ დამოკიდებულ ტერიტორიებს.

კარიბის თანასაზოგადოება დაფუძნებულია ადრე შექმნილ ტავისუფალი ვაჭრობის ზონაში. მასში არსებობს განსხვავებული სუბრეგიონალური განყოფილებები; მასში არსებობენ განსხვავებული სუბრეგიონალური განყოფილებები; უფრო მეტად წინ წაწეულნი რეგიონალური ინტეგრაციის თვალსაზრისით არიან:

- კარიბის საერთო ბაზარი კარიკომის ანუ კარიბის თანასაზოგადოების ჩარჩოებში, სადაც მთლიანად ლიკვიდირებულია სავაჭრო შეზღუდვები ბარბადოსს, ტრინიდადს და ტობაგოს, გაიანას, იამაიკას და ანტიგუას შორის. ამ ქვეყნებმა მოიწონეს ერთიანი საბაჟო ტარიფი მესამე ქვეყნების საქონლის მიმართ, ე.ი. ეს არის ფაქტიურად საბაჟო კავშირი, რომელსაც საფუძვლად უდევს სამრეწველო-სანედლეულე საქონელი. ურთიერთვაჭრობის მესამედს შეადგენენ ნავთობპროდუქტები.
- აღმოსავლეთ-კარიბის საერთო ბაზარი, რომელიც მოიცავს ნაკლებად განვითარებად ქვეყნებს; მასში ჩანს ტენდენცია საერთო ვალუტის და საერთო ცბ შესაქმნელად.

1970-80-იან წლებში კარიკომი განიცდიდა კრიზისულ მოვლენებს, დაკავშირებულს სანავთობე და გარეეკონომიკურ კრიზისებთან, რომლებმაც გაზარდეს საგარეო დავალიანება. ამ მომენტისათვის ხდება პოზიტიური ცვლილებები.

1992 წელს – საბაჟო გადასახადების მკვეთრი ვარდნა (დაახლოებით 70%), განსაკუთრებით წარმატებით მიმდინარეობს ინტეგრაცია სოფლის-მეურნეობის წარმოების დარგში (დოკუმენტი "დროა ვიმოქმედოთ"). იყო წარმოდგენილი ინტეგრაციის ახალი მოდელი სახელმწიფო ჩარევის შესუსტებისკენ ტენდენციის საფუძველზე.

1995 წელს – მოქალაქეთა თავისუფალი გადაადგილება, საპასპორტო რეჟიმის გაუქმება.

სამხრეთ კონუსის ქვეყნების გაერთიანებული ბაზარი - მერკოსური.

1980 წლებში არგენტინამ და ბრაზილიამ ხელი მოაწერა აქტს ინტეგრაციის შესახებ, რომელსაც მოგვიანებით შეუერთდნენ პარაგვაი და ურუგვაი. 1991 წელს 4 ქვეყანამ ხელი მოაწერა ასუნსიონის ხელშეკრულებას, რომელმაც ლეგალიზება გაუკეთა მერკოსურს ანუ კარიბის თანასაზოგადოებას.

4 ქვეყნის მოსახლეობა შეადგენს – 200 მლნ. ადამიანს. ჯამური ერთიანი შიდა პროდუქტები – 1 მლრდ. დოლარს. ამასთან ბრაზილიაზე მოდის: მოსახლეობის 80%, ვაჭრობის 43%, ექსპორტის დაახლოებით 60% და იმპორტის 30%.

მერკოსურის ანუ კარიბის თანასაზოგადოების მიზნები:

1. წარმოების ოთხი ფაქტორის თავისუფალი მოძრაობა;
2. მესამე ქვეყნების მიმართ ერთიანი საბაჟო პოლიტიკა;

3. მაკროეკონომიკური პოლიტიკის, სოფლის მეურნეობის დარგში პოლიტიკის, საგადასახადო და ფულად სისტემებში კოორდინაციის უზრუნველყოფა;

4. ეკონომიკური პოლიტიკის მიმართ კანონმდებლობის შესაბამისობამდე მიყვანა და კოორდინაციის ჩატარება;

5. მკვეთრად გაიზარდოს ქვეყანა-მონაწილეების კონკურენტუნარიანობა.

შექმნილია ინსტიტუციონალური სტრუქტურები, ზენაციონალური ორგანოები:

1. საერთო ბაზრის საბჭო – საკანონმდებლო და კონსულტატიური ორგანო

2. საერთო ბაზრის ჯგუფი – აღმასრულებელი ორგანო

3. საარბიტრაჟო სასამართლო

1991 წლიდან 1994 წლამდე პერიოდში ბაჟები დაწეულია 75%-ით. მოიაზრებოდა, რომ 1995 წელს იქნება შემოღებული საერთო ტარიფი მესამე ქვეყნების საქონელზე.

მერკოსურის ანუ კარიბის თანასაზოგადოების ნაკლოვანებები: ქვეყანა-მონაწილეების სხვადასხვაგვარი პოლიტიკური სტრუქტურა, პოლიტიკური რეჟიმების შეცვლა, ქვეყნებში მიმდინარეობს რეფორმები – ეს ყველაფერი ერთად ხელს უშლის ინტეგრაციის პროცესის ნორმალურ მიმდინარეობას.

თავისუფალი ვაჭრობის ლათინოამერიკული ასოციაციის (ლასტ) და თავისუფალი ვაჭრობის კარიბის ასოციაციის (კარიფტა) თანამედროვე მდგომარეობა.

ლათინური ამერიკის და კარიბის ბასეინის სახელმწიფოების ეკონომიკურმა ინტეგრაციამ გასულ ათწლეულებში განიცადა არსებითი ცვლილებები. ორმა თავდაპირველმა დაჯგუფებამ - თავისუფალი ვაჭრობის ლათინოამერიკულმა ასოციაციამ (ლასტ) და თავისუფალი ვაჭრობის კარიბის ასოციაციამ (“კარიფტა”, შეიქმნა 1965 წელს) შეიცვალეს სახელწოდება და ორიენტაცია. თავდაპირველად მიღებულ სტრატეგიაზე, მიზანმიმართული შიდა წარმოების პროდუქციის იმპორტის ჩანაცვლებაზე საგადასახადო ბალანსის პრობლემის გადასაწყვეტად, მოუწიათ უარის თქმა, ლათინოამერიკული ქვეყნების ნაციონალური ბაზრების მცირე ტევადობის გამო.

თავისუფალი ვაჭრობის ლათინოამერიკული ასოციაცია (ლასტ) და თავისუფალი ვაჭრობის კარიბის ასოციაცია (კარიფტა) ინტეგრაციის ფორმებით იყვნენ თავისუფალი ვაჭრობის ზონები. მათი რეორგანიზაციის მიზეზი გახდა რეგიონალური

თანამშრომლობისკენ სტიმულების არქონა. ორივე ინტეგრაციული გაერთიანება ვაჭრობდა უფრო მეტად აშშ-სთან, ვიდრე რეგიონის ქვეყნებთან.

თავისუფალი ვაჭრობის ლათინოამერიკული ასოციაციის (ლასტ) საფუძველზე 1980 წელს შეიქმნა ინტეგრაციის ლათინოამერიკული ასოციაცია (ილა). სასაზღვრო საბაჟო ტარიფების ფორმალური გაუქმების მაგივრად ინტეგრაციის ლათინოამერიკულმა ასოციაციამ (ილა) შექმნა რეგიონალური საშეღავათო საბაჟო გადასახადების და ეკონომიკური თანამშრომლობის სხვა ფორმების უფრო მოქნილი სისტემა. მაგრამ ინტეგრაციის ლათინოამერიკულმა ასოციაციამ (ილა) არ შეიმუშავა საერთო ბაზრისკენ გადასვლის ზუსტი გრაფიკი. ინტეგრაციის ლათინოამერიკული ასოციაცია (ილა) როგორც თავისუფალი ვაჭრობის ლათინოამერიკული ასოციაცია (ლასტ), თითქმის 90% ორიენტირებს მესამე ქვეყნებთან ვაჭრობაზე, და პირველ რიგში აშშ-სთან. შიდარეგიონალური ვაჭრობის წილად მოდის მხოლოდ 11%, ინტეგრაციის ლათინოამერიკული ასოციაციის (ილა) წევრი-ქვეყნების ჯამური საქონელბრუნვიდან.

ანდების სუბრეგიონალური დაჯგუფება, შექმნილი 1969 წელს, თავისუფალი ვაჭრობის ლათინოამერიკული ასოციაციის (ლასტ) ჩარჩოებში ითვალისწინებდა ერთიანი საგარეო ტარიფების შემოღებას, უცხოურ კაპიტალთან მიმართებაში ეკონომიკური პოლიტიკის შემოღებას საწარმოო დარგების და ინფრასტრუქტურის განვითარების ერთობლივი პროგრამირების მეშვეობით, შიდა და გარე ფინანსური რესურსების მობილიზაციას, სპეციალური შეღავათების მიცემას კავშირის უფრო ნაკლებად განვითარებული წევრებისთვის – ბოლივიას და ეკვადორს და ა.შ.

თუმცა რეგიონალურმა და პოლიტიკურმა პრობლემებმა საშუალება არ მისცეს ჯგუფს სრულად გამოეყენებინათ ინტეგრაციის უპირატესობები, ვინაიდან შიდარეგიონალურ ვაჭრობაზე მოდიოდა მხოლოდ 5% წევრი-ქვეყნების ჯგუფების ჯამური საქონელბრუნვიდან.

კარიბის თანასაზოგადოება (“კარიკომი”) იყო შექმნილი 1973 წელს, ჩაგუარამოს ხელშეკრულების საფუძველზე. იგი ითვალისწინებს თანასაზოგადოების სუვერენული წევრების პოლიტიკურ და ეკონომიკურ თანამშრომლობას, მათი პოზიციების შეთანხმებას უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე, ერთობლივ გამოსვლებს საერთაშორისო არენაზე. ეკონომიკურ დარგში დაგეგმილია “კარიკომის” წევრების სამეურნეო დაახლოების უზრუნველყოფა, ურთიერთვაჭრობის ლიბერალიზაციის გზით, საერთო საგარეო საბაჟო რეჟიმის (საერთო ბაზრის მიღწევა) დაყენება, სოფლის მეურნეობის, ინფრასტრუქტურის, ტურიზმის, სავალუტო და საკრედიტო სფეროების დარგში პოლიტიკის კოორდინაციის გატარება. “კარიკომის”

ჩარჩოებში მოქმედებს რიგი დამოუკიდებელი ორგანიზაცია: სავაჭრო თანამშრომლობაზე – კარიბის საერთო ბაზარი (კსბ); საკრედიტო – კარიბის განვითარების ბანკი და კარიბის განვითარების კორპორაცია და სხვ.

90-იანმა წლებმა ხარისხობრივად შეცვალა ლათინოამერიკული ინტეგრაციის ხასიათი, კერძოდ "ღია რეგიონალიზმის" პრინციპების და ინტეგრაციულ დაჯგუფებებს შორის ურთიერთობებში ფართო პარტნიორობის წყალობით. ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესი ახალი გაერთიანებების შიგნით ("მერკოსური" – არგენტინის, ბრაზილიის, პარაგვაის და ურუგვაის შემადგენლობით)შესამჩნევად უსწრებდა საერთო რეგიონალურ შედეგს.

ბრაზილია, მექსიკა და ჩილე (და ნაკლებად არგენტინა) დგავდნენ სერიოზულ ნაბიჯებს ტექნოლოგიური სივრცის ორგანიზაციის ახალი ფორმების განვითარებისთვის. დაიწყო მოქმედება ლათინოამერიკული საწარმოების ტექნიკური გადაიარაღების შეწევნის რეგიონალურმა და სარეგიონთაშორისო პროგრამებმა. პარალელურად სტიმულირდებოდა მაღალტექნოლოგიური პროდუქციის წარმოების და ექსპორტის ზრდა.

ზოგიერთმა ქვეყნებმა შეძლეს 80-იანი წლებისათვის დამახასიათებელი, შემოსავლების განაწილებაში უთანასწორობის გაძლიერებისკენ მიმართული ტენდენციის დამუხრუჭება. მაგალითად, ურუგვაიში იმ პირთა წილი, რომლებიც სიღარიბის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობენ დაიწია 1986 წელს 15%, ათწლეულის შემდეგ 6%. მსგავსი პროცესები ჩანდა აგრეთვე ბრაზილიაში და ჩილეში.

ლათინური ამერიკის ქვეყნებში ინტეგრაციული პროცესების პრაქტიკის განზოგადება გვიჩვენებს, რომ ინტეგრაციის უფრო მაღალ ფორმებზე ორიენტირება არ მიემართება ნამდვილი ინტეგრაციული ურთიერთობების გამოვლენისკენ. სწორედ ამიტომ ვერ გაუძლო დროით და პრაქტიკით გამოცდას და აღმოჩნდა დაბალეფექტური, 70-80-იან წლებში ასეთმა ცნობილმა დაჯგუფებებმა, როგორიცაა ლათინოამერიკული ეკონომიკური კავშირი (ლაეკ), ლათინოამერიკული ასოციაცია (ილა) და სხვები, შექმნილნი პარტნიორების ურთიერთინტერესების და რეალური შესაძლებლობების სათანადო შემუშავების გარეშე.

აგრეთვე უნდა აღინიშნოს, რომ ლათინური ამერიკის ქვეყნების ინტეგრაციული თანამშრომლობა ატარებს უფრო ექსტენსიურ, ვიდრე ინტენსიურ ხასიათს. პრაქტიკულად არცერთი ამჟამად არსებული ინტეგრაციის ორგანიზაციული ფორმა არ თამაშობს საგრძნობ როლს სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების ამოხსნაში, რომლებიც დგას ლათინოამერიკული სახელმწიფოების წინაშე. ინტეგრაციული გაერთიანებების

სიდიდე საკმაოდ მოკრძალებულია. კონტინენტალური და სუბრეგიონალური ბანკების რეალური შენატანი ჯერჯერობით არც ისე დიდია. /4/

ლათინური ამერიკის სახელმწიფოების ურთიერთშემოქმედება მესამე ქვეყნებთან და სხვა ინტეგრაციულ დაჯგუფებებთან.

ამჟამად უნდა აღინიშნოს ლათინოამერიკული ქვეყნების აქტიურად განვითარებადი ტენდენცია ეგრეთწოდებულ ტრანსკონტინენტალური რეგიონალური ლიბერალიზაციისკენ. ასე 2000 წელს იყო ხელმოწერილი შეთანხმება ევროპული კავშირის და მექსიკის შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს მექსიკური საგარეო ვაჭრობის რეგიონალურ დივერსიფიკაციას. ამჟამად ევროპული კავშირის ქვეყნების წილი მექსიკურ იმპორტში შეადგენს მხოლოდ 9%, ხოლო ექსპორტში – 4%. 2000 წლიდან სამრეწველო საქონლის ნახევარზე მეტი, რომელიც ექსპორტირდება ევროპული კავშირის ქვეყნების მიერ მექსიკაში, არ იბეგრება საბაჟო გადასახადებით, ხოლო მექსიკური მრეწველობის ექსპორტი ევროპული კავშირის ქვეყნებში, სრულიად განთავისუფლებულია გადასახადებისაგან. მსგავსი შეთანხმება დადებულია აგრეთვე ევროპულ კავშირსა და ჩილეს შორის.

წარმოებს მოლაპარაკებები ევროპულ კავშირს და "მერკოსურს" ანუ კარიბის თანასაზოგადოებას შორის თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნის შესახებ. ამ ალიანსს, როგორც თვლიან ექსპერტები, შეეძლო ხელი შეეშალა აშშ მცდელობებისათვის დაეკავებინა დომინირებადი მდგომარეობა ლათინოამერიკულ რეგიონში, და კერძოდ ამერიკაში თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნას.

ეკონომისტთა აზრით, ევროპულ კავშირს და "მერკოსურს" ანუ კარიბის თანასაზოგადოებას შორის შეთანხმებების დადების პერსპექტივები, ისახება საკმაოდ რეალურად. ამ ორ რეგიონში ცხოვრობს 580 მლნ ადამიანზე მეტი, ხოლო მათი ერთობლივი მთლიანი პროდუქტი აღემატება 9 ტრლნ. დოლარს. ევროპული სახელმწიფოები უკვე არიან მითითებული, როგორც ქვეყნების ჯგუფების მთავარი სავაჭრო პარტნიორები. მათი ურტიერთსაქონელბრუნვა 90-იანი წლების ბოლოსთვის უახლოვდებოდა 50 მლრდ. დოლარს. ევროპული კავშირის ქვეყნები არიან ყველა პირდაპირი უცხოური ინვესტიციის 43% წყაროები, რომლებიც შემოედინება "მერკოსურში". თავის მზრივ, ლათინოამერიკული ქვეყნები წარმოადგენენ, ევროპულ კავშირში წარმოებული საქონლის გასასაღებლად, უფრო მეტად დინამიურ განვითარებად ბაზარს. ევროპული კომპანიებისთვის სამხრეთ კონუსის ქვეყნების გაერთიანებული ბაზრის - **მერკოსურის** წევრი-ქვეყნების მიმზიდველობის მიზეზების ახსნისას, ევროპულ-ლათინური ურთიერთობების ინსტიტუტის ექსპერტები

აღნიშნავენ, რომ ინვესტიციების დიდი ნაწილი, განხორციელებული ევროპული კავშირში 90-იან წლებში, საბაზრო-საორიენტაციო და სტიმულირებული იმპორტზე მაღალი გადასახადებით, რომელიც ევროპულ ფირმებს საშუალებას აძლევს მიაწოდონ თავისი პროდუქცია ამ სახელმწიფოების შიდა ბაზრებზე. იმ დარგებს, რომლებშიც იგზავნება სახსრების ძირითადი ნაწილი, აკუთვნებენ კავშირს, ბუნებრივი აირის მოპოვებას, ინფორმაციულ ტექნოლოგიებს, წარმოების ელექტროტექნიკურ საშუალებებს, ტურიზმს, ენერგეტიკას, დაზღვევას, კვებით და სამთომომპოვებელ მრეწველობას.

ვარაუდობენ, რომ შეთანხმება მოუტანს ორივე მხარეს მსხვილ მოგებებს. ორ ბლოკს შორის შეუზღუდავმა სავაჭრო გაცვლა-გამოცვლამ უნდა გაზარდოს ევროპული კავშირის ქვეყნების ყოველწლიური შემოსავლები 6,5 მლრდ. დოლარით და “მერკოსურის” – 1,5 მლრდ. დოლარით, ევროპულ კავშირში 1,3 – 1,4% წელიწადში ექსპორტის დამატებითი გაფართოების წყალობით, ხოლო უკუმიმართულებით – 2,4 – 3,4%.

ევროპულ-ლათინური ურთიერთობების სპეციალისტები თვლიან, რომ “მერკოსურთან” ანუ კარიბის თანასაზოგადოების თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება დაეხმარება ევროპულ კომპანიებს ლათინოამერიკული ქვეყნების ინტეგრირებულ მრავალეროვნულ ბაზრებზე გადასვლისას და ხელს შეუწყობს ევროპულ კავშირში დასაქმების დონის ამაღლებას. “მერკოსურის” წევრი-ქვეყნებისთვის ძირითადი უპირატესობა იქნება მათი სასურსათო და აგრომრეწველური საქონლის ევროპულ ბაზრებზე თავისუფალ გასვლაში, რამაც მათ შესაძლებლობა მისცა შეამცირონ ევროპული კავშირის სახელმწიფოებთან დეფიციტი ვაჭრობაში, რომელიც 90-იან წლების ბოლოს აღწევდა ამ ქვეყნების ჯგუფის მთელი საგარეო ვაჭრობის დეფიციტის 41%. გარდა ამისა, არის შესაძლებლობები ევროპულ კომპანიებთან სტრატეგიული ალიანსის განვითარებისთვის, რომელიც ხელს უწყობს წარმოების ტექნოლოგიის სრულყოფილებას და წვრილი და საშუალო კომპანიების შედგომას.

სამხრეთ კონუსის ქვეყნების გაერთიანებული ბაზრის - **მერკოსურის** და ევროპულ კავშირს შორის მოლაპარაკებებმა ჯერჯერობით ვერ გამოიღო შედეგები, და წინ იქნება ურთიერთმისაღები გადაწყვეტილებების ძიების გრძელი პერიოდი. თუმცა ეს არ არის დაკავშირებული “მერკოსურის” ქვეყნების ეკონომიკურ სიძნელეებთან, არამედ ირეკლავს საერთაშორისო ვაჭრობის ლიბერალიზაციის გრძელვადიან და სიღრმისეულ პრობლემებს.

მოლაპარაკებებში, ევროპული კავშირი – “მერკოსური” ანუ კარიბის თანასაზოგადოება, სიძნელეები წარმოგვიდგება საქონლის საერთაშორისო ნაკადის რეგულირების უფრო ზოგადი პრობლემის კერძო შემთხვევად. ტარიფების და ვაჭრობის შესახებ გენ. შეთანხმების ჩარჩოებში (ГАТТ) “ურუგვაული რაუნდის” მოლაპარაკებების შემდეგ, რომელიც დასრულდა 1994 წელს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (ВТО) შექმნით, აშკარად დადგა პაუზა. 1999 წლის ნოემბერში სიეტლში მოლაპარაკებების ახალი რაუნდის ჩატარების მცდელობები, ჩავარდნით დასრულდა. ცხადია, რომ ვაჭრობის ლიბერალიზაციის ტრადიციული მეთოდები, დაკავშირებული არასატარიფო შეზღუდვების ლიკვიდაციასთან და საბაჟო გადასახადების დაწევასთან, მნიშვნელოვნად ამოწურეს თავისი პოტენციალი. საჭიროა პრინციპულად ახალი მექანიზმები, რომელთა დასანერგადაც ჯერჯერობით მზად არ არიან არც განვითარებული ქვეყნები და არც “მესამე მსოფლიოს” სახელმწიფოები. მოცემული გარემოება არის გლობალიზაციის პროცესის განვითარების არათანაბრობის დამატებითი რწმუნებულება.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თუ მოლაპარაკებები ევროპულ კავშირს და “მერკოსურს” ანუ კარიბის თანასაზოგადოებას შორის წარმატებით დაგვირგვინდება (თავდაპირველად განსაზღვრულ ვადაზე გვიანაც კი), მაშინ მსოფლიოში პირველად იქნება მიღწეული სარეგიონთაშორისო შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ორ მსხვილ გეოგრაფიულად დაშორებულ რეგიონალურ ეკონომიკურ გაერთიანებას შორის. შედეგად წარმოიშობა, ერთის მხრივ, პრეცენდენტი, რომელიც ნიშნავს გლობალური თანამშრომლობის გზაზე უფრო მჭიდრო სარეგიონთაშორისო ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების შესაძლებლობას, ხოლო მეორეს მხრივ - მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციას (ВТО) გაუჩნდება საჭიროება მიაღწიოს იმას, რომ ახალი, ყველაზე მსხვილი ეკონომიკური გაერთიანება არ უშლიდეს ამ ორგანიზაციის წევრი-ქვეყნების საგარეო ვაჭრობის განვითარებას.

ამჟამად მიმდინარეობს, სრულუფლებიანი წევრის უფლებებით “მერკოსურში” ანუ კარიბის თანასაზოგადოებაში ჩილეს შესვლის დეტალური გეგმის შემუშავება. შექმნილია სამი კომისია. პირველი დაკავებულია დაგეგმილი ინტეგრაციული პროცესის იურიდიული მხარდაჭერით. მეორე გამოიმუშავებს ზომებს, მიმართულს ბლოკის წევრი-ქნეყნების ვაჭრობის ლიბერალიზაციაზე. მესამეს მუშაობა ეძღვნება ყველაზე რთულ საკითხს – იმპორტის ბაჟის ერთიანი დონის შექმნას. კომისიები იკრიბებოდა 2001 წლის სექტემბერში ბრაზილიაში და ამავე წლის ოქტომბერში ურუგვაიში.

“მერკოსურის” ქვეყნები გეგმავენ 2002 წლის მეორე ნახევრისთვის ჩილეს ბლოკში შესვლის პროგრამის მომზადების დასრულებას.

სხვაგვარად ხედავენ სიტუაციას თავად ჩილეში. იმპორტის ბაჟები იქ შეადგენს 9%, ხოლო 2003 წლისათვის მთავრობა გეგმავს მათ დაყენებას 6% დონეზე. ასე რომ, ჩილეს ეკონომიკა არის უფრო ღია, ვიდრე “მერკოსურის” ანუ კარიბის თანასაზოგადოების სახელმწიფოების, სადაც შემოზიდვის ბაჟები შეადგენს საშუალოდ 14%. ამიტომ ჯერჯერობით ვერ ხერხდება შეთანხმება ბაჟების ერთიანი დონის შესახებ, ჩილე იტოვებს უფლებას აწარმოოს მოლაპარაკებები სხვა სავაჭრო-ეკონომიკურ დაჯგუფებებთან, ისეთებთან როგორიცაა ევროპული კავშირი და ჩრდილო-ამერიკული შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (НАФТА), და აგრეთვე ცალკეულ ქვეყნებთან.

ასეთი პოზიცია ყველას არ მოსწონს “მერკოსურში” ანუ კარიბის თანასაზოგადოებაში, და იქ ისმის ხმები იმაზე, რომ “საუბარი წავა არა ბლოკის ჩილეში შესვლაზე, არამედ ჩილეს ბლოკში შესვლაზე. მეორეს მხრივ, ჩილეს ეკონომიკა ჯერჯერობით არაფერს არ კარგავს იმისგან, რომ ქვეყანა არ შევიდა ბლოკში. გაერთიანება, თავის მხრივ, რა თქმა უნდა გამყარდა ჩილეს მასთან მიერთებისას. საუბარი მიდის არა ჩილეს ეკონომიკურ პოტენციალზე, რომელიც არც ისე დიდია. ჩილეს მეშვეობით “მერკოსურის” ანუ კარიბის თანასაზოგადოების ქვეყნები უფრო მეტ შესაძლებლობებს მიიღებდნენ აზიური-წყნარიოკეანის რეგიონის სახელმწიფოებთან ვაჭრობისთვის.

ერთიანობაში ჩილეს “მერკოსურში” შესვლის შესაძლებლობის შესახებ ჯერ კიდევ არ არსებობს ერთიანი აზრი. მაგრამ, “ჩილეს ისტორიის” მიუხედავად, “მერკოსური” ანუ კარიბის თანასაზოგადოება, ბოლო დროს ვერ წაიწია ჩინეთთან, იაპონიასთან, კორეის რესპუბლიკასთან, და აგრეთვე თავისუფალი ვაჭრობის ევროპულ ასოციაციასთან (ეასტ), სავაჭრო შეთანხმებების მიღწევის გზაზე, რომელიც მოიცავს შვეიცარიას, ნორვეგიას, ისლანდიას და ლიხტენშტეინს.

მიმდინარეობს მოლაპარაკებები “მერკოსურსა” ანუ კარიბის თანასაზოგადოებას და ანდების დაჯგუფებას შორის. თუმცა ცხადია, რომ მოლაპარაკებები ორ გაერთიანებას შორის თავისუფალი ვაჭრობის ზონის ჩამოყალიბების შესახებ კარგავენ პრაკტიკულ აზრს იმ პრობლემების ფონზე, რომელიც დადგება ორი დაჯგუფების წევრთა წინაშე. არ შეიძლება გამოირიცხოს იმის შესაძლებლობა, რომ ბოლო წლების მოვლენები მიგვიყვანს ანდების თანასაზოგადოების დაშლის პროცესთან, მისი ცალკეული წევრების “მერკოსურის” შემადგენლობაში შემდგომი ჩართვით. ყველა გარემოებებით, ეკვადორის

განცხადება თავისი ეკონომიკის “დოლარიზაციის” დაწყების შესახებ, დღის წესრიგზე აყენებს საკითხს ანდების თანასაზოგადოების ფუნქციონირების პირობების ძირეული გადახედვის შესახებ.

2000 წლის ბოლოს “მერკოსურის” ანუ კარიბის თანასაზოგადოების ქვეყნებმა ხელი მოაწერეს ჩარჩო შეთანხმებას, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ. შეთანხმებამ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკასთან შეიძლება მისცეს რეგიონალური ინტეგრაციის პროექტს ახალი ტრანსატლანტიკური განზომილება.

ბრაზილიამ, მექსიკამ და ჩილემ (ნაკლებად არგენტინამ) ბოლო დროს გადადგეს სერიოზული ნაბიჯები ტექნოლოგიური სივრცის ორგანიზაციის ახალი ფორმების განვითარებისკენ, მათ შორის ბიზნეს-ინკუბატორებში და ტექნოპარკებში. დაიწყო მოქმედება რეგიონალურმა (მაგალითად “ბოლივარის პროგრამა”) და რეგიონებს შორის (“იბეროეკა” ესპანეთთან ერთად) პროგრამამ ლათინოამერიკული საწარმოების ტექნიკური გადაიარაღების ხელშეწყობაზე.

იბეროამერიკული თანასაზოგადოებისთვის პროგრამა “იბეროეკა” არის ცნობილი ევროპული პროგრამის “ევრიკა” თავისებური ანალოგი. შეთანხმება პროგრამა “იბეროეკა”-ს რეალიზაციის შესახებ ხელმოწერილი იყო 21 ქვეყნის ოფიციალური წარმომადგენლების მიერ 1984 წელს. მეთვალყურეთა ხარისხით მასში მონაწილეობენ იუნესკო, ეკლაკი, ოაგი და მბრ. 1988 წელს დაიწყო იბერო-ამერიკული ქვეყნების ტექნოლოგიური განვითარების ქვეპროგრამების რეალიზაცია, ხოლო 1991 წელს – საწარმოთა ტექნოლოგიური განახლების პროექტების განხორციელებაზე, მათ შორის პირდაპირი თანამშრომლობის საფუძველზე. /6/

თემა 10

ინტეგრაციული პროცესები აფრიკაში და არაბულ სამყაროში

თანამშრომლობა და ინტეგრაცია არსებითად განსხვავდება სხვა რეგიონებში მსგავსი პროცესებისგან. 50-60-იანი წლებიდან და ამჟამადაც არსებობს ინტეგრაციისკენ ზოგადკონტინენტალური მიდგომა, ამასთან 60-80-იანი წლების განმავლობაში აფრიკული თეორეტიკოსები ავითარებდნენ საკუთარ ძალებზე დაყრდნობის იდეას, ე.ი. ინტეგრაციამ უნდა შეძლოს განვითარებული ქვეყნების პოლიტიკის ზეგავლენისაგან განთავისუფლება, გამოიყვანოს არაექვივალენტური გაცვლისგან. თუმცა შედეგები იყო უმნიშვნელო, ინტეგრაცია გაძნელებული იყო.

შიდარეგიონალური ვაჭრობის წილი 1993 წელზე შეადგენდა დაახლოებით 5%. ეს გამოწვეულია აფრიკული ქვეყნების ეკონომიკის დახასიათებით:

- მონოკულტურობა;
- ეკონომიკური სტრუქტურების ერთტიპიურობა;

1991 წელს იყო ხელმოწერილი შეთანხმება აფრიკულ ეკონომიკური თანასაზოგადოების შესახებ, რომელიც რატიფიცირებული იყო 1994 წელს.

მიზანი: ეკონომიკური კავშირის შექმნა, როგორც ინტეგრაციის უმაღლესი მიზნის.

ჩანიშნულია სტადიების გავლა:

1. თავისუფალი ვაჭრობის ზონის პანაფრიკანული ჩამოყალიბება
2. საბაჟო კავშირი
3. საერთო ბაზარი
4. ერთიანი სავალუტო კავშირი

აღნიშნულია, რომ გარდამავალი პერიოდი შეადგენს 34 წელს (2025 წლამდე).

რეგიონალური თანამშრომლობა ვითარდება სუბრეგიონალური დაჯგუფებების მეშვეობით.

პრიორიტეტული მოთხოვნილებების გათვალისწინებით უფრო მეტი ყურადღება ეთმობა **აფრიკული ეკონომიკური თანასაზოგადოების** ეტაპობრივი შექმნის შესახებ ხელშეკრულების რეალიზაციას, რომელზეც შეთანხმება ძალაში შევიდა 1994 წლის მაისს. აფრიკული ეკონომიკური თანასაზოგადოების შექმნის - თანდათანობითი გეგმა – ექვს ეტაპად – უნდა განხორციელებულ იქნას 34 წელიწადში. ამასთან, ვინაიდან აფრიკული ეკონომიკური თანასაზოგადოების მთავარი ელემენტებია უკვე არსებული

სუბრეგიონალური დაჯგუფებები, კერძოდ, დასავლეთ-აფრიკის სახელმწიფოების ეკონომიკური თანასაზოგადოება, აფრიკის სამხრეთის განვითარების თანასაზოგადოება, ცენტრალური აფრიკის საბაჟო და ეკონომიკური კავშირი, პირველ 20 წელიწადს ყურადღება პირველ რიგში, იგეგმება დაეთმოს სწორედ მათ მსოფლიო გამყარებას და მათი მოქმედების კოორდინირების გაძლიერებას. აფრიკული ეკონომიკური თანასაზოგადოების შექმნა ობიექტურად დამოკიდებულია სუბრეგიონალური აფრიკული დაჯგუფებების შემდგომი "განწყობილებაზე".

დასავლეთ აფრიკაში მეტად შესამჩნევია **დასავლეთ-აფრიკული სახელმწიფოების ეკონომიკური თანასაზოგადოების** მოქმედების აქტივაცია, რომელიც მიზნად ისახავს რეგიონში საერთო ბაზრის ეტაპობრივ შექმნას. დასავლეთ-აფრიკის სახელმწიფოების ეკონომიკური თანასაზოგადოება შეიქმნა 1975 წელს მის შემადგენლობაში შედის 16 სახელმწიფო. 1995 წლის ივლისში დასავლეთ-აფრიკის სახელმწიფოების ეკონომიკური თანასაზოგადოება 18 სამიტის მსვლელობისას იყო გამოცხადებული თანასაზოგადოების შესახებ განახლებული ხელშეკრულების ოფიციალური შესვლა (ხელმოწერილია ქ. კოტონში 1993 წელს), რომელთანაც თანამშრომლობის შემდგომ აქტივაციაზე და ინტეგრაციის გაღრმავებაზე ამყარებენ ამ სუბრეგიონის რიგი სახელმწიფოები, კერძოდ ხალხის და საქონლის თავისუფალი გადაადგილების, ვაჭრობის განვითარების და სატრანსპორტო ქსელის, ერთიანი პარლამენტის და საერთო ტრიბუნალის შექმნის, ერთიანი ვალუტის 2006 შემოღების შესახებ შეთანხმებების რეალიზაციის გზით. თანასაზოგადოების გეგმების განხორციელება ეჯახება მნიშვნელოვან სიძნელეებს, რომლებიც განპირობებულია სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარების დონეებში განსხვავებით, მათი ეკონომიკური, ფინანსური, სავაჭრო და სხვა ამოცანების გადაწყვეტილებებისთვის ძალაუფლებრივი და საბაზრე ბერკეტების გამოსაყენებისთვის განსხვავებული მიდგომებით. დასავლეთ-აფრიკის სახელმწიფოების ეკონომიკური თანასაზოგადოების ეფექტურობის აწევას აფერხებს მეტოქეობა სუბრეგიონის ფრანკო- და ინგლისურენოვან ქვეყნებს შორის და მათი უფრო მჭიდრო, ვიდრე სხვა რეგიონებში, შეჩვევა ყოფილ მეტროპოლიებთან, და აგრეთვე შიდა პრობლემები ნიგერიაში, რომლებიც არის რიგი ქვეყნების აზრით, დასავლეთ აფრიკაში ინტეგრაციული პროცესების "ლოკომოტივი".

1993 წლის ნოემბერში ქ. კამპალაში (უგანდა) იყო ხელმოწერილი ხელშეკრულება აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის ქვეყნების პრეფერენციალური ვაჭრობის ზონების გარდაქმნის შესახებ **აღმოსავლეთ და სამხრეთ აფრიკის საერთო ბაზრად**, რომლის გეგმებშია 2000 წლისათვის ეკონომიკური, იურიდიული და ადმინისტრაციული

თანამშრომლობისათვის საერთო ბაზრის ჩამოყალიბება, სავალუტო კავშირის – 2020 წლისათვის. საერთო ბაზრის შექმნის იდეა ითვალისწინებდა აფრიკის სამხრეთის განვითარების თანასაზოგადოების შერწყმას. თუმცა 1994 წლის აგვისტოში აფრიკის სამხრეთის განვითარების თანასაზოგადოების სამიტზე ქ. გაბორონში (ბოტსვანა) იყო მიღებული გადაწყვეტილება ორი ორგანიზაციის გაყოფილი არსებობის შესახებ – სამხრეთ და აღმოსავლეთ აფრიკაში შესაბამისად. ამასთანავე საერთო ბაზრის შექმნა ამ აფრიკულ რეგიონში გაძნელებულია იმით, რომ ქვეყნებს შორის იკვეთება მნიშვნელოვანი "დიფერანსი" ეკონომიკურ განვითარებაში, არ არის სტაბილური პოლიტიკური განლაგება და სავალუტო-საფინანსო სფერო.

აფრიკის სამხრეთის განვითარების თანასაზოგადოება – პოლიტიკურ-ეკონომიკური რეგიონალური ბლოკი, რომელიც შეიქმნა 1992 წელს აფრიკის სამხრეთის ქვეყნების განვითარების კოორდინაციაზე კონფერენციის ბაზაზე, რომელიც არსებობს 1980 წლიდან. ამჟამად აფრიკის სამხრეთის განვითარების თანასაზოგადოებაში შედის 12 სახელმწიფო. აფრიკის სამხრეთის განვითარების თანასაზოგადოების დამაარსებლების ჩანაფიქრით, თანამშრომლობის განვითარება უნდა მიმდინარეობდეს "მოქნილი გეომეტრიის" და ინტეგრაციული პროცესების განსხვავებული ტემპის პრინციპით, როგორც ცალკეულ ქვეყნებს შორის, ასევე თანასაზოგადოების შიგნით ქვეყნების ჯგუფებს შორის. ამჟამად თანასაზოგადოებაში მიიღება ზომები ყველასთვის მისაღები ინვესტიციური კლიმატის, საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობის, მიდგომების თანდათანობით უნიფიკაციაზე.

ინტეგრაციული პროცესები აფრიკის სამხრეთში რთულად მიმდინარეობს, და ეჯახება ობიექტური და სუბიექტური ხასიათის დაბრკოლებებს. ამ რეგიონშიც კი, სადაც განთავსებულია შედარებით უზრუნველყოფილი ქვეყნები, მათ შორის შენარჩუნებულია სერიოზული განსხვავებები ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში, შიდა და გარეპოლიტიკური პრიორიტეტების განლაგებაში, რაზეც ხშირად ედება ზოგიერთი სახელმწიფო ლიდერის პირადი ამბიციები. ბუნებრივია, სუბრეგიონალური განვითარების ხასიათი ბევრ რამეში განისაზღვრება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პოზიციით, რეგიონში ეკონომიკურად ყველაზე ძლიერ ქვეყანაში. არ იქნება შეცდომა, თუ ვიტყვით, რომ აფრიკის სამხრეთის განვითარების თანასაზოგადოების ტრანსფორმაცია ნამდვილად ძლიერ ინტეგრაციულ დაჯგუფებაში ითხოვს გარკვეულ დროს.

ცენტრალურ აფრიკაში ეკონომიკური ინტეგრაციის გეგმაში მეტნაკლებად დინამიურად ვითარდებოდა **ცენტრალური აფრიკის საბაჟო და ეკონომიკური კავშირი**,

რომელსაც თავის შემადგენლობაში გააჩნია 6 ქვეყანა. 30 წლის არსებობისას შიდარეგიონალური ვაჭრობა გაიზარდა 25-ჯერ, შემოღებულია ერთიანი საგარეო საბაჟო ტარიფი, ცენტრალური აფრიკის საბაჟო და ეკონომიკური კავშირის ქვეყნების ერთობლივი მონაწილეობის საფუძველზე "ფრანგული ფრანკის ზონაში" შექმნილია ცენტრალური აფრიკის სავალუტო კავშირი, რომლის ცენტრალურ ინსტიტუტს წარმოადგენს ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოების ბანკი. იგი უშვებს ყველა მონაწილესათვის ერთიან საგადასახადო საშუალებებს. ცენტრალური აფრიკის საბაჟო და ეკონომიკური კავშირის ჩარჩოებში აგრეთვე მოქმედებენ საკრედიტო თანამშრომლობის ორგანოები: ცენტრალური აფრიკის სახელმწიფოების განვითარების ბანკი და სოლიდარობის ფონდი.

მოცემული ეკონომიკური დაჯგუფების განვითარების პრობლემებს უნდა მივაკუთვნოთ ქვეყნების ეკონომიკური განვითარების სხვადასხვაგვარი დონე, ნაციონალური ეკონომიკების სუსტი დივერსიფიკაცია და ერთგვაროვნება, ინფრასტრუქტურის განუვითარება, რიგ ქვეყნებში პოლიტიკური არასტაბილურობა. ეს ხელს არ უწყობს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების გადაწყვეტას, რომლებიც განსაზღვრულია ხელშეკრულებაში: კაპიტალების მოძრაობის თავისუფლება (2000 წლისთვის ცენტრალური აფრიკის საბაჟო და ეკონომიკური კავშირის შიგნით საბაჟო ბარიერების თანდათანობითი ლიკვიდაციით), სამრეწველო კოოპერაციის გამართვა, და სხ. შექმნა. 1994 წლის მარტში კავშირის წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება ცენტრალური აფრიკის საბაჟო და ეკონომიკური კავშირის ეკონომიკურ და სავალუტო თანასაზოგადოებაში თანდათანობითი ტრანსფორმაციის შესახებ, ე.ი. ინტეგრაციის უფრო მაღალ დონეზე გამოსვლა. თუმცა ჯერ კიდევ ბევრი პრობლემაა გადასაწყვეტი.

ინტეგრაციისკენ, მჭიდრო ურთიერთგამოსადეგი თანამშრომლობისკენ სწრაფვა აღინიშნება აგრეთვე სპარსეთის ყურის არაბულ სახელმწიფოებშიც. 1981 წლიდან შეიქმნა და ფუნქციონირებს რიგი არაბული სახელმწიფოების თანამშრომლობის საბჭო, რომელშიც შედის საუდის არაბეთი, ქუვეუთი, კატარი, ბაჰრეინი, არაბეთის გაერთიანებული ემირატები და ომანი ("ნავთობის ექვსეული"). 1992 წელს იყო გამოცხადებული ცენტრალური-აზიური სახელმწიფოების (საზოგადოებრივი ეკოლოგიური საბჭო) ეკონომიკური თანამშრობლობის ორგანიზაციის შექმნის შესახებ, რომელიც დამფუძნებელთა ჩანაფიქრით უნდა გამხდარიყო მომავალი ცენტრალური – აზიური საერთო ბაზრის პირველსახე, რომელმაც უნდა მოიცვას აგრეთვე დსთ მუსულმანური რესპუბლიკები – შუააზიის, ყაზახეთი, აზერბაიჯანი.

განვითარებადი ქვეყნების თანამშრომლობაზე საუბრისას, მათი ინტეგრაციისკენ სწრაფვაზე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ რეალური ინტეგრაციული პროცესები ჯერ კიდევ სუსტია და ერთიმეორისაგან განსხვავდება ხასიათით, მოძრავი ფაქტორით, განვითარების ტემპებით. განვითარებადი ქვეყნების უმრავლესობა პრაქტიკულად მდგომარეობს ინტეგრაციის პროცესის გარეთ, ე.ი. ქვეყანათაშორის უშუალო მუდმივად განვითარებადი პროცესის, როგორც ცალკეული ფირმების და საწარმოების, ასევე მთლიანად ნაციონალური მეურნეობების, დონეზე. განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური თანამშრომლობა, მათ მიერ ინტეგრაციული მიზნების გამოცხადება არის მხოლოდ რეალური ინტეგრაციული პროცესის მოსამზადებელი საფეხური. გამოცხადებული ინტეგრაციული დაჯგუფებებიდან მრავალმა, სოციალურ-ეკონომიკური ურთიერთობების მოუმწიფებლობის ძალით, ნაციონალური მეურნეობების სტრუქტურის არადიფერინცირებით და პრიმიტიულობით, საბაზრო და საფინანსო ინფრასტრუქტურის განუვითარებლობით მიიღეს ეს ჩამოყალიბებანი ან გულახდილი გათიშვისათვის, ან სრული წარუმატებლობისათვის.

ინფორმაციისათვის

<u>ეკოვას</u> – დასავლეთ აფრიკაში სახელმწიფოების ეკონომიკური თანასაზოგადოება, შეიქმნა 1975 წელს, მოიცავს 16 წევრს, მათ შორის ბენინი, ბურკინა ფასო, განა, მალი.

მიზნები:

1. 15 წლის განმავლობაში აფრიკული საერთო ბაზრის შექმნა;
2. ერთობლივი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება.

ამ ორგანიზაციის ჩარჩოებში შეიქმნა თანამშრომლობის, კომპენსაციის და განვითარების ფონდი. საბაჟო გადასახადები გაუქმებული იყო ურთიერთმიწოდებული პროდუქციის 80%, მაგრამ მონაწილეთა შორის შიდა რეგიონალური ბრუნვა შეადგენს მხოლოდ 5%, ამ საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოდ, რომ დაჯგუფების მნიშვნელობა არც ისე დიდია. <u>ეკოვას</u> დასავლეთ აფრიკაში სახელმწიფოების ეკონომიკური თანასაზოგადოების ჩარჩოებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ პროექტებს ელექტროენერგეტიკის დარგში, სამთომოპოვების მრეწველობაში, საგზაო მშენებლობაში. იყო დადგენილი მოქალაქეების და მათი ქონების გადაადგილების თავისუფალი რეჟიმი, შეიქმნა ბანკი საწესდებო ფონდით 100 მლნ. $.

<u>იუდეაკ</u> - ცენტრალური აფრიკის ქვეყნების საბაჟო და ეკონომიკური კავშირი.

1964 წელს – 5 ქვეყანა: გაბონი, კამერუნი, კონგო, ჩადი, ეკვატორიალური გვინეა. შექმნილია ერთობლივი ეკონომიკური პროგრამების შემუშავებისთვის, საგადასახადო სისტემის უნუფუკაციისთვის, კავშირის წევრი ქვეყნებისთვის საშეღავათო საბაჟო პირობები (განსაკუთრებით რომლებსაც არ გააჩნიათ გასასვლელი ზღვაზე), ფუნქციონირებს განვითარების ბანკი, სოლიდარობის ფონდი.

თუმცა ინტეგრაცია ვითარდება თითქმის ფორმალურად.

<u>დიდი ტბების ეკონომიკური თანასაზოგადოება</u> – ყოფილი ბელგიურ-ფრანგული კოლონიების ზონის ქვეყნები.

1976 წელი – გამოტანილია წინადადება ეკონომიკური კავშირის შექმნის შესახებ (ბურუნდი, ზაირი, რუანდა). იყო მიღებული თანამშრომლობის პროგრამა მეთევზეობის, ეპიდემიებთან ბრძოლის დარგში. არსებობს ზენაციონალური ორგანოები.

თავისუფალი ვაჭრობის ზონა აფრიკაში.

როგორც იუწყება გაზეთი "ფაინენშელ თაიმს", აღმოსავლეთის და სამხრეთ აფრიკის ცხრა ქვეყანამ ჩამოაყალიბა თავისუფალი ვაჭრობის ზონა 170 მლნ. მოსახლეების ტერიტორიაზე. ერთიანი ბაზრის ტევადობა ფასდება 128 მლრდ. დოლარით.

ეს ცხრა სახელმწიფო კიდევ 12 ერთად არიან აღმოსავლური და სამხრეთ აფრიკის (კომესა) საერთო ბაზრის მონაწილენი, რომელიც შექმნილი იყო 1983 წელს, როგორც პრეფერენციალური ვაჭრობის ზონა. ამ ორგანიზაციის გეგმებში შედის სრული ეკონომიკური ინტეგრაცია, რომლის შემადგენელი ელემენტები უნდა გახდეს თავისუფალი მიგრაციისკენ გადასვლა, თავდაპირველად მხოლოდ კვალიფიციური პერსონალის (2004 წ.) შემდეგ მთელი მოსახლეობის (2014 წ.) და ბოლოს სავალუტო კავშირის ჩამოყალიბება (2025 წ.).

თავდაპირველად ყველა სავაჭრო ბარიერები შიდარეგიონალურ კავშირებში აუქმებენ ჯიბუტი, ეგვიპტე, ზამბია, ზიმბაბვე, კენია, მავრიკიი, მადაგასკარი, მალავი, სუდანი. რჩება ბაჟები შესატან საქონელზე, რომელთა შეძენაც ხდება დაჯგუფების არამონაწილე-ქვეყნების მიერ. 2001 წელს მითითებულ ცხრიანს შეუერთდა კიდევ ექვსი ქვეყანა, შემავალი (KOMECA)-ში. ეკონომიკური ინტეგრაცია გაძნელებულია სერიოზული პოლიტიკური აზრთა სხვადასხვაობით. საერთო ბაზრის ხუთი ქვეყანა მაინც (ანგოლა, დრ კონგო, ზიმბაბვე, რუანდა, უგანდა) იკავებს განსხვავებულ პოზიციებს კონგოს დრ ომში მებრძოლი ძალების მხარდაჭერის მიმართ. (KOMECA)-ს კიდევ ორ სახელმწიფოს – ეთიოპია და ერითრია – დღემდე ატარებდა ერთმანეთს შორის საზაზღვრო ომს.

მეთვალყურეები ყურადღებას აქცევენ წევრი-ქვეყნების მნიშვნელოვან არაერთგვაროვნებას. ერთიანი შიდა პროდუქტის (ВВП) მოცულობით ეგვიპტე (89,2 მლრდ. დოლარი 1999 წელს) 9-ჯერ აღემატება ერთიანი შიდა პროდუქტის მოცულობით დაჯგუფების მონაწილეს – კენიას. ყველაზე პატარა სახელმწიფოს, შემავალს მითითებულ ორგანიზაციაში – ჯიბუტი - ერთიანი შიდა პროდუქტი (ВВП) შეადგენს მცირედ ზომას – დაახლოებით 5000 მლნ. დოლარი. (КОМЕСА)-ში შიდარეგიონალური ვაჭრობა მცირედია – 1,5 მლრდ. დოლარი (1998 წ.), თუმცა მნიშვნელოვნად გაიზარდა შარშან მასში ეგვიპტის შესვლის შემდეგ. შიდარეგიონალური გარიგებების წილად მოდის 7,7% (КОМЕСА)-ს ქვეყანა-მონაწილეების ექსპორტის მთელი მოცულობის, მაშინ როდესაც 30 წლის წინათ – 9%. მთელი კონტინენტისთვის მოცემული მაჩვენებელი შესამჩნევად მაღალია – 10,5%. ამ სტატისტიკის ანალიზისას უნდა გავითვალისწინოთ ოფიციალური წყაროების სპეციფიკა, რომელიც ითვალისწინებს კონტრაბანდულ შემონატანებს, რომელთა მოცულობა საკმაოდ დიდია.

ეგვიპტის გამოკლებით დაჯგუფების არცერთ მონაწილე-ქვეყანას არ გააჩნია მეტად ან ნაკლებად მსხვილი გადამამუშავებელი მრეწველობა, ხოლო უმრავლესობამ (განსაკუთრებით კენია, ზიმბაბვე და ზამბია) გაიარა 90-იან წლებში დეინდუსტრიალიზაციის ეტაპი. (КОМЕСА)-ს ყველა წევრი ვარაუდობს რეგიონში ინტეგრაციული ღონისძიებების სერიის გატარების შემდეგ უკუპროცესის შესაძლებლობას. თუმცა როგორც აღნიშნულია მოხსენებაში “აფრიკული ქვეყნების კონკურენტუნარიანობა” (მომზადებული მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ), ასეთი გათვლები საკმარისად არ არის დასაბუთებული. მადაგასკარის, ზიმბაბვეს და კენიის კონკურენტუნარიანობა ერთერთი დაბალია აფრიკაში. მალავის მდგომარეობა ამ მიმართულებით არც თუ ბევრად უკეთესია. გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის ექსპორტი ეგვიპტიდან და ქვეყნებიდან, რომლებიც მდებარეობს სახარიდან სამხრეთით, შეადგენს დაახლოებით 16,7 მლრდ. დოლარს წელიწადში, ამასთან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წილად მოდის ჯამური სიდიდის თითქმის 60%, ხოლო ეგვიპტის, მავრიკიის და ზიმბაბვეს – კიდევ 20%.

ასეთ პირობებში სავსებით გასაგებია იმ ქვეყნების შიში, რომლებსაც გააჩნიათ გადამამუშავებელი მრეწველობა, და რომელიც იმყოფება პირველადი ჩამოყალიბების სტადიაზე: თავისუფალ ვაჭრობაზე გადასვლასთან ერთად შესაძლებელია დეინდუსტრიალიზაციის გაძლიერება. “აფრიკული ჯუჯები” შეწუხებულნი არიან იმით, რომ სამრეწველო კომპანიები ეგვიპტიდან და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან (უკანასკნელი არ არის (КОМЕСА)-ს მონაწილე) ალბათ გაზრდიან თავიანთ წილს

რეგიონალურ ბაზარზე, ხოლო მათი საკუთარი დამოკიდებულება მინერალური და სოფლის-მეურნეობის ნედლეულის წარმოებისგან და ექსპორტისგან გაიზრდება.

ამ მიზეზით დაჯგუფების ასეთი წევრები, როგორიცაა უგანდა, რჩებიან მეთვალყურეების როლში და ჯერჯერობით თითქმის არ მონაწილეობენ ინტეგრაციულ ღონისძიებებში. სხვებმა, მაგალითად ტანზანიამ და მოზამბიკმა, საერთოდ უარი თქვეს მათ რეალიზაციაზე.

განვითარების საერთაშორისო ბანკის (МБР) და სხვა ზოგიერთი საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტები, მხარს არ უჭერენ იდეას იმის შესახებ, რომ თავისუფალი ვაჭრობის ზონა აფრიკაში ხელს შეუწყობს შიდარეგიონალური მეწარმეობის აქტივიზაციას. ზოგიერთი სპეციალისტი თვლის, რომ პრობლემა არის არა იმდენად სატარიფო და არასატარიფო ბარიერების არსებობა, რამდენადაც ისეთი შემზღუდველი ფაქტორების მოქმედება, როგორიცაა ინფრასტრუქტურის სუსტი განვითარება, სატრანსპორტო დანახარჯების მაღალი დონე, კვალიფიციური კადრების დეფიციტი და სხვა. (КОМЕСА)-ს ქვეყნებში ოფიციალური და საქმიანი წრეების წარმომადგენლები შიშობენ დაჯგუფების მონაწილეებს შორის პოლარიზაციის გაძლიერებას.

აფრიკის ქვეყნებში სამხრეთაფრიკული ქვეყნების ექსპანსია – პრეფერენციალური ვაჭრობის არქონის პირობებშიც კი – აწუხებს მრავალ სახელმწიფოს, რომლებიც მდებარეობენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკიდან ჩრდილოეთით, მაგალითად კენია. საშიშროების განსაკუთრებული მიზეზია (პირველ რიგში აღმოსავლეთ-აფრიკის ქვეყნების) – ეგვიპტის აქტიური მონაწილეობა სავაჭრო ბარიერების დემონტაჟში.

აფრიკაში თავისუფალი ვაჭრობის ზონასთან ექსპერიმენტებს, დღემდე არ მოუტანია საგრძნობი პოზიტიური შედეგი. შიდარეგიონალური ვაჭრობა განვითარებულია კონტინენტზე უფრო სუსტად, ვიდრე ლათინურ ამერიკაში ან აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. როგორც აღნიშნულია განვითარების აფრიკული ბანკის წლიურ მოხსენებაში, “აღინიშნება შიდარეგიონალური ვაჭრობის სტაგნაცია და შემცირება”. აფრიკულ ქვეყნების შორის თანამშრომლობის სისუსტე დაკავშირებულია ისეთ სტრუქტურულ ფაქტორებთან, როგორიცაა შემოსავლების დაბალი დონე და ბაზრების მნიშვნელოვანი დაშორება. ბანკის ექპერტები აფრთხილებენ, რომ რეგიონალური ინტეგრაცია ვაჭრობაზე დაყრდნობით შეიძლება აღმოჩნდეს “კონტრპროდუქტიულად”, ვინაიდან არ გამოირიცხება ეკონომიკური განვითარების ინდუსტრიალიზაციისთვის და დინამიკისთვის ნეგატიური შედეგები. კერძოდ, იმპორტის წყაროდ შეიძლება იქცეს არა აღმოსავლეთ აზია, მისი შედარებით

იაფი საქონლით, არამედ ისეთი ქვეყნები, როგორიცაა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ეგვიპტე და კენია.

ზოგიერთი ეკონომისტები უპირატესობას ანიჭებენ სავაჭრო შეთანხმებებს ჩრდილოეთთან და სამხრეთან, მსგავსად, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას და ევროპულ კავშირს შორის დადებულისა. ამასთანავე ამ დოკუმენტების მომზადება დაკავშირებულია დიდ სიძნელეებთან, ვინაიდან, მაგალითად, ევროპული კავშირი ძალიან ფრთხილად უდგება თავის ბაზარზე შესვლის უზრუნველყოფას.

სხვა სპეციალისტები თვლიან, რომ დადგა “აფრიკული აღორძინების” პერიოდი და კონტინენტის ქვეყნებმა საჭიროა აიღონ საკუთარი ბედის გადაწყვეტა თავიანთ ხელებში.

თემა 11

ინტეგრაციული განვითარების მიმართულებები და პრობლემები დსთ სივრცეში

სსრკ ეკონომიკა ვითარდებოდა როგორც მაღალინტეგრირებადი კომპლექსი, სადაც საერთო ნაწილები იყო მჭიდროდ დაკავშირებული ერთმანეთთან, თუმცა შრომის შიდასაკავშირო დაყოფა არც თუ ყოველთვის იყო გამართლებული მაწარმოებელი ძალების განვითარების თვალსაზრისით. სსრკ დაშლის შედეგად, ჩამოყალიბებული კავშირების გაწყვეტა იყო ძალიან მტკივნეული (1992-1995 წწ. დსთ წევრ-ქვეყნებში ერთიანი შიდა პროდუქტის (ВВП) დაცემა 1/3-დან 1/2-მდე შეფასებით მოდიოდა ამ კავშირების დანგრევის შედეგებზე).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მაშინვე გაჩნდა ინტეგრაციული ტენდენციები ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის. პირველ ეტაპზე ისინი გამოვლინდა ერთიანი ეკონომიკური სივრცის დეზინტეგრაციული პროცესებისაგან, თუნდაც ნაწილობრივ, დაცვის მცდელობებში. ეს მცდელობები პირველ რიგში ეხებოდა იმ სფეროებს, სადაც კავშირების გაწყვეტა განსაკუთრებით არასასიკეთო ზემოქმედებას ახდენდა სახალხო მეურნეობის მდგომარეობაზე (ტრანსპორტი, კავშირი, ენერგომატარებლების მოწოდება და ა.შ.). შემდგომში, დაახლოებით 1996-1997 წწ. გაძლიერდა სწრაფვა ახალ საფუძვლებზე ინტეგრაციისკენ, წარმოშობილი რეალიზების გათვალისწინებით.

რუსეთი – ბუნებრივია დსთ ბირთვია. ყველა პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებიდან მასზე მოდის ¾ ტერიტორიაზე მეტი, მოსახლეობის დაახლოებით ½ და ერთიანი შიდა პროდუქტის (ВВП) დაახლოებით 2/3.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკური ინტეგრაციის ფაქტორები.

ინტეგრაციული ტენდენციები პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩნდება შემდეგი ძირითადი ფაქტორებით:

- შრომის დაყოფით, რომელიც შეუძლებელი იყო შეცვლილიყო მთლიანად დროის პატარა მონაკვეთში. ხშირ შემთხვევაში ეს საერთოდ არამიზანშეწონილია, ვინაიდან ჩამოყალიბებული შრომის დაყოფა მნიშვნელოვნად შეესაბამებოდა ბუნებრივ-კლიმატურ და ისტორიული განვითარების პირობებს;
- დსთ წევრი-ქვეყნების მოსახლეობის ფართო მასების სურვილია, დაიცვან შერეული მოსახლეობის, შერეული ქორწინებების, საერთო კულტურული სივრცის

ელემენტების, ენობრივი ბარიერის უქონლობის, ადამიანების თავისუფალ გადაადგილებაში დაინტერესების და ა.შ. საკმაოდ მჭიდრო კავშირები;

- ტექნოლოგიური ურთიერთდამოკიდებულებით, ერთიანი ტექნიკური ნორმებით.

მაგრამ ინტეგრაციული პროცესები ეჯახებოდნენ აგრეთვე საწინააღმდეგო ტენდენციებს, რომლებიც უპირველესად განისაზღვრებოდა, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მმართველი წრეების მიზანსწრაფვით, გაამყარონ ახლად მიღებული სუვერენიტეტი, გაამაგრონ საკუთარი სახელმწიფოებრიობა. ეს მათ მიერ განიხილებოდა როგორც უდავო პრიორიტეტი, და ეკონომიკური მიზანშეწონილობის შეხედულებები იწევდა მეორე პლანზე, თუ ინტეგრაციული ზომები აღიქმებოდა როგორც სუვერენიტეტის შეზღუდვა. მაგრამ ნებისმიერი ინტეგრაცია, თუნდაც ყველაზე ზომიერი, ითვალისწინებს რაიმე უფლებების გადაცემას, ინტეგრაციული განვითარების ერთიანი ორგანოებისათვის, ე.ი. გარკვეულ სფეროებში სუვერენიტეტის ნებაყოფლობითი შეზღუდვა. დასავლეთი, რომელიც გამკიცხავად ხვდებოდა პოსტსაბჭოთა სივრცეში ნებისმიერ ინტეგრაციულ პროცესებს და რომელიც იხილავდა მათ როგორც "სსრკ ხელახლა შექმნას", თავდაპირველად დაფარულად, ხოლო შემდეგ ღიადაც კი დაიწყო წინააღმდეგობა ინტეგრაციის, ყველა მისი ფორმით, წინააღმდეგ. დსთ წევრი-ქვეყნების დასავლეთზე მზარდი ფინანსური და პოლიტიკური დამოკიდებულების გათვალისწინებით, ამას არ შეიძლება ხელი შეეშალა ინტეგრაციული პროცესებისთვის.

ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მზადყოფნა ინტეგრაციისკენ იყო განსხვავებული, რაც განისაზღვრებოდა იმდენად არა ეკონომიკური, რამდენადაც პოლიტიკური და ეთნიკური ფაქტორებით. ბალტიისპირეთის ქვეყნები თავიდანვე წინააღმდეგნი იყვნენ დსთ რაიმე სტრუქტურებში მონაწილეობაზე. მათთვის რუსეთისგან და თავისი ყოფილი წარსულისგან ყოფილიყვნენ რაც შეიძლება შორს იმისათვის, რომ გაემყარებინათ თავისი სუვერენიტეტი და "შესულიყვნენ ევროპაში" იყო მთავარი, დსთ ქვეყანა – მონაწილეებთან ეკონომიკური კავშირების განვითარებაში და დაცვაში დაინტერესების მიუხედავად. დსთ ჩარჩოებში ინტეგრაციისკენ თავშეკავებული დამოკიდებულება აღინიშნებოდა უკრაინის, საქართველოს, თურქმენეთის და უზბეკეთის მხრიდან, უფრო დადებითი – ბელორუსიის, სომხეთის, ყირგიზეთის და ყაზახეთის მხრიდან. ამიტომ მათგან უმეტესობა დსთ განიხილავდა უპირველესად, როგორც "ცივილიზებული გაყრის" მექანიზმს, მიისწრაფვოდა განეხოციელებინა იგი და გაემყარებინა საკუთარი სახელმწიფოებრიობა ისეთნაირად,

რომ მოეხდინათ გარდაუვალი დანაკარგების შემცირება ჩამოყალიბებული კავშირების დარღვევის გამო და აეცილებინათ ექსცესები. ქვეყნების დაახლოების რეალური ამოცანა იწევდა მეორე პლანზე. აქედან მოდის აგრეთვე მიღებელი გადაწყვეტილებების ქრონიკული არადამაკმაყოფილებელი შესრულება. რიგი ქვეყნები ცდილობდნენ გამოეყენებინათ ინტეგრაციული დაჯგუფების მექანიზმი თავისი პოლიტიკური ამოცანების მისაღწევად. კერძოდ, საქართველო, აფხაზურ სეპარატიზმთან საბრძოლველად, ცდილობდა დსთ მეშვეობით დაემყარებინა აფხაზეთის ეკონომიკური და პოლიტიკური ბლოკადა.

გადაწყვეტილება დამოუკიდებელი სახელმწოფოების თანამეგობრობის შესახებ მიღებულ იქნა რუსეთის, ბელორუსიის და უკრაინის პრეზიდენტების მიერ, ერდროულად სსრკ დაშლის შესახებ ბელოვეჟსკის შეთანხმებების ხელმოწერისთანავე 1991 წლის ბოლოს. შემდგომში დსთ შეუერთდა ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, გარდა ბალტიისპირეთისა. წესდებაში განსაზღვრულია თანამეგობრობის მიზნები: დსთ წევრების ინტეგრაციის ხელშეწყობა ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ჰუმანიტარულ სფეროებში, გააგრძელოს და განავითაროს თანამეგობრობის ქვეყნების ხალხებს, სახელმწიფო ინსტიტუტებს და წარმოებებს შორის კონტაქტები და თანამშრომლობა. დსთ – სხვა ქვეყნების მიერთებისთვის ღია ქვეყანაა.

დსთ ორგანოების სტრუქტურა

დსთ წესდების შესაბამისად გაჩნდა თანამეგობრობის ორგანოების განშტოებული სტრუქტურა: სახელმწიფოთა მეთაურების საბჭო, რომლის ფუნქციებში შედის პრეზიდენტების დონეზე ფუძემდებლური პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება;

მთავრობების მეთაურების საბჭო, რომელიც მთავრობების დონეზე, პრეზიდენტების მითითებების შესაბამისად, კოორდინირებს ინტეგრაციულ პოლიტიკას;

საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭო. მის ფუნქციებში შედის დსთ წევრი-ქვეყნების პოზიციის შეთანხმება მესამე ქვეყნებთან ურთიერთობებში იმ შემთხვევაში, თუ მთავრობები მივიდნენ დასკვნამდე ასეთი შეთანხმების მიზანშეწონილობაში. საგარეო საქმეთა მინისტრები აგრეთვე განიხილავენ, თანამეგობრობის ჩარჩოებში დიპლომატიური ურთიერთობების მექანიზმის გამართვის საკითხებს;

თავდაცვის მინისტრთა საბჭო, რომელიც წყვეტს სამხედრო სფეროში დსთ წევრი-ქვეყნების ურთიერთობების საკითხებს, მათ შორის მშვიდობის დამყარებაზე საერთო ოპერაციების, ნაციონალური შეიარაღებული ძალების მშენებლობისას დახმარების,

სამხედრო სფეროში ქონებრივი ურთიერთობების, შეიარაღებების და მასალების მიწოდების შესახებ შეთანხმებების რეალიზაციის საკითხებს;

სასაზღვრო ძალების სარდლების საბჭო. იგი ათანხმებს და ახორციელებს ღონისძიებებს თანამეგობრობის გარე საზღვრების ერთობლივ დაცვაზე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი საჭიროება ჩნდება, ახორციელებს საზღვრების კეთილმოწყობას, ურთიერთდახმარებას სასაზღვრო ჯარების სწავლებაში;

საპარლამენტთაშორისო ასამბლეა, რომელიც შედგება დსთ წევრი-ქვეყნების პარლამენტების წარმომადგენლებისაგან. თავის სესიებზე ის გამოიმუშავებს რეკომენდაციებს წევრი-ქვეყნების კანონების ჰარმონიზაციის საკითხებზე, რომლებიც ეხება ურთიერთკავშირებს, ახდენს პარლამენტარებს შორის აზრების გაცვლას, დსთ ჩარჩოებში თანამშრომლობაზე;

ეკონომიკური სასამართლო, რომელიც მოწოდებულია გადაწყვიტოს დსთ წევრ-ქვეყნებს შორის დავა, გაჩენილი სამეურნეო ურთიერთობების პროცესში.

თანამეგობრობის მთავარ მუდმივ აღმასრულებელ და მაკოორდინირებელ ორგანოდ, მისი წესდების თანახმად, უნდა გამხდარიყო კოორდინაციულ-კონსულტატიური კომიტეტი (კკკ) ადგილსამყოფელით მინსკში. მაგრამ 1994 წელს მთავრობათა მეთაურების გადაწყვეტილებით კოორდინაციულ-კონსულტატიური კომიტეტი ფაქტიურად დაიყო ორ ორგანოდ: აღმასრულებელი სამდივნო (ას) და ქვეყანათა შორის ეკონომიკური კომიტეტი (ქეკ). აღმასრულებელ სამდივნოსთან გადავიდა კოორდინაციულ-კონსულტატიური კომიტეტის მთელი სამუშაო აპარატი, იმ დროს როცა ქვეყანათა შორის ეკონომიკური კომიტეტი ფუძნდებოდა კოლეგიალური მართვის პრინციპზე (ყველა სახლმწიფო აგზავნიდა ქვეყანათა შორის ეკონომიკურ კომიტეტში თავისი წარმომადგენლების გარკვეულ რიცხვს). ამ კომიტეტში ტარდება მსჯელობები და ეკონომიკურ საკითხებზე თანამშრომლობის შესახებ გადაწყვეტილებების ძირითადი ნაწილის მომზადება. მაგრამ აღმასრულებელი სამდივნო და ქვეყანათა შორის ეკონომიკური კომიტეტი არ იყო გათვალისწინებული დსთ წესდებით, ეს ქმნიდა თანამეგობრობის ორგანიზაციული სტრუქტურის სამართლებრივ დაუსრულებლობას. ამასთან მათი ფუნქციები ყოველთვის მკაფიოდ განსაზღვრულია, რასაც მივყავართ სამუშაოების ხშირ დუბლირებასთან.

1999 წლის აპრილში სახელმწიფოთა მეთაურების საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დსთ ორგანოების სტრუქტურის ნაწილობრივი რეორგანიზაციის შესახებ: კოორდინაციულ-კონსულტატიური კომიტეტი და ქვეყანათა შორის ეკონომიკური

კომიტეტი გარდაიქმნა ეკონომიკურ საბჭოში მათი ფუნქციების ზოგიერთი მოდიფიკაციით; გაფართოვდა აღმასრულებელი კომიტეტის უფლებამოსილებანი.

დსთ საწესდებო მთავარი ორგანოების გარდა იყო შექმნილი უფრო დაბალი დონის – დარგობრივი და ა.შ. (დაახლოებით 60) ორგანოების განშტოებული სისტემა. ისინი დაკავებულნი არიან თანამშრომლობის კონკრეტული სფეროებით. ყველა ამ სტრუქტურის აპარატის რაოდენობამ მიაღწია 2,5 ათას ადამიანს, და იგი გარდაიქმნა რთულ მოუქნელ ბიუროკრატიულ მექანიზმად სასარგებლო ქმედების დაბალი კოეფიციენტით.

დსთ პერსპექტივები

იმ დროს როდესაც ხდებოდა საკუთარი სახელმწიფოებრიობის დადგომა, დსთ წევრი-ქვეყნების მმართველ წრეებში მცირდებოდა საშიშროება, რომ ინტეგრაციამ შეიძლება გამოიწვიოს სუვერენიტეტის შერყევა. მესამე ქვეყნების ბაზრებზე საწვავ-ნედლეულის ექსპორტის შემდგომი გადაორიენტირების ხარჯზე მყარი ვალუტით შემოსულობების გაზრდის შესაძლებლობა. ამიერიდან ამ საქონლის ექსპორტის ზრდა შესაძლებელი გახდა ძირითადად მშენებლობის და სიმძლავრეების გაფართოების ხარჯზე, რაც ითხოვდა დიდ კაპიტალდაბანდებებს და დროს. დსთ ფარგლებს გარეთ მზა ნაკეთობების ექსპორტის ზრდის პოტენციალი ძლიერ შეზღუდულია გადამამუშავებელი მრეწველობის პროდუქციის დაბალი კონკურენტუნარიანობის გამო და მსოფლიო ბაზრებზე უხეში კონკურენციით. ამავდროულად დსთ წევრ-ქვეყნებს შორის ვაჭრობის გაფართოვების რეზერვები, განსაკუთრებით მზა პროდუქციით, რჩება მნიშვნელოვანი. შრომის ტექნოლოგიური დაყოფა და ერთიანი სტანდარტები, რომლებიც მემკვიდრეობით იქნა მიღებული საბჭოთა პერიოდიდან, დამზადებული პროდუქციის ცნობადობა, პერსონალის საერთო ინჟინერული მომზადების ხასიათი და ა.შ. არის ურთიერთ გაცვლის გაფართოების საფუძველი. რათქმაუნდა, ეს პროდუქცია ხარისხით და ტექნიკური დონით ხშირად უფრო დაბალია, ვიდრე იმ პროდუქციის, რომელიც იყიდება მსოფლიო ბაზრებზე, რესპუბლიკებს შორის შრომის დაყოფაც არც თუ ისე ყოველთვის იყო რაციონალური, მაგრამ დსთ ჩარჩოებში ვაჭრობა იძლევა წარმოების ნაწილის ხელშეწყობას. შემდგომში პროდუქციის ხარისხის და ტექნიკური დონის აწევა უფრო ადვილი იქნებოდა მომუშავე საწარმოების ბაზაზე, ვიდრე ნულიდან დაწყება.

მსოფლიო ფინანსურმა კრიზისმა, რომელიც დაიწყო 1997 წელს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში რღვევისგან, გააუარესა დსთ წევრი-ქვეყნებისთვის

ექსპორტის პერსპექტივები, გამოიწვია ამ სახელმწიფოებში სავალუტო მექანიზმის ფუნქციონირების სავალუტო გართულებები და დამატებითი სიძნელეები.

ამ პროცესებმა გააძლიერა ნეგატიური მოვლენებისაგან კომპენსაციის და დაცვის ძიება, დსთ ჩარჩოებში თანამშრომლობის განვითარების დახმარებით.

დსთ-ში ინტეგრაციულ პროცესებზე უარყოფითმა ზემოქმედებამ მოახდინა ფინანსური კრიზისი, რომელიც რუსეთში 1998 წლის აგვისტოში დაიწყო. რუსული რუბლის ძლიერმა დევალვაციამ და საგადასახადო მექანიზმის ფუნქციონირების გაუარესებამ, მიიყვანა თანამეგობრობის ჩარჩოებში გარესავაჭრო ურთიერთობების გართულებამდე, რაც განსაკუთრებით შეეხო დსთ წევრი-ქვეყნების ექსპორტს რუსეთში. ყველაზე მეტად დაზარალდნენ ბელორუსია, უკრაინა, ყაზახეთი, ყირგიზეთი, მოლდოვა. თითქმის ყველა დსთ ქვეყნები იძულებულნი გახდნენ მოეხდინათ თავიანთი ვალუტის დევალვაცია, თუმცა არც ისე დიდად, როგორც რუსეთი; შემცირდა მათი სავალუტო რეზერვები, გაძლიერდა სავალუტო შეზღუდვები, შესუსტდა რუბლის პოზიციები, როგორც გათვლების და მარაგების ვალუტის. ამ კრიზისმა ვერ შეარყია დსთ წევრი-ქვეყნების ობიექტური დაინტერესება, ურთიერთეკონომიკური კავშირების შენარჩუნებაში და შემდგომ განვითარებაში.

ინტეგრაციულ პროცესებში გამოცოცხლება და მოდიფიკაცია შემოიტანა "სხვადასხვა სიჩქარეების ინტეგრაციის" იდეამ, ე.ი. ქვეყნებს შორის კავშირების შექმნა ინტეგრირების სხვადასხვა ხარისხით და ერთობლივი მოქმედების განსხვავებული სფეროებით.

მეტად ძლიერი ინტეგრაცია სხვადასხვა სფეროებში მიდის რუსეთსა და ბელორუსიას შორის. ეს აიხსნება შრომის დაყოფის მაღალი დონით და ურთიერთდამოკიდებულებით. ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ბელორუსია იღებს თითქმის მთელ ნედლეულს და საწვავს (გაზს, ნავთობს, შავი მეტალების გლინვა, აპატიტის კონცენტრატი, სინთეთიკური კაუჩუკი, სოდა და ა.შ.), და აგრეთვე ტექნოლოგიურ აღჭურვას, რუსეთიდან მრავალი სახეობების მანქანებს და მოწყობილობებს. თავის მხრივ ბელორუსია, რომელსაც გააჩნია განვითარებული მანქანათმშენებლობა და ქიმიური კომპლექსები, აწვდის რუსეთს სახნავ ტრაქტორებს და კარიერულ თვითმცლელებს (შესაბამისად მთლიანი რუსეთის პარკის 80 და 40%), მაცივრებს, საათებს, ქსოვილებს, მოტოციკლეტებს, რუსეთისთვის ზოგიერთ უნიკალურ პროდუქციას, მნიშვნელოვანი მოცულობით – სურსათს. ქვეყნის მთლიანი საგარეო ვაჭრობის მეტი მოდის რუსეთზე. რუსეთის მთლიანი საგარეო ვაჭრობის 70% გადის ბელორუსიის ტერიტორიაზე.

1996 წელს დაიდო ხელშეკრულება ბელარუსიის და რუსეთს შორის კავშირის შესახებ, რომელიც ითვალისწინებდა ინტეგრაციული ზომების ფართო წრეს. ეკონომიკური თანამშრომლობის გარდა (საბაჟო გადასახადების გაუქმება და ურთიერთვაჭრობაში სხვა დაბრკოლებები, საგადასახადო დაბეგვრის დახლოება და სხვა.), ხელშეკრულება ითვალისწინებს დიპლომების აღიარებას, მიღებულს ორივე ქვეყანაში, განათლების, დასაქმების, სოციალური უზრუნველყოფის ნორმების დაახლოების მიღების დროს, მოქალაქეების უფლებებში გათანაბრებას. ამ ხელშეკრულების რეალიზაციისგან დადებითი ეფექტი ცხადია: მარტო 1997 წელს რუსეთსა და ბელორუსიას შორის საქონელბრუნვა გაიზარდა 30% მეტად, ხოლო 1998 წელს – დაახლოებით 20%.

1995 წლიდან დაიწყო საბაჟო კავშირის ჩამოყალიბება, სადაც შევიდნენ რუსეთი, ბელორუსია, ყაზახეთი, ტაჯიკეთი. შემდგომში მათ შეუერთდა ყირგიზეთი. კავშირის მიზანია ერთინი საბაჟო სივრცის შექმნა და მესამე ქვეყნებთან მიმართებაში სავაჭრო რეჟიმების უნიფიკაცია. ქვეყანა-მონაწილეებს შორის მიღწეულ იქნა შეთანხმებები, საბაჟო გადასახადების და სხვა, გარესავაჭრო ოპერაციებში, მოსაკრებელის გაუქმების შესახებ. თუმცა მათი რეალიზაცია დაეჯახა სერიოზულ სიძნელეებს, როგორც ტექნიკური, ასევე ეკონომიკური ხასიათის; საჭირო გახდა ყველა ქვეყნებში ნორმატიული სამუშაოების დიდი მოცულობა; მესამე ქვეყნებთან მიმართებაში ერთიანი საბაჟო რეჟიმის შეთანხმებისას გაჩნდა არსებითი შეუთანხმებლობები ინტერესებში: ხელშეკრულების ყველა მონაწილეს არაერთხელ დაურღვევია შეთანხმებები, მესამე ქვეყნებთან მიმართებაში ნაციონალური სავაჭრო რეჟიმის განსაზღვრისას საკუთარი პოზიციების შეთანხმების შესახებ. ამიტომ საბაჟო პოლიტიკის კოორდინაცია ძალიან ხშირად არ არსებობდა. კავშირის ქვეყანა-მონაწილეების შიდა საზღვრებზე საბაჟო დათვალიერების ლიკვიდაცია, ხელს უწყობდა კონტრაბანდის გავრცელებას. საბაჟო კავშირის პირობები ითვალისწინებდნენ სამეურნეო სამართლის თანდათანობით უნიფიკაციას, სავალუტო და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შეთანხმებას. აუცილებელი სამუშაოების მოცულობა აღმოჩნდა ძალიან დიდი, ხოლო კონკრეტულ სფეროებში ინტერესები ყოველთვის არ ემთხვეოდა, ამიტომ შედეგები აღმოჩნდა დაგეგმილზე დაბალი.

საბაჟო კავშირი 1996 წელს იყო შევსებული “ოთხთა კავშირით” (რუსეთი, ყაზახეთი, ყირგიზეთი და ბელორუსია), რომელიც მოიცავდა ნაციონალურ და ჰუმანიტარულ სფეროებში თანამშრომლობას (მეცნიერება, განათლება, კულტურა და სხვა). ნავარაუდევი იყო არამხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური პოლიტიკის

ჰარმონიზირება. შეთანხმებას ჰქონდა ჩარჩობრივი ხასიათი, მის ბაზაზე უნდა ყოფილიყო მიღწეული შეთანხმებები კონკრეტულ სფეროებში. შედეგები იყო ანალოგიური საბაჟო კავშირის რეალიზაციის შედეგებთან.

რეგიონალური თანამშრომლობის განვითარების საერთო ინტერესებმა მიიყვანა ცენტრალური-აზიური კავშირის დადებასთან, ყაზახეთს, უზბეკეთს, ყირგიზეთს და თურქმენეთს შორის. მისი მიზანია ეკონომიკის და თავდაცვის სფეროში პოლიტიკის კოორდინაცია. ამ კავშირის შექმნის მიზანშეწონილობა განისაზღვრებოდა მისი წევრების სწრაფვით, გაემყარებინათ თავისი პოზიციები გარეთ იმ სფეროების პოლიტიკის კოორდინაციის დახმარებით, სადაც არსებობდა ურთიერთინტერესები, დაეინტესიფიცირებინათ რეგიონალური ურთიერთობები, ტერიტორიალური და კულტურული, ისტორიული სიახლოვის, და შრომის დაყოფის გამოყენებით, რომელიც ჩამოყალიბდა საბჭოთა დროს (მაგალითად ყირგიზეთი და ტაჯიკეთი მარაგდებოდა გაზით და ნახშირით უზბეკეთიდან და ყაზახეთიდან, მარცვლეულით ამარაგებდა ყაზახეთი, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მნიშვნელოვანი ნაწილი მთელი რეგიონისთვის მზადდებოდა უზბეკეთში და ა.შ.). ყველა ქვეყნები დაინტერესებულნი იყვნენ რეგიონალური სატრანსპორტო ქსელის განვითარებაში.

მიმდინარეობს დაახლოება უკრაინას, საქართველოს, აზერბაიჯანს და მოლდოვას შორის, რომელსაც საფუძვლად უდევს საერთო ინტერესები, ყოფილი სსრკ სამხრეთით სატრანსპორტო კორიდორის შექმნაზე. აზერბაიჯანიდან, თურქმენეთიდან და ყაზახეთიდან ნავთობის და გაზის გარე ბაზრებზე მოწოდებების პრობლემა, გარდაიქმნა ერთერთ მთავარ პრობლემად ამ ქვეყნების ეკონომიკური განვითარებისთვის. დასავლეთის და თურქეთის დახმარებით, ისინი მიისწრაფვიან ენერგომატარებლების გზების დივერსიფიცირებას, მათ შორის საქართველოზე და უკრაინაზე. თავის მხრივ ეს უკანასკნელნი დაინტერესებულნი არიან ტრანზიტის ხარჯზე თავისი შემოსავლების გაზრდაში (საქართველო) და ენერგომატარებლებით მომარაგების ალტერნატიული წყაროების მიღებაში (უკრაინა). ჯერჯერობით მითითებული ქვეყნებს შორის დაახლოებამ ჯერ ვერ მიიღო მკვეთრი ირგანიზაციული ფორმები.

დსთ რეგიონალიზაციის ზემოქმედებამ საერთო ინტეგრაციულ პროცესებზე თანამეგრობის ჩარჩოებში არაერთგვაროვანია. ერთის მხრივ, იგი ანაწევრებს ერთიან ინტეგრაციულ სივრცეს, მაგრამ მეორეს მხრივ, ნიშნავს მინი-ინტეგრაციას პოსტსაბჭოთა სივრცეზე იმ შემთხვევებში, როდესაც საერთო ინტეგრაცია აღმოჩნდება ძნელი. გარკვეული გარემოებებისას "განსხვავებული სიჩქარეების ინტეგრაციამ" შეიძლება ხელი შეუწყოს ინტეგრაციის პროცესებს მთლიანობაში, "კრისტალიზაციის ზონის"

წარმოქმნით, სხვა ქვეყნების საერთო "თანამშრომლობის ქსოვილში" ჩაბმით. ამ გზაზე დაბრკოლებები იგივეა, რაც Mმთლიანად თანამეგობრობის დონეზე: პირველ რიგში სურვილის არქონა განსაზღვროს თავისი სუვერენიტეტი და გაითვალისწინებს სათანადოდ პარტნიორთა ინტერესებს, დაახლოების მომგებიანობაში ეჭვებს.

"განსხვავებული სიჩქარეების ინტეგრაციის" უკან დგას სხვადასხვა სფეროებში დსთ წევრი-ქვეყნების ობიექტური ინტერესები. როგორც ჩანს, დსთ რეგიონალიზაციაში პოზიტიური მომენტები ჭარბობს, და ისინი შეიძლება შეერწყან საერთო ინტეგრაციულ პროცესებს, და არც ისე იშვიათად გაასტიმულირონ ისინი.

ინტეგრაციული და პოსტსაბჭოთა სივრცეში ინტეგრაციული პროცესების ურთიერთქმედების საბოლოო შედეგი იქნება დამოკიდებული ბევრ მიზეზზე, მათ შორის რეფორმების შედეგებზე, ეკონომიკის მდგომარეობაზე, დსთ წევრი-ქვეყნების მმართველი წრეების პოლიტიკაზე, ხალხის მიერ დაახლოების მნიშვნელობის შეგნებაზე, მესამე ქვეყნების პოლიტიკაზე, სხვა ფაქტორებზე, როგორც დსთ ჩარჩოებში, ასევე მის ფარგლებს გარეთ. მაგრამ მთავრი ფაქტორი იქნება რუსეთის ეკონომიკის განვითარების შედეგები და სისტემური რეფორმები რუსეთში – რა თქმა უნდა დსთ ინტეგრაციული ბირთვის.

90-იანი წლების ისტორიულმა გამოცდილებამ, უსათუოდ დსთ წევრი-ქვეყნების განვითარებაში ყველაზე რთულმა, გვიჩვენა, რომ ისინი სჭირდებიან ერთმანეთს. საბჭოთა პერიოდში რესპუბლიკებს შორის მიწოდებებთან შედარებით, ურთიერთსაქონელბრუნვის არსებითი შემცირება, მესამე ქვეყნებზე გარეეკონომიკური კავშირების გადაორინტირება არ ნიშნავს დსთ-ში ინტეგრაციისათვის ობიექტური ბაზის გაქრობას. ეს ცვილებები წარმოადგენდა ბუნებრივ რეაქციას შრომის ადრინდელი დაყოფის შეუსაბამობაზე, რომელიც გაღრმავებული იყო ტრანსფორმაციული პერიოდის სირთულეებით და დსთ წევრი-ქვეყნების პოლიტიკური განვითარების თავისებურებებით. მაგრამ ახლა ეს გადაორიენტირება სრულდება, და მეტად იწყებს გამოვლენას ცენტრალურ-გამალებული ტენდენციები. უფრო მჭიდრო ინტეგრაციისკენ ობიექტური წინაპირობები, თავისთავად, გაძლიერდება რეფორმების დასრულების, ამ ქვეყნებში ეკონომიკის აღდგენის შემდეგ.

თემა 12

ევროპული ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების თავისებურებანი

ევროპა სავაჭრო ურთოერთობების განვითარების მხრივ არის წრიული სტრუქტურა მკვეთრად გამოხატული ცენტრით – ევროპული კავშირი (ეკ) და საკმარისად ძლიერი ცენტრალურ-მძაფრი ძალებით. მეურნეობის წარმართვის ავტარკიული მცდელობები, რომლებიც სხვადასხვა დროს წამოწყებულ იქნა სხვადსხვა ხარისხით საფრანგეთის, იტალიის, ესპანეთის მიერ, საბოლოო ჯამში მიჰყავდა ისინი ეკონომიკური ზრდის შენელებასთან. ობიექტურმა მიზეზებმა განაპირობა სავაჭრო-ეკონომიკუი ურთიერთობების განვითარების აქტიურობა და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის ინტეგრაციული პროცესები. გაერთიანებისკენ პირველებმა მოძრაობა დაიწყეს მცირე ქვეყნებმა: ბელგია, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები. მოგვიანებით ამ პროცესში აქტიური როლის თამაში დაიწყეს მსხვილმა ევროპულმა ქვეყნებმა. ამჟამად ევროპულ კავშირი მსოფლიო ეკონომიკაში და საერთაშორისო ვაჭრობაში ძლიერ პოზიციებს იკავებს. გარდა ამისა, სხვა ევროპული ქვეყნების უმრავლესობა დაკავშირებულია ევროპულ კავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ზონების და ა.შ შეთანხმებებით. შედეგად რეგიონის ყველა სახელმწიფო ამა თუ იმ ზომით ხვდება ევროპული კავშირის სავაჭრო-ეკონომიკური გავლენის ქვეშ.

ცენტრალურ ევროპაში თავისუფალი ვაჭრობის ზონა

90-იანი წლების დასაწყისში ცენტრალური ევროპის ქვეყნები (უნგრეთი, პოლონეთი, სლოვაკეთი და ჩეხეთი) აქტიურად ჩაებნენ ევროპულ კონტინენტზე ფართოდ მიმდინარე საგარეო ვაჭრობის ლიბერალიზაციის პროცესებში, და ამისთვის იყენებდნენ, კერძოდ, თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნას. გამოვლენილი ინიციატივის საფუძველზე ცენტრალური ევროპის ქვეყნების მიერ (ცეი – ცენტრალურევროპული ინიციატივა, დიპლომატიურ პრაქტიკაში გავრცელებულია მოცემული აბბრევიატურაც) თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნაში დევს ევროპული კავშირის ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემაში ჩართვის მიზანსწრაფვა, ურთიერთდაკავშირებული პრობლემების მთელი კომპლექსის გადაწყვეტის მიზნით.

1992 წლის დეკემბერში ამ ოთხმა ქვეყანამ ხელი მოაწერეს ცენტრალური ევროპის შეთანხმებას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (უფრო მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობების ზონა (CEPTA) ან, როგორც ზემოთ მითითებულია ცენტრალურ-

ევროპული ინიციატივა (ЦЕИ)), რომელსაც 1996 წლის იანვრის თვიდან შეუერთდა სლოვენია. შეთანხმება ითვალისწინებს სამრეწველო საქონლით თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნას, რამოდენიმე წლის განმავლობაში მათი მიღების დღიდან, საბაჟო გადასახადების და სხვა არასატარიფო შეზღუდვების თანდათანობითი ურთიერთგაუქმების გზით.

სასოფლო-სამეურნეო საქონელთან მიმართებაში ლიბარელიზაცია ატარებს შეზღუდულ ხასიათს (მოიცავს ზოგიერთ პროდუქტს და ეხება საბაჟო გადასახადების და სხვა ბარიერების ნაწილობრივ შემცირებას). ასეთი მდგომარეობა განპირობებულია ცენტრალურ-ევროპული ინიციატივის (ЦЕИ) ქვეყნებში სასოფლო სამეურნეო წარმოების დონეების და მოცულობის დიდი სხვაობებით.

შეთანხმება დაფუძნებულია ნახსენები პრინციპით შტანდსტილლ, როდესაც პარტნიორებს არ შეუძლიათ ცალმხრივი წესით აწიონ საბაჟო გადასახადები, ან შემოიღონ ახალი სავაჭრო ბარიერები. ამავდროულად შეთანხმებით გათვალისწინებული რიგი შემთხვევები, რომლის დროსაც მხარეებს შეუძლიათ გაზარდონ საბაჟო დაბეგვრები ან გამოიყენონ სპეციალური დამცავი ზომები.

პირობები, მოქმედების ვადა, დამცავი ზომების გავრცელების სფერო, ასევე როგორც ბაჟების მაქსიმალური სიდიდე და მათი ლიბერალიზაციის ტემპი, მკაფიოდ რეგულირდება შეთანხმებით.

ცენტრალური ევროპის შეთანხმება ითვალისწინებს ოთხ წელში თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნას. ჩEFთA ჩარჩოებში სატარიფო და არასატარიფო ბარიერების მოხსნის დაჩქარებული ტემპი მიმართულია “ოთხეულის” ქვეყნებში ნაციონალური მწარმოებლების დაახლოებით თანაბარი ხარისხის და ტექნიკური დონის საქონლის შიდა ბაზარზე მზარდ კონკურენციასთან თანდათანობით ადაპტაციაზე.

ჩEFთA ჩარჩოებში სასოფლო-სამეურნეო საქონლით ვაჭრობის ლიბერალიზაცია პირველადი შეთანხმების არსებითი ცვლილებების შედეგად, რომელიც ძალაში შევიდა 1994 წლის 1 ივლისს, ატარებს უფრო ფართო ხასიათს.

ცენტრალური ევროპის ქვეყნებს განზრახული აქვთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნა, 1996 წ. შეთანხმებების რეალიზაციის პრაქტიკის გათვალისწინებით.

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების შესრულების დადებითი შედეგია, სტაბილური და წინასწარმეტყველური ხასიათი, რომელიც მოიპოვა ცენტრალური-ევროპის რეგიონის ქვეყნების სავაჭრო პოლიტიკამ. აკრძალვა საბაჟო გადასახადების ცალმხრივ აწევაზე, გამყარებული შეთანხმებით, ნაციონალურ მწარმოებლებს და

უცხოურ ინვესტორებს, რომლებიც გამოიყენებენ იმპორტულ ნედლეულს, მასალებს და დამაკომპლექტებელ ნაკეთობებს, უზრუნველყოფს არაევროპული ქვეყნების ნაციონალურ ბაზრებზე, ცენტრალი მოქმედების სტაბილურ პირობებს.

თავისუფალი ვაჭრობის და "ურუგვაული რაუნდის" მორიგების შესახებ შეთანხმებების რეალიზაციის საფუძველზე, იმპორტული გადასახადების ეტაპობრივად დაწევის შედეგად, შემდეგში შეიძლება ველოდოთ ამ ქვეყნების ექსპორტთან შედარებით იმპორტის დაჩქარებულ ზრდას, რადგან მისი ლიბერალიზაცია იყო განხორციელებული ადრე. ამან თავის მხრივ შეიძლება გაზარდოს სავაჭრო დეფიციტი ცენტრალური ევროპის ქვეყნების განვითარებული ევროპული ქვეყნებით.

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების მოქმედების დროს, მხარეები ზომიერად სარგებლობდნენ დათქმის საფუძველზე, რომლებიც უშვებენ ლიბერალიზაციის შეთანხმებული გრაფიკიდან დროებით გადახვევას, შიდა ბაზრის დაცვის დამატებითი საშუალებებით.

თავისუფალი ვაჭრობის შესახებ დადებულმა შეთანხმებამ, "ურუგვაული რაუნდის" გადაწყვეტილებებთან მიერთებასთან ერთად, დააყენა ცენტრალური ევროპის ქვეყნების ნაკეთობების კონკურენტუნარიანობის აწევის პრობლემა მთელი სიმძაფრით. თუ საშეღავათო პერიოდში (თავისუფალი ვაჭრობის ზონის სრულ შექმნამდე) რეგიონის ქვეყნები ვერ შეძლებენ გააფართოვონ კონკურენტუნარიანი საქონლის წარმოება და ექსპორტი, მაშინ მსოფლიო ეკონომიკაში ისინი შეინარჩუნებენ თავიანთ მდგომარეობას, როგორც ენერგო- და ლითონტევადი ნაკეთობების, დამუშავების დაბალი დონით, და ეკოლოგიურად მავნე პროდუქტების მომწოდებლები. ამჟამად ცენტრალური ევროპის ქვეყნების ექსპორტის განვითარება შეკავებულია იმდენად არა ბარიერებით, რამდენადაც შიდა სიძნელეებით, რომელიც არის მათი ეკონომიკის გადაკეთების, ექსპორტის განვითარების პრობლემის, სამრეწველო საქონლის კონკურენტუნარიანობის აწევის, ეკონომიკის სტრუქტურის ცვლილების – შედეგი. შეთანხმებით მინიჭებული შესაძლებლობების სრული გამოყენება, ფერხდება. შეთანხმებამ შექმნა ცენტრალური ევროპის ქვეყნების ექსპორტის განვითარებისთვის მხოლოდ ხელსაყრელი სავაჭრო-ეკონომიკური პირობები, მაგრამ მხოლოდ გარეეკონომიკური სფეროს ლიბერალიზაცია აღმოჩნდა არასაკმარისი შიდა სიძნელეებით გადაწყვეტისთვის, რომელთა მნიშვნელობა ამ ბოლო დროს გაიზარდა.

თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია

დასავლეთ ევროპაში ეკონომიკური ინტეგრაცია არ შემოიფარგლება მხოლოდ ევროპული კავშირის ტერიტორიით: 60-იანი წლების დასაწყისიდან არსებობს

თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია (თვეა). თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციას ევროპული კავშირისგან განსხვავებით არ გააჩნია ზენაციონალური ფუნქციები და სახელმწიფოთაშორის კოორდინირების ინსტიტუტები. თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია კუთხის თავში აყენებს ეკონომიკურ თანამშრომლობას. პირველ რიგში იგი ხელს უწყობდა ვაჭრობის ლიბერალიზაციას საბაჟო ბარიერების დადგომას. თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის წევრი-ქვეყნები (80-იან წლებში ისინი შვიდნი იყვნენ, 90-იანი წლების ნახევარში – ოთხი – ნორვეგია, ისლანდია, ლიხტენშტეინი, შვეიცარია) ნებაყოფლობით უერთდებიან მესამე ქვეყნებთან ამა თუ იმ სავაჭრო-ეკონომიკურ შეთანხმებას, თანაც თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის მონაწილეთაგან ყველას უფლება აქვს ამ ქვეყნებთან მიმართებაში დააწესოს ნებისმიერი საბაჟო ტარიფები. თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის წევრ-ქვეყნებს შორის ვაჭრობაში თავისუფალი ბაჟის გარეშე სავაჭრო ბრუნვის რეჟიმი მოქმედებს მხოლოდ სამრეწველო საქონლის მიმართ, რადგან თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის კონვენციის მოქმედება არ ვრცელდება სოფლისმეურნეობის პროდუქციაზე. 1972 წელს თავისუფალი ვაჭრობის ევროპულ ასოციაციაში შემავალმა ყველა სახელმწიფომ, ხელი მოაწერა შეთანხმებას ევროპულ ეკონომიკურ თანასაზოგადოებასთან/ევროპულ კავშირთან, რომლის შესაბამისადაც თანდათანობით დაწეულ იქნა გადასახადები და რაოდენობრივი შეზღუდვები სამრეწველო საქონელზე. ამ ქვეყნებს შორის გადასახადების გარეშე ვაჭრობა ბაზირდება რთული წესების სისტემაზე, რომლებიც შემუშავებულია საქონლის წარმომავლობის მიხედვით. თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის შიგნით ერთიანი საბაჟო ტარიფის არქონის გამო, გადასახადის გარეშე ვაჭრობის თავისუფლება არსებობს მხოლოდ იმ საქონლისთვის, რომლებიც წარმოებულია წევრ-ქვეყნებში. 1994 წელს თავისუფალი ვაჭრობის ევროპულმა ასოციაციამ და ევროპულმა კავშირმა ხელი მოაწერეს “ერთიანი ეკონომიკური სივრცის” (ეეს) წარმოქმნის შესახებ შეთანხმებას, რომელშიც დასავლეთევროპის ქვყნებიდან არ შევიდა მხოლოდ შვეიცარია. შეთანხმების ფუძემდებლური პრინციპია – კაპიტალების, საქონლის, მომსახურეობის და ფიზიკური პირების თავისუფალი გადაადგილება. უნდა აღინიშნოს, რომ ერთიანი ეკონომიკური სივრცე არ არის საბაჟო კავშირი. მასში შემავალ სახელმწიფოებს, ევროპული კავშირის და თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის სტრუქტურების ჩარჩოებში, არ გააჩნიათ არც ერთიანი სავაჭრო პოლიტიკა, და მესამე ქვეყნებთან მიმართებაში არც საერთო საბაჟო ტარიფი. ერთიანი ეკონომიკური სივრცე თაობს საბჭოს, რომელიც შედგება შეთანხმების მინაწილეთა - სახელმწიფოების მინისტრებიდან. მასში შემავალი

სახელმწიფოების განვითარების მაღალი დონის და მათ შორის ურთიერთ ეკონომიკური კავშირების მიუხედავად, თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია ვერ გახდა სრულყოფილი ინტეგრაციული დაჯგუფება. ფაქტობრივად იგი გამოვლინდა ევროპული ეკონომიკური თანასაზოგადოების, ევროპული კავშირის ახალი წევრებისთვის თავისებურ "დაწყებით კლასად". ამჟამად თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის მრავალი წევრები განიხილავენ მას როგორც აღმოსავლეთევროპის და დასავლეთევროპის ქვეყნებს შორის თავისუფალი ვაჭრობის პოტენციალურ ზონას.

თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაცია მიესალმებოდა 1996 წლის დასაწყისში თავისუფალი ვაჭრობის ცენტრალურ-ევროპული ზონის 12 ქვეყნიდან შექმნას. არ არის გამორიცხული, რომ დროთა განმავლობაში ეს სახელმწიფოები შეავსებენ თავისუფალი ვაჭრობის ევროპული ასოციაციის რიგებს, რომლის წევრობაც მათთვის გახდება პირველი ნაბიჯი ევროპულ კავშირში შესვლის გზაზე. ევროპული კავშირის ეკონომიკური სიმძლავრე, მისი გაფართოების დინამიურობა და დასავლეთ ევროპის ცალკეული ქვეყნების ძლიერი დამოკიდებულება მასთან ვაჭრობაზე, ახლო მომავალში დანარჩენი ქვეყნების წინაშე დააყენებს ალტერნატივას: ან შევიდნენ ევროპულ კავშირში და ნაწილობრივ უარი თქვან თავიანთ სუვერენიტეტზე, მაგრამ სამაგიეროდ ისარგებლონ მსოფლიოს უმსხვილესი ბაზრების ყველა შესაძლებლობით, ან დარჩნენ გვერდზე, მოიჭრან გზა დასავლეთ ევროპის გაერთიანების პროცესში მონაწილეობაზე, საკუთარი ეკონომიკისთვის ყველა უარყოფითი შედეგებით.

ცენტრალური ევროპის შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ

ყოფილი სოციალისტური სახელმწიფოების – ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო (ეუს) – ინტეგრაციული დაჯგუფებების მოქმედების შეწყვეტის შემდეგ, ამ ორგანიზაციის ყოფილმა წევრებმა არ თქვეს უარი გაღრმავებულ თანამშრომლობაზე. 1990 წელს მათ შექმნეს საკუთარი ინტეგრაციული დაჯგუფება – "ვიშეგრადის სამეული", რომელშიც შევიდნენ უნგრეთი, პოლონეთი და ჩეხოსლოვაკია. ჩეხოსლოვაკიის დაშლის შემდეგ ეს დაჯგუფება გარდაიქმნა "ვიშეგრადის ოთხეულად". 1993 წლის 1 მარტიდან ამ დაჯგუფების ჩარჩოებში ძალაში შევიდა ცენტრალური ევროპის შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (СЕФТА), რომელიც ითვალისწინებდა გადასახადების თანდათანობით დაწევას. ეს ნაბიჯი ნაკარნახევი იყო იმით, რომ, ევროპულ კავშირთან "ვიშეგრადის ოთხეულის" ყოველი ქვეყნის სპეციალური "ევროპული შეთანხმებების" მიუხედავად, მათი სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ვითარდება ერთიანობაში მცირედ დამაკმაყოფილებლად. ამიტომ

ბოლო ათწლეულში ცენტრალური ევროპის გამომუშავებული სავაჭრო-ეკონომიკური კავშირების შესანარჩუნებლად და გასამრავლებლად იყო შექმნილი ეს ინტეგრაციული ჯგუფი.

1992 წელს ხელშეკრულების ხელმოწერისას ნავარაუდევი იყო მონაწილე ქვეყნებს შორის 2001 წლისათვის ყველა საბაჟო ბარიერის ლიკვიდირება. თუმცა მოგვიანებით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება დაჩქარდეს ეს პროცესი. უკვე ექვს სახელმწიფოს (დამატებით დამფუძნებლებს მიუერთდა რუმინეთი და სლოვენია) გადაწყვიტეს გააქტიურონ ვაჭრობა რეგიონში. 1995 წლის სექტემბრიდან ცენტრალური ევროპის შეთანხმებამ თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (CEФTA) მიიღო ღია ორგანიზაციის სტატუსი. ცენტრალური ევროპის შეთანხმების თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (CEФTA) მოქმედების მთავარ პრინციპად იქცა ის, რომ "შიდა ბაზრები იხსნება არა კონკურენციისათვის, არამედ ერთმანეთის შესავსებად". ხელშეკრულებას შეუძლია შეუერთდეს ნებისმიერი სახელმწიფო, მისი მსოფლიო საბაჟო სავაჭრო ორგანიზაციაში (BTO) წევრობის პირობით და მის მიერ ევროპულ კავშირთან და ცენტრალური ევროპის შეთანხმების თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (CEФTA) მონაწილეებთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების ქონის პირობით. ექსპერტთა პროგნოზებით, XXI ს. დასაწყისისთვის ცენტრალური ევროპის შეთანხმებაში თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (CEФTA) შეიძლება შევიდნენ ბულგარეთი, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი, უკრაინა. ამ ზონაში მცხოვრები მოსახლეობა, შეადგენს 120 მლნ ადამიანზე მეტს. ამასთან ცენტრალური ევროპის შეთანხმების თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (CEФTA) ჩარჩოებში ცირკულირებადი საქონლის 30%, დაიბეგრება გადასახადებით. უკვე ახლა ცენტრალური ევროპის შეთანხმების თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (CEФTA) ჩარჩოებში სამრეწველო საქონლით ვაჭრობის დიდი ნაწილი ატარებს თავისუფალ ხასითს. უფრო რთულად მდგომარეობს საქმე სასოფლო-სამეურნეო სექტორში. ამა თუ იმ დონით "ექვსეულის" ყველა ქვეყანა ცდილობს დაიცვას ნაციონალური ბაზრები უცხოური კონკურენტებისაგან. სავაჭრო ბაზრების ("გამოსაჩენი" საქონლის) ლიბერალიზაციის გარდა, მხარეები წყვეტენ მომსახურეობისა და კაპიტალის ბაზრის ლიბერალიზაციას.

ამასთან ერთად ცენტრალური ევროპის შეთანხმების თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (CEФTA) ექვსმა სახელმწიფომ უარი თქვა ადრე აღებულ ვალდებულებებზე მოლაპარაკებებში ურთიერთ თანადგომის და ევროპულ კავშირში შესვლის შესახებ.

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი დაარსდა 1991 წელს ცენტრალურ დააღმოსავლეთ ევროპაში კომუნისტური რეჟიმის დაცემის საპასუხოდ, რათა ხელი შეეწყო ამსახელმწიფოებში კერძო სექტორის განვითარებისათვის დემოკრატიულ გარემოში. ამჟამადბანკი ეხმარება 27 ქვეყანას აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში, დამოუკიდებელსახელმწიფოთა თანამეგობრობის ჩათვლით. ძირითადი მიზანია დაეხმაროს ქვეყნებსთანმიმდევრულად გადავიდნენ საბაზრო ეკონომიკაზე. თავისი ფულის ინვესტირების გარდაბანკი ახდენს დიდი რაოდენობით უცხოური ინვესტიციის მობილიზაციასაც ქვეყნებისათვის.ბანკის დახმარება გაიცემა სესხების სახით უმეტესად ფინანსებში, ინფრასტრუქტურასა დაწარმოებაში. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება მცირე და საშუალო ბიზნესზე. კერძოსექტორის გარდა, ბანკი მუშაობს, აგრეთვე სახელმწიფო სექტორშიც და ხელს უწყობსპრივატიზაციის პროცესს, სახელმწიფოს კუთვნილებაში მყოფი კომპანიებისა დამუნიციპალური სამსახურების რესტრუქტურიზაციას. ბანკის ინვესტიციებს თან ახლავსტექნიკური დახმარების პროგრამები, რომელთა მიზანია ხელი შეუწყონ ქვეყანას გარდამავალპერიოდში პოლიტიკურ, ეკონომიკურ და გარემოს დაცვის დონეებზე. ბანკის კაპიტალიშეადგენს 20 მილიარდ ევროს.

თავისებურებები

ევროპის კავშირს, რომელიც 15 წევრ სახელმწიფოს აერთიანებს, უნიკალური ადგილი უჭირავს საერთაშორისო ორგანიზაციათა შორის. ამ სისტემის ჩარჩოებში ხდება მასში მონაწილე ქვეყნების თანდათანობითი ინტეგრირება - სულ უფრო ფართო უფლებამოსილების გადაცემა და საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირება მთელი თანამეგობრობის დონეზე, რომელიც სულ უფრო მეტად იღებს ერთიანი ორგანიზმის სახეს და იძენს დამოუკიდებელი ფუნქციონირების უნარს. ამ პროცესის ობიქტურ საფუძველს წარმოადგენს ეკონომიკის აღმავალი ინტერანაციონალიზაცია. ამდენად, ევროკავშირის ჩარჩოებში ინტეგრაციული განვითარების მთავარ სფერო იყო და რჩება ეკონომიკა. ამ თვალსაზრისით მთავარ ამოცანას წარმოადგენს უნიფიცირებული ეკონომიკური სივრცის ფორმირება, რომელშიც ყველა მოქმედი პირი, როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული, ჩაყენებული იქნება თანაბარ პირობებში მათი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი კუთვნილების მიუხედავად.

1968წ. დასრულდა საბაჟო კავშირის ფორმირება. ერთიანი აგრარული ბაზრის და სასოფლო-სამეურნეო პოლიტიკის ფორმირება ევროკავშირის ჩარჩოებში დაიწყო კიდევ უფრო ადრე. 1985წ. მიღებულ იქნა ერთიანი ევროპული აქტი, რომლის შესაბამისადაც 1992წ. შეიქმნა ერთიანი შიდა ბაზარი და მოისპო ყველა შეზღუდვა და ფორმალობა,

რომელბიც მოქმედებდნენ ინტეგრაციული ჯგუფის ქვეყნების შიდა საზღვრებში. 1990 წლიდან დაიწყო ეკონომიკური და სავალუტო კავშირის ფორმირება, რომლითაც საუკუნის დასასრულს ეკონომიკური სისტემების კონვერგენცია მოხდა (მასში შედის ინტეგრაციული გაერთიანების ცენტრალური ბანკი და ერთიანი ვალუტა).

კავშირის კომპეტანცია თანდათანობით ივსება სხვა სფეროებითაც - ჯანმრთელობის დაცვა, ტრანსპორტი, ენერგოუზრუნველყოფა, კულტურა, გარემოს დაცვა, ინდუსტრიული პოლიტიკა, სამეცნიერო კვლევები და ტექნოლოგიების განვითარება, სოციალური პოლიტიკა. 1992 წ. მაასტრიხტში ხელმოწერილი ხელშეკრულება ევროპის კავშირის შესახებ ადგენს, რომ მას უნდა გაჩნდეს ორი «საყრდენი» - თანამშრომლობა და ურთიერთგაგება სასამართლო პრაქტიკისა და საშინაო საქმეების სფეროებში (კერძოდ, წევრ სახელმწიფოთა პოლიციურ სამსახურებს შორის, აგრეთვე საგარეო პოლიტიკაში და უშიშროების პოლიტიკაში.

ევროკავშირი თანდათანობით ხდება სულ უფრო ანგარიშგასაწევი ძალა საერთაშორისო ურთიერთობების ახალ გლობალურ სისტემაში. კავშირის შიგნით შექმნილია საგარეო პოლიტიკური კოცნსულტაციებისა და შეთანხმების სისტემა, რაც წევრ სახელმწიფოებს ხშირად აძლევს საშუალებას ილაპარაკონ «ერთი ხმით»და ანიჭებს ევროკავშირს საერთაშორისო არენაზე დამოუკიდებლად მოქმედი პირის სახეს. ეს ვლინდება გაერო-ში და მრავალ საერთაშორისო კონფერენციასა თუ მოლაპარაკებებზე საერთაშორისო პოლიტიკური სიტუაციების სხვადასხვა პრობლემებთან დაკავშირებით. ზოგჯერ ევროკავშირის გავლენა მეტად თვალსაჩინო და ქმედითი ხდება ზოგიერთი საერთაშოირისო პოლიტიკური პროექტის მიღების საქმეში (ასე იყო მაგ., 1995წ. ევროპაში სტაბილურობის პაქტის ხელმოწერასთან დაკავშირებით). კავშირი მეტად აქტიურ პოლიტიკას ახორციელებს „მესამე სამყაროს“ ქვეყნების მიმართ და დახმარებას უწევს ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებს.

მიუხედავად ამისა, ინტეგრაცია ურთიერთქმედებისა გარე სამყაროსთან (სავაჭრო-ეკონომიკური სფეროს გამოკლებით) ევროკავშირში ხორციელდება უპირველესად სამთავრობათშორისო კოორდინაციის გზით და გაცილებით უფრო ნაკლებად უფლებამოსილებათა დელეგირებით ინტეგრაციული კავშირის დონეზე. ამის შედეგად, წევრ სახელმწიფოთა საგარეო პოლიტიკური ორიენტირების არდამთხვევის პირობებში, „ერთიანი საგარეო პოლიტიკის გატარება ხშირად შეუძლებელია. მაგ., ევროკავშირის წვლილი ყოფილი იუგოსლავიის კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში უფრო მცირე გამოდგა, ვიდრე ამას ელოდნენ. სწორედ ეს წარმოადგენს დღეს ევროკავშირის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას და საერთაშორისო პოლიტიკაში ევროკავშირის როლის

მნიშვნელობა გაიზრდება მხოლოდ „ერთიანი საგარეო პოლიტიკის» შემუშავების შემთხვევაში. ყოველივე ამის პრაქტიკულ რეალიზაციას კი ხელს უშლის წევრ სახელმწიფოთა შიში, რომ შეეკრათ ხელ-ფეხი საკუთარი საგარეო პოლიტიკური ინტერესების განხორციელებისას.

კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს სამხედრო-პოლიტიკური ინტეგრაცია. მიღებული თვალსაზრისით, „ერთიანი ევროპის“ არსებობა არსრულყოფილი იქნება თავდაცვის სფეროში ინტეგრაციის გარეშე, თუმცა მაასტრიხტის ხელშეკრულებას ამ თვალსაზრისით საკმაოდ ზოგადი ხასიათი აქვს და და ითვალისწინებს მხოლოდ „ერთიანი თავდაცვითი პოლიტიკის შესაძლებელ ფორმირებას, რომელმაც შემდგომ უნდა შექმნას ერთიანი თავდაცვითი სისტემა. იუგოსლავიის მაგალითი ადასტურებს, რომ ეფექტური ერთიანი საგარეო პოლიტიკისათვის აუცილებელია მისი გარკვეული სამხედრო უზრუნველყოფა.

დღის წესრიგში დგას ევროკავშირის გაფართოების საკითხი. მასში გაერთიანების პირველი კანდიდატები არიან პოლონეთი, უნგრეთი, ჩეხეთი, ესტონეთი, სლოვენია და კვიპროსი.

თემა 13

დასავლეთ ევროპის რეგიონალიზაცია და ინტეგრაცია

ევროპის ინტეგრაცია

რა გზა გაიარა ევროპამ გაერთიანებამდე და რა იყო ევროპული ინტეგრაციის მიზანი? ევროპელების უმეტესობისათვის პირველი მსოფლიო ომი ნიშნავდა ევროპული ცივილიზაციის დასასრულს. თუმცა უმცირესობა ხვდებოდა, რომ ევროპის გადარჩენა და მისი უსაფრთხოება დამოკიდებული იყო მის უნარზე, დაეძლია აგრესიული ნაციონალიზმი, რომელმაც ევროპის კონტინენტი კატასტროფამდე მიიყვანა, და გაეთავისებინა იდეა მშვიდობიანი და ერთიანი ევროპის შესახებ.

1923 წელს ავსტრიელმა რიხარდ კუდენხოვ-კალერგიმ დააარსა პანევროპული მოძრაობა. 1926 წელს მან მოახერხა ერთად შეეკრიბა ევროპის სხვადასხვა გამოჩენილი პოლიტიკური ფიგურები პირველ პანევროპულ კონგრესზე ვენაში. აღნიშნულ კონგრესამდე, ევროპა, როგორც პოლიტიკური კონცეფცია, არ არსებობდა. კუდენხოვ-კალერგის აზრით, ურთიერთზიზღი ევროპაში წამლავდა ატმოსფეროს და ევროპის პრობლემების მოგვარება მხოლოდ თავად ევროპელებს შეეძლოთ. მისი აზრით, ევროპის მშვიდობიანი გაერთიანების გზაზე ერთერთი ურთულესი დაბრკოლება საფრანგეთსა და გერმანიას შორის არსებული ათასწლიანი შუღლი იყო.

პან-ევროპული მოძრაობის ოქროს წლები მეოცე საუკუნის 20-იანი წლების მეორე ნახევარი იყო, როდესაც ხელმოწერილ იქნა ლოკარნოს შეთანხმება (1925წ. გერმანიის დასავლეთის საზღვრების გარანტიის შესახებ) და ბრიან-კელოგის პაქტი (1928წ. ომზე, როგორც სახელმწიფო პოლიტიკის იარაღზე, უარის თქმა).

1929 წელს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა ბრიანმა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა ევროპის სახელმწიფოების ფედერაციის იდეა: ფედერაცია, რომელიც ეფუძნება სოლიდარობასა და სურვილს, მიღწეულ იქნეს ეკონომიკური სიმდიდრე და პოლიტიკური და სოციალური თანამშრომლობა. იდეას აღფრთოვანებით შეხვდნენ ევროპის პოლიტიკური და ეკონომიკური მოღვაწეები.

ევროპის ქვეყნების ეკონომიკური და პოლიტიკური ერთიანობის კონცეფცია სწრაფად ფართოვდებოდა და ძლიერდებოდა, თუმცა რიგმა ეკონომიკურმა და, შემდეგ, პოლიტიკურმა მოვლენებმა რამდენიმე წლით შეაფერხა მისი საბოლოო ფორმით ჩამოყალიბება და სრული რეალიზება. 1930 წელს დაიწყო ეკონომიკური დეპრესია

ყველა თანმდევი პრობლემებით, ხოლო 1933 წელს გერმანიაში ხელისუფლებაში მოვიდა ჰიტლერი. ნაციონალიზმმა კიდევ უფრო დიდი სიმძაფრით იჩინა თავი, და ევროპა ახალმა კატასტროფამ მოიცვა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კიდევ უფრო ცხადი გახდა ევროპის ერთიანობის საჭიროება. ევროპამ გააცნობიერა თავისი სისუსტე - ომმა ბოლო მოუღო ევროპის ტრადიციულ ჰეგემონიას მსოფლიოში. ორ ახალ სუპერსახელმწიფოს - აშშ-სა და საბჭოთა კავშირს - გააჩნდათ ბევრად უფრო დაწინაურებული ეკონომიკა, ისინი ბევრად უკეთეს პოლიტიკურ და სამხედრო მდგომარეობაში იყვნენ, ვიდრე ევროპის ყველა სახელმწიფო ერთად. ორივე მსოფლიო ომი დაიწყო, როგორც ევროპის ომი და ევროპის კონტინენტი მთავარი საომარი ველი იყო ორივე შემთხვევაში. ერთადერთი გამოსავალი შექმნილ ვითარებაში იყო ევროპული სახელმწიფოების გაერთიანებაში. ამ იდეის მატარებელნი იმედოვნებდნენ, რომ ამ გაერთიანებით შეიქმნებოდა მესამე (იმ პერიოდის ორ სუპერსახელმწიფოს - აშშ-სა და სსრკ-ს შემდეგ) ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი, და ევროპა დაიბრუნებდა თავის ისტორიულ ფუნქციას მსოფლიო სისტემაში.

უმნიშვნელოვანესი ხდებოდა გერმანიისა და საფრანგეთის შერიგების საკითხი, მათ შორის, არსებული ისტორიული პრობლემების მოგვარება. შუამავლად შეიძლება აშშ გამოსულიყო, და ეს მშვიდობის გარანტია გახდებოდა. გარდა ამისა, მეცნიერთა აზრით, ევროპელებს შორის სულ უფრო და უფრო მატულობდა სურვილი ეცხოვრათ თავისუფალ, სამართლიან და ეკონომიკურად ძლიერ კონტინენტზე, სადაც საერთაშორისო ურთიერთობები განვითარდებოდა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

1946 წელს დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის უინსტონ ჩერჩილის მიერ წარმოთქმული სიტყვა ციურიხის უნივერსიტეტში, ბევრის აზრით, ომის შემდეგ პირველი ნაბიჯი იყო ევროპის ინტეგრაციისაკენ. ჩერჩილის თქმით, მთელი ევროპა ისეთივე თავისუფალი და ბედნიერი უნდა ყოფილიყო, როგორც შვეიცარია. ამის მიღწევა, მისი აზრით, შესაძლებელი იყო ერთიანი ევროპული ოჯახის შექმნით და მისი ისეთი სტრუქტურით უზრუნველყოფით, რომლის პირობებშიც მშვიდობიანი, უსაფრთხო და თავისუფალი ცხოვრება იქნებოდა. მისი აზრით, შესაქმნელი იყო ევროპის გაერთიანებული შტატები, ხოლო ამისკენ გადადგმული პირველი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო თანამშრომლობა საფრანგეთსა და გერმანიას შორის.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პირველი მოსფლიო ომის შემდგომი პერიოდისაგან განსხვავებით, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აღარ მიმართეს იზოლაციონისტურ

პოლიტიკას და, როგორც მსოფლიოს უძლიერესმა სახელმწიფომ, თავის თავზე აიღეს პასუხისმგებლობა ჩარეულიყვნენ ევროპის საშინაო საქმეებში. ამერიკის მთავრობა დარწმუნდა, რომ თავისუფალი ვაჭრობის შემაფერხებელი გარემოებების დიდი დამსახურება იყო ის საერთაშორისო დაძაბულობა, რომელმაც, საბოლოო ჯამში, მეორე მსოფლიო ომამდე მიიყვანა ქვეყნები. ამრიგად, 1945 წლიდან თავისუფალი ვაჭრობის აგიტაცია და მისი მხარდამჭერი პოლიტიკის გატარება ამერიკის ძირითადი პირობა გახდა იმ ევროპული სახელმწიფოებისათვის, რომლებსაც სურდათ აშშ-ისაგან ეკონომიკური დახმარების მიღება. ცივი ომის პირობებში ამერიკამ შეიმუშავა მარშალის გეგმა, რომლის მიზანიც იყო ევროპაში ეკონომიკური ზრდისა და განვითარების დაჩქარება, რათა ის არ გადაქცეულიყო კომუნისტური რეჟიმის გავლენის სფეროდ.

ასევე აშშ-ის ინიციატივით 1949 წელს დასავლეთ ევროპის უმეტესმა სახელმწიფომ, აშშ-მა და კანადამ დააარსეს ჩრდილოეთატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო), რომელიც უპირისპირდებოდა სოციალისტურ ქვეყნებს. ეს იყო კოლექტიური უსაფრთხოების ორგანიზაცია და მასში გაერთიანებით ევროპულმა სახელმწიფოებმა კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს პოლიტიკური ერთიანობისაკენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპის სამმა ქვეყანამ გარკვეული ნაბიჯი გაერთიანებისკენ ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს გადადგა. ესენია: ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი. 1944 წელს მათ შექმნეს ბენილუქსი - საბაჟო კავშირი. 1948 წელს ამ ქვეყნებმა დაიწყეს საერთო საგარეო ტარიფის შემოღებაზე მუშაობა.

1949 წელს ევროპის საბჭოს შექმნა კიდევ ერთი ნაბიჯი იყო ევროპის გაერთიანებისკენ. მისი მიზანი იყო ევროპის სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური თანამშრომლობისათვის ხელშეწყობა, დემოკრატიული სისტემების მხარდაჭერა და ადამიანის უფლებების დაცვა.

ევროპის კავშირის შექმნის პროცესში პირველი ნაბიჯი იყო 1950 წელს საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რობერტ შუმანის წინადადება, საფრანგეთსა და გერმანიას, აგრეთვე ყველა სხვა მსურველ სახელმწიფოს შეეერთებინათ თავიანთი ქვანახშირისა და ფოლადის რესურსები. ამ ეკონომიკურ ინტეგრაციას შორს გამიზნული გეგმა ჰქონდა - მჭიდრო ეკონომიკური კავშირით დაეზღვიათ ევროპა შესაძლო ომისაგან.

1951 წელს პარიზის ხელშეკრულებით ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება დაარსდა, რომლის დამფუძნებელიც იყო ექვსი ქვეყანა: საფრანგეთი, გერმანია, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები და ლუქსემბურგი. ნათელი იყო, რომ ეკონომიკური კავშირი ერთადერთი შესაძლო გზა იყო პოლიტიკური ერთიანობისაკენ,

და იმ ისტორიულ ეტაპზე ეკონომიკური კავშირები უფრო მყარი შეიძლებოდა ყოფილიყო ევროპის სახელმწიფოებს შორის, ვიდრე პოლიტიკური და სამხედრო.

1957 წელს ექვსი სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ევროპის ეკონომიკური გაერთიანების შესახებ და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანების შესახებ.

1992 წელი გარდამტეხი პერიოდია ევროპისათვის. ამ წელს ხელი მოეწერა მაასტრიხტის ხელშეკრულებას (ევროპის კავშირის ხელშეკრულება). მასში მოდიფიცირებული იყო პარიზის, რომისა და სხვა საკვანძო ხელშეკრულებები, დახვეწილი და განვრცობილი იყო ევროპის მოკლე და გძელვადიანი ეკონომიკური მიზნები და ჩამოყალიბებული ევროპის ქვეყნების პოლიტიკური თანამშრომლობის ძირითადი ამოცანები. მაასტრიხტის ხელშეკრულების ხელმოწერის შემდეგ ოფიციალურად დამკვიდრდა ტერმინი ,,ევროპის კავშირი" (ევროკავშირი).

დღეისათვის ევროპის კავშირი შედგება სამი ორგანიზაციისაგან. ესენია: ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანება, ევროპის ეკონომიკური გაერთიანება, ევროპის ატომური ენერგიის კომისია (ევრატომი). კავშირის ძირითადი ორგანოებია: კომისია, ევროპარლამენტი და მინისტრთა საბჭო. ევროკავშირი საერთაშორისო სამართლებრივი სუბიექტუნარიანობის მქონე გაერთიანებაა. იგი აღიარებულია დამოუკიდებელ სუბიექტად, რომელსაცუფლება აქვს დადოს ხელშეკრულება როგორც სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ასევე სახელმწიფოებთან.

კომუნისტური რეჟიმების ნგრევასთან ერთად გაფართოვდა ევროკავშირის პოლიტიკური და ეკონომიკური ამოცანებიც: დემოკრატიული სისტემების შექმნაში, ადამიანის უფლებების დაცვაში და გეგმიური ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლაში დახმარების გაწევა. 1999 წელს ევროკავშირის წევრები გახდნენ უნგრეთი, პოლონეთი და ჩეხეთი. შემდეგი კანდიდატები არიან თურქეთი, მალტა და კვიპროსი. ამ და კონტინენტის კიდევ სხვა დანარჩენი ქვეყნების გაწევრიანებით ევროპას ისტორიული შანსი ეძლევა უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულოს საერთაშორისო სცენაზე.

თუმცა, ევროპის შემდგომ გაერთიანებას სერიოზული ოპონენტებიც ჰყავს თავად ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში. მათგან ყველაზე მდიდარი და ძლიერი ქვეყნები შიშობენ, რომ ასეთი მზარდი ტემპებით კავშირის გაფართოება და ისეთი მოუმზადებელი და ეკონომიკურად არათანასწორი ქვეყნების გაერთიანება, როგორებიცაა, მაგალითად, თურქეთი და კვიპროსი, სერიოზულ პრობლემად შეიძლება იქცეს მათთვის. ამ იდეას განსაკუთრებით ბევრი მხარდამჭერი ჰყავს გერმანიაში, ავსტრიაში და საფრანგეთში. გარდა იმისა, რომ ასეთი ნაკლებად განვითარებული

ქვეყნების კავშირში შესვლით დამატებითი ჯაფა დააწვება კავშირის მდიდარ ქვეყნებს, მოსალოდნელია სერიოზული ემიგრაციაც ახლად გაწევრიანებული ქვეყნებიდან, რაც კიდევ უფრო დაამძიმებს სურათს, როგორც ეკონომიკურს, ასევე პოლიტიკურს. მით უფრო, რომ, მათი აზრით, კავშირს სხვა ბევრი პრობლემაც აქვს. ასე, მაგალითად, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ძალაუფლების მიღწევის მიუხედავად, იუგოსლავიის კონფლიქტმა, სადაც გადამწყვეტი როლი კვლავ აშშ-მა და ნატომ ითამაშა, ევროპას აჩვენა, რომ მას ჯერ კიდევ ბევრი დრო სჭირდება, რომ თავისი პოლიტიკური და ეკონომიკური პრობლემები მთლიანად თავად გადაწყვიტოს.

ბევრი მეცნიერი თვლის, რომ ევროპის კავშირი არის ამ კონტინენტის სახელმწიფოებს შორის მყარი ეკონომიკური და პოლიტიკური ერთიანობა, დაფუძნებული საერთო ეროვნულ ინტერესებზე, და ერთ დღეს იგი შეიძლება გახდეს ,,ევროპის შეერთებული შტატები". თუმცა ამ მოსაზრების ოპონენტები მიიჩნევენ, რომ მოვლენების მსგავსი განვითარება არარეალურია, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ კავშირის წევრ სახელმწიფოებს გააჩნიათ საერთო მიზნები, მათი ეკონომიკები, სოციალური სტანდარტები და გარკვეული პოლიტიკური მიზნები მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მეტიც, მათი აზრით, აშშ-ის ტიპის სახელმწიფოდ ევროკავშირის გადაქცევის ნებისმიერი მცდელობა შეიძლება მისი დაშლითაც კი დამთავრდეს. უფრო სავარაუდოა, რომ ევროპის მომავალი მოწყობა კონფედერალური ტიპის იყოს *(Globalization in Question. Paul Hirst and Grahame Thompson, Second Edition, 1996).*

ჰერსტი და ტომფსონი აღნიშნავენ, რომ ევროკავშირი არის მრავალეროვნული ეკონომიკური მართვის ყველაზე ამბიციური პროექტი თანამედროვე მსოფლიოში, მაგრამ მას ჯერ კიდევ სჭირდება დახვეწა. მისი ძირითადი პრობლემა, ავტორების აზრით, შიდა კომუნიკაცია და ისაა, რომ მის შემადგენელ ქვეყნებს განსხვავებულად წარმოუდგენიათ კავშირის მომავალი, რაც, თავის მხრივ, ხელს უშლის ერთიანი საგარეო პოლიტიკის განხორციელებას.

იგივე ავტორების აზრით, დღევანდელ მსოფლიო ეკონომიკაში დომინირებს სამეული - ევროკავშირი, იაპონია და ჩრდილო-ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (North American Free Trade Agreement - NAFTA), და თუ ისინი შეთანხმებულად იმოქმედებენ, შეძლებენ მსოფლიო ეკონომიკის მიმართულების ეფექტურად გაკონტროლებას. ავტორებს ეჭვი არა აქვთ, რომ წმინდა თავისუფალი ბაზარი ძალიან მგრძნობიარეა და ძნელად შესაცნობი. შესაბამისად, საერთაშორისო ეკონომიკის მომავალი სტაბილურობისათვის აუცილებელია მსოფლიო სავაჭრო

სისტემის მართვის ფორმის მოფიქრება და დანერგვა. ხოლო ვინაიდან დღევანდელ ეკონომიკურ სისტემაში ლიდერობენ, როგორც უკვე აღინიშნა, ევროკავშირი, იაპონია და ჩრდილო-ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ასოციაცია, მმართველობის ფორმაზეც ისინი უნდა შეთანხმდნენ. ანუ, სავარაუდოდ, მმართველობა უნდა იყოს მრავალმხრივი, უფრო სწორად - სამმხრივი. ხოლო ეფექტური მმართველობისათვის სამეულის ქმედებები უნდა იყოს კოორდინირებული. ამას ართულებს რამდენიმე გარემოება: მაშინ, როდესაც ჩრდილო-ამერიკული თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციაში დომინანტი სახელმწიფოა აშშ, არის, იაპონიის ეკონომიკა კი ერთ სახელმწიფოს ეფუძნება, ეს ორნი მარტივად თანხმდებიან გარკვეულ საკითხებზე და კომპრომისებსაც ადვილად პოულობენ. ევროკავშირთან მიმართებაში კი მდგომარეობა უფრო რთულია. მისი შემადგენელი სახელმწიფოები ხშირად ვერ პოულობენ საერთო ენას და კავშირის როლს მსოფლიო ეკონომიკის მართვის საქმეშიც განსხვავებულად ხედავენ. მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში წევრი სახელმწიფოები წარმოდგენილია ევროკავშირის მიერ და გადაწყვეტილებებსაც მათ მაგივრად იღებს. ეს გადაწყვეტილებები ეფუძნება ქვეყნების შიგნით მიღებულ (ნაციონალური დონე) და შემდეგ კავშირის დონეზე (სუპრანაციონალური დონე) მიღებულ გადაწყვეტილებებს. ამას სამ დონეზე თამაშის თეორიას უწოდებენ.

ამგვარად, ევროკავშირის ზემოაღნიშნული თავისებურებების გათვალისწინებით, დღევანდელი მსოფლიოსათვის ძალიან მნიშვნელოვანია ის, თუ რა გადაწყვეტილებებს იღებს ევროკავშირი და რა მიმართულებით განვითარდება იგი.

ევროპული კავშირი

ევროპული კავშირის შექმნის და განვითარების თანამედროვე ისტორია იწყება 1951 წლიდან, ამ წლის აპრილში ხელი მოეწერა ხელშეკრულებას ნახშირის და ფოლადის ევროპული გაერთიანების შესახებ, რომელშიც შევიდა ექვსი სახელმწიფო – საფრანგეთი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი. ეს იყო ასე ვთქვათ დასავლეთევროპული ინტეგრაციის წინა-ისტორია. მისი შექმნის და განვითარების რეალური ათვლა იწყება 1957 წლიდან, როდესაც იმავე ქვეყნებმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებებს ევროპული ეკონომიკური თანასაზოგადოების (ეეთ) და ატომურ ენერგიაზე ევროპული თანასაზოგადოებების შესახებ. თანასაზოგადოებების შემადგენლობაში შევიდნენ ქვეყნები განვითარების მაღალი დონით, რამაც ბევრ რამეში განსაზღვრა 15 წლის განმავლობაში მათი ეკონომიკური ზრდის მაღალი ტემპები. დასავლეთევროპული ინტეგრაციის განვითარება 50-იანიწლების ბოლოდან დღემდე მიმდინარეობდა არათანაბარზომიერად

და შედარებით წინააღმდეგობრივად. ამასთან, ევროპული ეკონომიკური თანასაზოგადოების შექმნისას დაყენებული მიზნები და ამოცანები, განხორციელდა საკმაოდ თანმიმდევრულად და წარმატებულად.

დასავლეთევროპული ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების პროცესები შეიძლება დავყოთ ოთხ ეტაპად.

პირველი ეტაპი (50-იანი წლების ბოლო – 70-იანი წლების ნახევარი) ითვლება თანასაზოგადოების ცხოვრებაში "ოქროს საუკუნედ". იგი აღინიშნა საბაჟო კავშირის ვადამდელი შექმნით, ერთიანი აგრარული ბაზრის შედარებით წარმატებული ჩამოყალიბებით, ევროპულ ეკონომიკურ თანასაზოგადოებაში სამი ახალი ქვეყნის შესვლით: დიდი ბრიტანეთის, დანიის, ირლანდიის.

ევროპული ეკონომიკური თანასაზოგადოების შექმნის კონკრეტული მიზნები, ანუ, როგორც მას ხშირად უწოდებდნენ "საერთო ბაზარი", იყო:

- ქვეყანა – მონაწილეებს შორის ვაჭრობაში ყველა შეზღუდვის თანდათანობითი მოხსნა;
- მესამე ქვეყნებთან ვაჭრობაში საერთო საბაჟო ტარიფის დადგენა;
- "ხალხის, კაპიტალების, მომსახურეობის" თავისუფალ გადაადგილებაზე შეზღუდვების ლიკვიდაცია;
- ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის სფეროში საერთო პოლიტიკის შემუშავება და გატარება;
- საგადასახადო სისტემის უნიფიკაცია;
- კანონმდებლობების დაახლოება;
- ეკონომიკური პოლიტიკის შეთანხმების პრინციპების შემუშავება;

ამ მოწყობილობების რეალიზაციის მიზნით იყო შექმნილი კომპლექსური მმართველობითი სტრუქტურა - ევროპული ეკონომიკური თანასაზოგადოების მინისტრთა საბჭო, ევროპული თანასაზოგადოებების კომისია, ევროპული საბჭო, ევროპული სასამართლო, ევროპული პარლამენტი.

ევროპულმა ეკონომიკურმა თანასაზოგადოებამ თავის პირველ მიზნად დააყენა მონაწილე – ქვეყნების საქონლის, კაპიტალების, მომსახურეობის და სამუშაო ძალის, საერთო ბაზრის შექმნის ამოცანის ამოხსნა. ამისათვის შეიქმნა საბაჟო კავშირი. სწორედ საბაჟო კავშირი უდევს საფუძვლად ევროპულ ეკონომიკურ თანასაზოგადოებას. საბაჟო კავშირის ჩარჩოებში:

- იყო ლიკვიდირებული სავაჭრო შეზღუდვები მონაწილე – ქვეყნების ურთიერთვაჭრობაში;

- იყო დადგენილი ერთიანი საბაჟო ტარიფი მესამე ქვეყნებთან მიმართებაში;
- იყო მიღწეული კაპიტალების, კრედიტების, ფულადი გზავნილების, მომსახურეობის გაწევის გადაადგილების თავისუფლება;
- იყო უზრუნველყოფილი სამუშაო ძალის თავისუფალი მიგრაცია და საცხოვრებელი ადგილის შერჩევის თავისუფლება.

ყველა ეს ზომა ხელს უწყობდა სამრეწველო ინტეგრაციის დაჩქარებას. ერთდროულად იყო მცდელობები აგრარული ინტეგრაციის განსახორციელებლად კოლექტიური პროტექციონიზმის დაყენების ფორმით, სასოფლო-სამეურნეო ფონდის მეშვეობით კომპენსაციური მოსაკრებელის და ფინანსირების მეშვეობით. ევროპული კავშირის აგრარული პოლიტიკა ბაზირდება ფასების ერთიან სისტემაზე, რომელიც ევროპული კავშირის ქვეყანა – მონაწილეების მრავალი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებისათვის ერთიანი მინიმალური ფასის დაყენების გარანტიას იძლევა. საერთო ბაზრის ჩამოყალიბებამ დააჩქარა ევროპული ეკონომიკური თანასაზოგადოების ქვეყნების რაციონალური მონოპოლიების გარდაქმნის პროცესი ტრანსნაციონალურებში, ხელს უწყობდა ქვეყანა – პარტნიორების ეკონომიკაში შეღწევას. ევროპული ეკონომიკური თანასაზოგადოების განვითარება ნიშნავდა თანასაზოგადოების ქვეყანა – მონაწილეების ინტენსიურ გადასვლას კარჩაკეტილი ნაციონალური მეურნეობებიდან ღია ტიპის ეკონომიკასთან, რომელიც მიმართულია საგარეო ბაზრისკენ.

მეორე ეტაპი (70-იანი წლების ნახევარი – 80-იანი წლების ნახევარი) შევიდა ევროპული კავშირის ისტორიაში, რამაც შესაძლებელი გახადა ევროპული სავალუტო თანამშრომლობის პროგრამის მიღება, გარეპოლიტიკური კონსულტაციების მექანიზმის შექმნა. გამოვლენილმა ნეგატიურმა ტენდენციებმა ამ პერიოდში მაინც მიგვიყვანეს დასავლეთ-ევროპული ეკონომიკური ინტეგრაციის სერიოზულ კრიზისთან. ამ კრიზისმა მიიღო სახელწოდება “ევროსკლეროზი”. 70 წლებში და 80 წლების დასაწყისში ევროპული კავშირის ქვეყნებს შორის განვითარების დონის წყვეტა გაიზარდა. 1981 წელს ევროპულ კავშირში საბერძნეთის შესვლისას ეს ტენდენცია უფრო მკვეთრად გამოვლინდა, ვინაიდან ამ ქვეყნის ეკონომიკა იმყოფებოდა თანასაზოგადოების სხვა მონაწილეებთან შედარებით მნიშვნელოვნად უფრო დაბალ დონაზე.

მესამე ეტაპი (80-იანი წლების მეორე ნახევარი – 90-იანი წლების დასაწყისი) – თანასაზოგადოების შემადგენლობის შემდგომი განვითარების ეტაპია. 1986 წელს ესპანეთის და პორტუგალიის მიერთებამ მიიყვანა ის ქვეყანათაშორის ადრე არსებული დისპროპორციების გამწვავებასთან. ევროპულ კავშირში შესვლის მომენტისათვის

სულადობის შემოსავალი პორტუგალიაში ევროპული ეკონომიკური თანასაზოგადოების მიხედვით შეადგენდა დაახლოებით საშუალოს ნახევარს, ესპანეთში – დაახლოებით 3/4. ახალ ქვეყანა – მონაწილეებში დაახლოებით ხუთიდან ერთი მუშაობდა სოფლის მეურნეობაში, ეს იმ დროს როდესაც ევროპული ეკონომიკური თანასაზოგადოებაში – ერთი ცამეტიდან. ამასთანავე სწორედ ეს პერიოდი ხასიათდება ახალი იმპულსებით დასავლეთევროპული ინტეგრაციის განვითარებაში, დაკავშირებული უპირველესად ერთიანი ევროპული აქტის (ეეა) მიღებასთან.

ერთიან ევროპულ აქტში დასტურდებოდა თანასაზოგადოების ქვეყანა – მონაწილეების საერთო მიზანი – გაერთიანების – ევროპული კავშირის შექმნა, რომელიც წარმოადგენს თანასაზოგადოების მონაწილეების პოლიტიკურ ალიანსს და ითვალისწინებსარა მხოლოდ მათი ეკონომიკური, სავალუტო- საფინანსო, ჰუმანიტარული თანამშრომლობის მაღალ ხარისხს, არამედ საგარეო პოლიტიკის შეთანხმებას, უსაფრთხოების უზრუნველყოფის ჩათვლით. ერთიანი ევროპული აქტის ცენტრალურ დებულებად გამოვლინდა მასში დაფიქსირებული ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნის მიზანი, რომელშიც ევროპული ეკონომიკური თანასაზოგადოების სხვადასხვა ქვეყანა-მონაწილეები შეადგენდნენ ერთიან სამეურნეო ორგანიზმს. ევროპული ერთიანი აქტის მიღებისთანავე გაძლიერდა თანასაზოგადოების ქვეყანა-მონაწილეების ინტეგრაციული პროცესები მიკრო- და მაკროეკონომიკის, პოლიტიკის და სამართლის, მეცნიერების და ეკოლოგიის, რეგიონალური განვითარების, სოციალური ურთიერთობების სფეროში. 90-იანი წლების დასაწყისში ევროპული კავშირის ქვეყანა-მონაწილეებმა პრაქტიკულად დაასრულეს ერთიანი ბაზრის საფუძვლების შექმნა და მჭიდროდ მიუახლოვდნენ სავალუტო-ეკონომიკური და პოლიტიკური კავშირების ჩამოყალიბებას.

მეოთხე ეტაპი (XX ს. 90-იანი წლების ნახევარი – XXI ს. დასაწყისი). ერთიანი ევროპული აქტის შესაბამისად 1993 წლის 1 იანვარს შემოღებულ იქნა თანასაზოგადოების საზღვრებს შიგნით წარმოების ფაქტორების თავისუფალი გადაადგილება. ფაქტიურად თანასაზოგადოების ჩარჩოებში შეიქმნა ერთიანი, ეკონომიკური სივრცე, რაც ნიშნავდა ევროპული კავშირის ეკონომიკური ინტეგრაციის ხარისხობრივად ახალ ეტაპში შესვლას.

მაასტრიხტის ხელშეკრულების საფუძველზე (1992 წლის თებერვალი) 1994 წლის 1 იანვარს ევროპულმა ეკონომიკურმა თანასაზოგადოებამ განიცადა ტრანსფორმირება ევროპულ კავშირში რომლის ქვეყანა – მონაწილეების რიცხვი, გაიზარდა 15-მდე. ევროპული კავშირის ჩარჩოებში ხორციელდება მთლიანად ერთიანი შიდა ბაზრის

შექმნა. გამოცხადებულია შემდგომი ინტეგრაციული თანამშრომლობის მიზნები. ისინი მოიცავენ ერთიანი ევროპული ბანკის შექმნას, ერთიანი ვალუტის ევროს ემისიის უფლებებით, შიდა საზღვრების გარეშე ერთიანი დასავლეთ-ევროპული სივრცის წარმოქმნას. ევროპული კავშირი, რომელიც ამჟამად შედგება 15 წევრ – სახელმწიფოსგან, არის აშშ-სთან და იაპონიასთან ერთად მსოფლიოში ერთერთი მთავარი მწარმოებელი და მომხმარებელი. ევროსტატის მონაცემებით მის წილად მოდის მსოფლიო ექსპორტის 57% და იმპორტის 55%, ამავე დროს ევროპული კავშირის ქვეყნების წილი მსოფლიო ვაჭრობაში ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში, კავშირის წევრების რაოდენობის ზრდის მიუხედავად ვარდნას განიცდიდა. ერთ მოსახლეზე წლიური ერთიანი შიდა პროდუქტის (ВВП) რაოდენობა, გათვლილი შესყიდვის უნარიანობის პარიტეტის გათვალისწინებით, ევროპული კავშირის ქვეყნებისთვის საშუალოდ შეადგენს 17,3 ათას ეკიუს. ევროპული კავშირის საკმაოდ დიდი სოციალურ-ეკონომიკური მიღწევებისას, მისი მოსახლეობა შეადგენს მსოფლიოს მხოლოდ 7%.

რამდენიმე ძირითადი მომენტი ხელშეკრულებიდან:

- 1990 წლიდან 1993 წლამდე ევროკავშირის პრიორიტეტი უნდა ყოფილიყო კაპიტალის თავისუფალი ბრუნვის/მოძრაობის ხელშეწყობა;
- 1994 წლიდან 1999 წლამდე წევრ სახელმწიფოებს უნდა მოეხდინათ თავიანთი ეკონომიკური პოლიტიკის კოორდინაცია, რათა მიეღწიათ საერთო მიზნებისათვის, როგორიცაა: ინფლაციის და საპროცენტო განაკვეთების შემცირება, ბიუჯეტის დეფიციტისა და ვალების კონტროლი, ევროპის სავალუტო სისტემის გაცვლითი კურსების მექანიზმით რეკომენდირებული ნორმალური ჩარჩოების დაცვა. ის სახელმწიფოები, რომლებიც მოახერხებდნენ ამ პირობების შესრულებას, გადადიოდნენ შემდეგ ეტაპზე;
- 1999 წლიდან 2002 წლამდე უნდა დაარსებულიყო ევროპის ცენტრალური ბანკი, რომელიც გააკონტროლებდა გაცვლით კურსებს და ხმარებაში შეიყვანდა ერთიან ვალუტას - ევროს. ის სახელმწიფოები, რომლებმაც შეასრულეს წინა აბზაცში ჩამოთვლილი პირობები, ასე ვთქვათ, გადავიდნენ შემდეგ ეტაპზე და მათ ქვეყნებში მიმოქცევაში შევიდა ევრო. თავდაპირველად ეს სახელმწიფოები იყო: ესპანეთი, პორტუგალია, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, ლუქსემბურგი, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, ირლანდია და ფინეთი. ოთხი სახელმწიფო - დიდი ბრიტანეთი, საბერძნეთი, დანია და შვეცია - არ არის ევროს არეალში;
- ევროკავშირის ერთ-ერთი მიზანი უნდა ყოფილიყო სოციალური და ეკონომიკური თანასწორობის მიღწევა ევროპაში. ამისათვის 1994 წელს შეიქმნა

თანასწორობის (სოლიდარობის) ფონდი, რომელსაც ფინანსური დახმარება უნდა გაეწია ნაკლებადგანვითარებული სახელმწიფოებისა და რეგიონებისათვის, განსაკუთრებული აქცენტით ისეთ სექტორებზე, როგორებიცაა გარემოს დაცვა და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა. ამ დახმარებით ისარგებლეს ესპანეთმა, საბერძნეთმა, პორტუგალიამ და ირლანდიამ.

მაასტრიხტის ხელშეკრულების რატიფიკაცია არც ისე ადვილი აღმოჩნდა, როგორც ელოდნენ, თუმცა იგი ძალაში მაინც შევიდა 1993 წლის 2 ნოემბერს.

ევროპული კავშირის განვითარება არ ნიშნავს იმას რომ კავშირს არ გააჩნია სიძნელეები. ზემოთ უკვე აღნიშნული იყო ქვეყანათაშორის და ქვეყანათაშიგნით დისპროპორციები, რომელიც წარმოიშვა ევროპული კავშირის ახალი წევრების მიერთების შედეგად. მნიშვნელოვანი პრობლემები ჩნდებოდა და ჩნდება ერთიანი აგრარული პოლიტიკის, სოფლის-მეურნეობის პროდუქციის ძირითად სახეობებზე ერთიანი ცენტრალიზებული ფასების განხორციელების პროცესში. ევროკავშირის იდეოლოგებს აწუხებს აგრეთვე საერთაშორისო ბაზრებზე ევროპული საქონლის კონკურენტუნარიანობის ვარდნა, ევროპული კავშირის მსოფლიო ვაჭრობაში წილის შემცირება, ჩამორჩენა აშშ-სგან კომპიუტერიზაციაში და სხვა. ევროკავშირი არსებით პრობლემებს შეიძლება შეეჯახოს აგრეთვე მასში ახალი წევრების შესვლასთან დაკავშირებითაც. 1998 წლის მარტში დაიწყო აქტიური მოლაპარაკებები პრეტენდენტ-ქვეყნების ჯგუფთან ევროპულ კავშირში შესვლაზე. ევროპული კავშირი სახეს აბრუნებს აღმოსავლეთ ევროპისაკენ. ევროპული კავშირის მომავალი ახალი წევრები შეიძლება გახდნენ კვიპროსი, ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვენია, ესტონეთი. გააქტიურდა თურქეთი თავის სწრაფვაში შევიდეს ევროპულ კავშირში. ევროპული კავშირის წევრების ახალი პრეტენდენტები, კვიპროსისა და თურქეთის გარდა, წარმოადგენენ საბაზრო და დემოკრატიულ ყაიდაზე ჯერ კიდევ ცენტრალური და დასავლეთ ევროპის რეფორმირებად პოსტსოციალურ რეგიონს. ევროპულ კავშირში ახალი “აღმოსავლური” წევრების შესვლის მოსალაპარაკებელი პროცესი, როგორც ევროკავშირის ექსპერტები თვლიან, იქნება საკმაოდ დაძაბული და ხანგრძლივი. ხოლო ევროპულ კავშირში შემავალი კანდიდატი-ქვეყნების ადაპტაციაზე დანახარჯები იქნება ძალიან მაღალი. პირველ ხანებში ევროპული კავშირი ყოველწლიურად ამ მიზნებისათვის გამოყოფს დაახლოებით 1,7 მლრდ. დოლარს წელიწადში. 2000 წლიდან ეს თანხა ორმაგდება. ძირითადად სახსრები წავა ჩამორჩენილი სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციაზე, ტრანსპორტის განვითარებაზე, გარემოს დაცვის სამსახურების სრულ გარდაქმნაზე, ეკონომიკური სტრატეგიების აკადემიის უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე და სხვა

დარგების ფინანსირებაზე. დასავლეთევროპის ინტეგრაციის თეორეტიკოსებს ევროპული კავშირის ეგიდით გამოაქვთ “სხვადასხვა სიჩქარეებზე” და “კონცენტრული წრეების ევროპის” ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების კონცეფცია. რაც შეეხება “სხვადასხვა სიჩქარეებზე ევროპის” კონცეფციას, ინტეგრაციული პროცესები ევროპაში მიდიან სულ მცირე ხუთი სიჩქარით. ყველაზე სწრაფია – სავალუტო კავშირის 11 წევრი. შემდეგ მოდიან დიდი ბრიტანეთი, შვედეთი, დანია, საბერძნეთი, რომლებიც პირველ ეტაპზე თავს შეიკავებენ ევრო-ს შემოღებისგა. მათ მოსდევენ “ხუთს პლიუს ერთი” 11 პრეტენდენტს შორის ყველაზე ღირსეული, საიდანაც ბოლო არის თურქეთი.

საკვანძო საკითხები

- დასავლეთ ევროპის რეგიონალიზაცია და ინტეგრაცია 1945 წლის შემდეგ სხვადასხვა ფაქტორებით იყო განპირობებული: ევროპული ჰეგემონიზმისა და იმპერიული მსოფლიო სისტემის დრომოჭმულობა და ბიპოლარული სისტემის წარმოქმნა, რომელიც ემყარებოდა ბირთვულ შეკავებას, აგრეთვე მანამდე არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების ნგრევა და მოშლა.
- რეგიონალიზაციის საწყისი პროცესი არ იყო არც ერთიანი ფორმის და არც სწორხაზოვანი. სხვადასხვა ინტერესები და პოლიტიკური ძალები ნაბიჯ-ნაბიჯ ქმნიდნენ რეგიონულ და სპეციფიური მიზნების მქონე ჯგუფებს.
- ევროპაში ინტეგრაციის პროცესები საზღვრები და კომპლექსურობა მნიშვნელოვანწილად იზრდება XXს. 50-იანი წლებიდან. თუკი დავაკვირდებით ევროკავშირის შიგნით მიმდინარე პროცესებს, ნათელი ხდება, რომ ამ მოღვაწეობის შედეგები უკვე დიდი ხანია არ შემოიფარგლება „ნაციონალური“ საზღვრებით.
- არაფორმალური ინტეგრაცია ასევე მნიშვნელოვან შედეგებს იწვევს. მაგალითად ის მცირე კონტაქტებმა, რომლებიც აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის არსებობდა გარკვეულწილად ხელი შეუწყო კომუნისტური იდეოლოგიის კრახსა და საბჭოთა ჰეგემონიის დასასრულს, ასევე მნიშვნელოვანია მწვანეთა თუ მშრომელთა სხვადასხვა სახის მოძრაობები დასავლეთ ევროპაში.
- 1989 წლის შემდეგ ნატო-სა და ევროკავშირის წინაშე დადგა მათი როლისა და შესაძლებლობების განსაზღვრის ფუნდამენტური საკითხი. ყოველივე ამაზე ევროკავშირის პასუხი იყო პირველ რიგში კავშირის ჩარჩოების გაფართოება და წევრი ქვეყნების უფრო ღრმა პოლიტიკური ინტეგრაცია, მეორეს მხრივ კი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ინტეგრირების ხელშეწყობა.

ევროკავშირი დღეს არის კომპლექსური და ვრცელი რეგიონული დაჯგუფება. მისი წევრობა გულისხმობს მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამართლებრივი უფლებამოსილებების დათმობას; დათანხმებას მაღალ დონეზე ინტეგრირებულ ეკონომიკურ, ფინანსურ ანდა ტექნოლოგიურ მოღვაწეობაზე; კულტურული და ლინგვისტური ჰეტეროგენურობის მნიშვნელოვან ხარისხს. ევროკავშირი წარმოადგენს არა მხოლოდ ინტეგრირებული ევროპული პოლიტიკის სტრუქტურას, არამედ იგი სულ უფრო ხშირად აღიქმება, როგორც პირველადი სტრუქტურა.

თემა 14

ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკა

რეგიონალური პოლიტიკა - მთავარი შემადგენელი ნაწილია სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის. რეგიონალური პოლიტიკა მოიცავს სხვადასხვა საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და ეკონომიკური ღონისძიებების კომპლექსს, რომელიც ხორციელდება როგორც ადგილობრივი, ასევე ცენტრალური ორგანოების მიერ და მიმართულია სამრეწველო ძალების განლაგების რეგულირებაზე.

სახელმწიფოს რეგიონალური პოლიტიკა - ეს არის მოღვაწეობის სფერო, რომელიც მიმართულია ქვეყნის ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური განვითარების მართვისაკენ სივრცით და რეგიონალურ ასპექტში, ანუ დაკავშირებულია სახელმწიფოსა და რაიონის და რაიონებს შორის ურთიერთობებით.

რეგიონული პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები:

—რეგიონალური განვითარების მამოძრავებელი ძალების ურთიერთთანხვედრის განსაზღვრება და მათი ურთიერთქმედების უზრუნველყოფა (ეკონომიკის სახელმწიფო და კერძო სექტორები, რეგიონის განვითარების გარე და შიდა ფაქტორები და საშუალებები);

-განვითარების საერთო სახელმწიფოებრივი და რეგიონალური ასპექტების ურთიერთთანხვედრის განსაზღვრა ეკონომიკის მართვის ცენტრალურ და რეგიონალურ დონეებზე;

- დანარჩენი რაიონების ეკონომიკური აღმავლობა და ახალი რაიონებისა და რესურსების ათვისება;

- ნაციონალურ-ეკონომიკური ამოცანების გადაწყვეტა;

- ურბანიზაციის პრობლემების გადაწყვეტა.

რეგიონალური პოლიტიკის მიმართულებებს შეიძლება მივაკუთვნოთ აგრეთვე დემოგრაფიული, აგრარული პოლიტიკის რეგიონალური ასპექტები და სახელმწიფო ხელისუფლების სხვა ღონისძიებები. სახელმწიფოს დამოკიდებულება ყოველ ამ მიმართულებაზე და მათზე განხორციელებული კონკრეტული ღონისძიებები, ქმნიან სახელმწიფოს რეგიონალური პოლიტიკის შინაარსს, რომელიც აქტიური რეგიონალური პოლიტიკის გამტარებელ ყველა ქვეყანაში პრაქტიკულად ერთნაირია.

რეგიონალური პოლიტიკა **თამაშობს მნიშვნელოვან როლს მეტნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში**, თუმცა ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში რეგიონული

პრობლემები უფრო მწვავეა. ეს აიხსნება იმით, რომ რეგიონალური პოლიტიკის გატარება მოითხოვს მნიშვნელოვან საშუალებებს.

განვითარებად ქვეყნებში რეგიონული პოლიკის მიმართულება შემდეგია:

-ერთიან ნაციონალურ ბაზარში ქვეყნის ყველა რაიონების ინტეგრაცია.

-რეგიონალური დისპროპორციების შერბილება და განსაკუთრებით ჩამორჩენილი აგრარული რეგიონების აღმავლობა;

-წინააღმდეგობის შერბილება ქალაქსა და სოფელს შორის, ურბანიზაციის პროცესის რეგულირება;

-შესაძლებელზე მეტად სრული ათვისება ბუნებრივი და ადამიანური რესურსების;

-ახალი სამრეწველო პროექტების რაციონალური განლაგება.

რეგიონალური ეკონომიკის მიზნები

რეგიონალური პოლიტიკის მთავარი მიზანი - ყველა დაინტრესებული რეგიონის, საწარმოსა და მოქალაქეების ბაზარში შესვლისათვის ხელსაყრელიპირობების შექმნა, მათი მიზნობრივი საშუალებების და მიღებადობის გახსნა და განვითარება ტერიტორიალური სპეციფიკის ჩათვლით.

რეგიონალური პოლიტიკის მიზნები:

-სოციალური მიზნები - კერძო მეწარმეების ფენის ფორმირება რეგიონებში, რომელიც ეთანხმება სოციალურად ორიენტირებული საბაზრო ეკონომიკის შექმნას,რეგიონალური ბაზრების განვითარებას; მოსახლეობის სოციალური დაცვა და სოციალური ინფრასტრუქტურის ობიექტების განვითარება არა მარტო სახელმწიფო საშუალებების ხარჯზე, არამედ პრივატიზაციიდანაც მიღებული, სამამულო და საზღვარგარეთელი ინვესტორებიდან;

-ეკონომიკური მიზნები - ტერიტორიაზე ორიენტიტრებული პრივატიზაცია, ტემპებში მიმდინარე, რომლიც ითვალისწინებს რუსეთის ყოველი რეგიონის სპეციფიკას, მთლიანობაში მყარი მდგომარეობა რეგიონალური სამეურნეო კომპლექსებისა ფინანსური არასტაბილურობის პირობებში; კონკურენტული საბაზრო შრის შექმნა რუსეთის ყველა რეგიონში; მეურნეობის დემონოპოლიზაციაზე ზემოქმედება; კომპლექსურობის ამაღლება ბუნებრივი რესურსების მოხმარებაზე მცირე და საშუალო საწარმოების განვითარების სისტემის ბაზაზე; ურთიერთქმედება საექსპორტო პოტენციალის გაფართოებაზე, საზღვრისპირა ვაჭრობაზე, თავისუფალ ეკონომიკურ ზონაზე; უცხოური კაპიტალის მოზიდვა რუსეთისა და მისი რეგიონისათვის ხელსაყრელ პირობებზე;

-ეკოლოგიური მიზნები - ურთიერთქმედება ეკოლოგიურ-ეკონომიკური წონაწორობის აღდგენაზე მსუბუქად დაზიანებულ რეგიონებში ეკოლოგიურად სუფთა (ნარჩენების გარეშე) ტექნოლოგიების გავრცელების საფუძველზე; კერძო და უცხოური

კაპიტალის მოზიდვა ბუნების დაცვით ღონისძიებებში მონაწილეობისათვის და რეალიზაციისათვის.

რეგიონული პოლიტიკის შინაარსი და მნიშვნელობა

დიდი ქვეყნებში ბუნებრივ-გეოგრაფიული, სოციალურ-დემოგრაფიული, ეკონომიკური და სხვა პირობებში უზარმაზარი განსხვავების შედეგად **რეგიონების მიმართ უნიფიცირებული მიდგომა** შეუძლებელია. **საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის პერიოდში რეგიონალური პოლიტიკის როლი** კიდევ უფრო იზრდება.

რეგიონალური პოლიტიკა მოწოდებულია შიდა სოციალური სოციალური დაძაბულობის შერბილებისაკენ, ქვეყნის ერთიანობისა და მთლიანობის შენარჩუნებისაკენ. ქვეყნის ცვალებადი სიტუაცია იწვევს რეგიონალური პოლიტიკის შინაარსის შეცვლას.

სასტარტო პირობების ობიექტური განსხვავება, ფედერალური ხელისუფლების დიფერენციარული დამოკიდებულება სხვადასხვა რეგიონის მიმართ და რეგიონალური ხელისუფლების პოლიტიკის სხვაობა განსაზღვრავს განხორციელებული რეფორმებისა და მათ რეგიონალური მრავალფეროვნების არაკანონზომიერებას.

რუსეთში შეინიშნება **დეზინტეგრაციის ნიშნები:** რეგიონის ჩაკეტილობის გაძლიერება და შემცირება ურთიერთრეგიონალური კავშირების. ფარგლებში არსებული დეზინტეგრაცია- ეს არის რეგიონის ამოვარდნა ეკონომიკური სისტემიდან (და სახელმწიფოს), მისი განპირობება და შესვლა სხვა სისტემაში (სახელმწიფოში). დეზინტეგრაციული ტენდენციები არ არის აღმოფხვრილი დღევანდელ დღემდე (მაგალითად, ჩეჩნეთის რესპუბლიკა, თათრეთის რესპუბლიკა და სხვა). თუმცა **პოლიტიკური საშიშროება** რუსეთის დაცემაზე სუსტდება, იწყებს აქტიურ მოქმედებას ისეთი გამაერთიანებელი ფაქტორი, როგორიცაა საქონელმწარმოებელთა დაინტერესება, მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილების გადალახვა და პროდუქციის წარმოების ბაზრის გაფართოვება. ეს ინტეგრაციული მომენტები მოითხოვენ სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერას.

რუსეთის რეგიონების უზარმაზარი განსხვავება განვითარების ყველა გზავნილებზე და ქვეყნის ფედერაციული მოწყობა უნიფიცირებულად გატარებული რეფორმების წარუმატებლობაზე მიუთითებენ. რუსეთის რეფორმირებისათვის საჭიროა ორი მიმართულების გონებრივი შეთანხმება - რეგიონალიზაციისა და ინტეგრაციის.

რეგიონალიზაციის არსი - რეგიონების სპეციფიკის აღწერაა საერთო რუსულ, სტრუქტურულ, საინვესტიციო, ფინანსურ პოლიტიკაში; გადატანა რიგი რეფორმების მიმართულებისა რეგიონალურ დონეზე (მაგალითად, კომუნალური სექტორის

რეფორმა); სპეციალური რეფორმების პროგრამების შემუშავება განსაკუთრებული განვითარების მქონე რეგიონებისათვის.

რეგიონალიზაციისა და ინტეგრაციის ტენდეციები, რა თქმა უნდა ურთიერთსაწინააღმდეგოა. არ აის გამორიცხული ტრანსფორმაცია რეგიონალიზაციის და რეგიონალური სეპარატიზმი, მაგრამ საზღვარსგასული მმართველობის ცენტრალიზაციაც მიუღებელია. ეკონომიკური დაინტერესება ადგილებზე წარმოშობს ბაზას რეგიონალური სეპარატიზმისათვის, რადგანაც რეგიონში ძლიერდება დარწმუნება იმაში, რომ მარტო, ან რეგიონალური კოალიციის შემადგენლობაში მოქმედებით შეიძლება მივაღწიოთ მეტს, ვიდრე ცენტრალიზებულ სახელმწიფოშიო.

დეკლარაციური პრინციპი ქალაქსა და სოფელს შორის გნსხვავების წაშლაზე არ იქნა რეალიზებული, რამაც **გამოიწვია სოფლის მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია ქალაქში.** მსხვილი ქალაქების უსაზღვრო ზრდის შეჩერება ხორციელდებოდა ადმინისტრაციულ-აკრძალვითი მეთოდებით - ჩაწერის უფლების გართულების გზით. ამავე დროს ქალაქებში ვითარდებოდა მრეწველობა, რაც არ იყო უზრუნველყოფილი იმ სამუშაო ძალით, რომელიც იზიდავდა სამუშაო ძალას ,,ლიმიტით". ამასთანავე მიმდინარეობდა წვრილი სასოფლო დასახლებების - ,,არაპერსპექტიული სოფლების'' ლიკვიდაციაც.

რეგიონალური განვითარების სტრატეგიულ ამოცანებად დღევანდელ დღეს ითვლება:

-ძველი წარმოების რეგიონების და მსხვილი საქალაქო აგლომერაციების ეკონომიკის რეკონსტრუქცია სამოქალაქო და თავდაცვის დარგების კონვერსიის გზით, ინფრასტრუქტურის მოდერნიზაცია, ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღება;

არაშავმიწა აგროსამრეწველო რეგიონების რეგიონების დეპრესიული მდგომარეობის გადალახვა, სამხრეთი ურალის, ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის; პატარა ქალაქებისა და რუსული სოფლის აღორძინება, სოფლის გარემოს გალეული სასიცოცხლო შრის აღორძინების დაჩქარება, ადგილობრივი სამრეწველო და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება, მიგდებული სასოფლო-სამეურნეო სახნავი მიწების ათვისება;

-რეგიონებში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის სტაბილიზაცია ექსტრემალური ბუნებრივი პირობებით, მოჭარბებულად ნედლეული სპეციალიზაციით; პირობების შექმნა მცირერიცხოვანი ერებისათვის (უპირველესად უკიდურესი ჩრდილოეთის და მისი მიმდებარე ტერიტორიების, მთიანი რაიონების);

ტერიტორიულ-სამრეწველო კომპლექსების და სამრეწველო კვანძების ფორმირების გაგრძელება ჩრდილოეთ და აღმოსავლეთ რეგიონებში უმეტესად არაცენტრალიზირებული ინვესტიციების საფუძველზე და პრიორიტეტული

განვითარება წარმოებისა მოპოვებითი ნედლეულის კომპლექსური გამოყენებით, მკაცრი ეკოლოგიური სტანდარტების დაცვა;

ექსპორტული და იმპორტის შემცველი წარმოების განვითარების სტიმულირება რაიონებში, რომელთაც ამისათვის ხელსაყრელი პირობები გააჩნიათ; თავისუფლი ეკონომიკური ზონის ფორმირება, აგრეთვე ტექნოპოლისებისა, როგორც რეგიონალური ცენტრისა მეცნიერების მიღწევების დანერგვაში, ეკონომიკური და სოციალური პროგრესის დაჩქარება;

ახალი საზღვრისპირა რეგიონების გადასპეციალიზირება;

რეგიონებისა და რეგიონთშორისი ინფრასტრუქტურული სისტემის განვითარება (ტრანსპორტის, კავშირის, ინფორმატიკის), რომლებიც უზრუნველყოფენ და სტიმულირებას უწევენ რეგიონალურ სტრუქტურულ წინსვლასა და რეგიონალური ეკონომიკის ეფექტურობას;

ჩამორჩენილობის გადალახვა დონითა და ცხოვრების ხარისხით სხვადასხვა რესპუბლიკებისა და ოლქების მოსახლეობისათვის.

ამგვარად, რეგიონალურ პოლიტიკაში **აქცენტი გადატანილია ახალი რაიონების ათვისებიდან მათი სტაბილიზაციისა და ძველი რეგიონების დეპრესიული მდგომარეობის დაძლევისაკენ,** მსხვილი ქალაქების ზრდის შეჩერებიდან - ახალი ქალაქებისა და სოფლის დასახლებების დაბადებაზე; შეიცვალა შთანხმება ცენტრალური და რეგიონალური დონის მმართველობაზე, აღმოცენდა ახალი პრობლემები: უმუშევრობა, რომელიც ზოგიერთ რეიონში კრიტიკულ ზღვარს აღწევს; გაჩნდნენ ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებულნი; ზოგიერთ რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური სიტუაციის მკვეთრი გაუარესება.

უმთავრესთა შორის შეიძლება გამოვყოთ რეგიონალური პოლიტიკის შემდეგი ამოცანები:

-ეკოლოგიური სიტუაციის ნორმალიზაცია;

-ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა ადაპტაცია; ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და რეგიონებში სოციალური ინფრასტუქტურის განვითარების დაჩქარება;

-რეგიონებში სიტუაციის ნორმალიზება, სადაც სამუშაო ბაზარზე აღინიშნება კრიტიკული მდგომარეობა;

-ჰიპერურბანიზაციის პრობლემების გადაწყვეტა - ლიკვიდირება მსხვილი ქალაქების გადატვირთულობისა სამრეწველო ობიქტებით, მოსახლეობით, ძალიან დიდი ეკოლოგიური დატვირთვისა და მსხვილი ქალაქების სოციალური ინფრასტრუქტურის გადატვირთულობის აღმოფხვრა.

რეგიონალური პოლიტიკის გატარების მეთოდები

განასხვავებენ რეგიონალური პოლიტიკის გატარების პირდაპირ და ირიბ მეთოდებს.

რეგიონალური პოლიტიკის გატარების პირდაპირი მეთოდის დროს სახელმწიფო აქტიურად მონაწილეობს კაპიტალდაბანდებებში, რომელიც მიმართულია მეურნეობის ტერიტორიული სტრუქტურის სრულყოფისათვის (ზრდის ცენტრის შექმნა, სამრეწველო პარკების, ინფრასტრუქტურის დანიშნულების ადგილას და ა.შ)

რეგიონალური პოლიტიკის გატარების ირიბი მეთოდის დროს სახელმწიფო ფინანსური (საბაჟო, საგადასახადო) სისტემიდან მიისწრაფვის შესაბამისი ეკონომიკური ,,კლიმატის'' შექმნისაკენ ამა თუ იმ რაიონებში მიგრაციული ნაკადების სტიმულირებისა და დაჩქარებული განვითარებისა და მართვისათვის.

სახელმწიფოს პირდაპირი მონაწილეობის მეთოდების გამოყენება რეგიონალური განვითარების რეგულირებაში მჭიდროდაა დაკავშირებული ადმინისტრაციულთან - ეს არის განხორციელებული სახელმწიფო რეგიონალური პროგრამები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული, კონკრეტული სტუქტურაში მოქმედი საინვესტიციო პროექტები; საერთოსაზოგადოებრივი მოხმარების პროდუქციაზე შეკვეთების გაკეთება (მათ შორის პრობლემური რეგიონების მხარდაჭერა), როგორც საკონტრაქტო სისტემის შედეგი.

რეგიონალური განვითარების ირიბი რეგულირების მეთოდები მოიცავს:

-რეგიონალური განვითარების სოციალური ფონდების შექმნას (ფედერალური, სამხარეო და ა.შ.) რომელთაც უნდა შეძლონ ფინანსური რესურსების აკუმულირება ნაირგვარი რეგიონალური პოლიტიკის გადაწყვეტისათვის: სუბვენციის პოლიტიკის განხორციელება საწარმოსათვის, რომელიც იმყოფება რთულ სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიურ პირობებში;

-კერძო ინვესტორების მოზიდვა რეგიონალური პოლიტიკის ამოცანების გადაწყვეტისათვის;

- შემავსებელი დანახარჯების კომპენსირება, რომელსაც ატარებენ სამეურნეო ობიექტები თავიანთი საწარმოების რთულ პირობების მქონე რეგიონებში განთავსებისას;

-საგადასახადო კლების წარმოდგენა ,,რესურსების მილევაზე'', ანუ დაკავშირებულია ბუნებრივი რესურსების მარაგის მილევაზე , რომელიც განსაკუთრებით აქტუალურია ექსტრემალური პირობების მქონე რაიონებისათვის;

- საარენდო გადასახადის მისაღები ვარიანტი საწარმოს აგებისათვის აღებული ფართისათვის, რომელსაც გააჩნია დიდი მნიშვნელობა დარგობრივი და ეკონომიკის ტერიტორიალური სტრუქტურების სრულყოფისათვის; რეგიონალურ-დიფერენცირებული ამორტიზაციის შემოღებით, რომლებიც განლაგებულნი იქნენ

რთული პირობების მქონე რაიონებში, საკუთარი მრეწველობის დაჩქარებული ამორტიზაციის ფინანსირება;

-ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციაზე მომატებული ფასების გამოყენება; სანქციების შემოღება საწარმოებისათვის, რომლებიც აბინძურებს გარემომცველ შრეს, განსაკუთრებით არახელსაყრელი პირობების მქონე რეგიონებში;

რეგიონალური ეკონომიკა. რეგიონალური პოლიტიკის შინაარსის ცვლა რეგიონული ეკონომიკის წინაშე ახალ თეორიულ ამოცანებს აყენებს. კერძოდ, აუცილებელი ავირჩიოთ მკვეთრი კრიტერიუმები იმ რეგიონების მიმართ, რომლებიც პრობლემურთა რიცხვს, ან პრიორიტეტულად განვითარებულ ტერიტორიებს მიეკუთვნებიან.

ბრძანებით-განკარგულებითიდან საბაზრო ეკონომიკაზე სწრაფმა გადასვლამ მიიყვანა დროებით სოციალურ-ეკონომიკურ რყევამდე, რეგიონების ნაირგვარი შესაძლებლობიდან საბაზრო პირობებთან სწრაფი ადაპტირებისაკენ.

განსაკუთრებით არასაკმარისად დაცული დარჩა რეგიონების სამი ჯგუფი:

-წარმოების მაღალი კონცენტრაციით, რომლებიც არარენტაბელურნი გახდნენ საბაზრო ფასებთან, ანდა მკვეთრად დაკარგეს მოთხოვნა თავიანთ პროდუქციაზე;

-ძირითადი ეკონომიკური ცენტრებიდან დაშორება -ტრანსპორტის ტარიფების გაძვირებასთან დაკავშირებით, რომლებიც რიგ შემთხვევაში გაიზარდა 5-10 ათას ჯერ;

-ადრე ფეოდალური ბიუჯეტიდან მიღებული მნიშვნელოვანი დოტაციები, რომლებიც უეცრად დაკარგეს.

ამავე დროს რიგ რეგიონებში, რომლებშიც საბაზრო ინფრასტრუქტურაა განლაგებული, განსაკუთრებით კი საბანკო კაპიტალით (მოსკოვი), საკმაოდ მალე გამოვიდნენ შოკიდან. ერთმანეთზე დალაგებული ისტორიულად ჩამოყალიბებული დისპროპორციები და გარდამავალი პერიოდის ფაქტორები რუსეთის ბევრი რეგიონისათვის დღევანდელობაში პრობლემურია. პრობლემური რეგიონების ძირითადი ტიპები - ეს არის სუსტად განვითარებული, დეპრესიული, ეკოლოგიურად საშიში, საზღვრისპირა.

სუსტად განვითარებულს (ტრადიციულად ჩამორჩენილს) მიეკუთვნება რეგიონები, რომლებიც რიგი მიზეზების გამო, ქრონიკულად ჩამორჩებიან საშუალო რუსულ დონეს. ამ კატაგორიაში შედიან მთელი რესპუბლიკების ნახევარზე მეტი (მარია ელი, ალტაი, ტივა, ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკები და სხვა), აგრეთვე ევროპული ნაწილის რიგი ოლქები. ამ სუბიექტების მოსახლეობის 80% იმყოფება სიღარიბის ოფიციალურ ზღვარს მიღმა. დეპრესიული რეგიონები ხასიათდებიან სამრეწველო წარმოების ღრმა დაცემით (ხშირად ეს რეგიონები არიან ვპკ-სა და მანქანათმშენებლობის მაღალი კონცენტრაციით, რომელთაც დაკარგული აქვთ

სახელმწიფო შეკვეთა და ინვესტიციური მოთხოვნა). აქ როგორც წესი მაღალია უმუშევრობის დონე. ამ ჯგუფში შედის ბევრი ინდუსტრიულად განვითარებული ოლქი ჩრდილო-დასავლეთის, ცენტალური, ვოლგისპირეთის, ურალის, დასავლეთ-ციმბირის, აღმოსავლეთ ციმბირის რაიონების.

ეკოლოგიურად საშიშებს მიეკუთვნება რეგიონები, რომლებმაც განიცადეს ნაირგვარი კატასტროფის შედეგები (მურმანსკის მხარე, ვოლგისპირეთი, ურალი, კუზბაი, კასპიის ზღვის სანაპირო). ერთ ჯგუფში, მივიღებთ რა მხედველობაში გეოპოლიტიკურ სიტუაციას, მიზანმიმართულია გამოიყოს რიგი საზღვრისპირა რეგონები, რადგანაც აქ საჭიროა არა მარტო ეკონომიკის აწევა, არამედ შეიქმნას მათთვის პრინციპულად ახალი სასაზღვრო და საბაჟო ინფრასტუქტურა, რაც მიგვიყვანს ძირეულ ცვლილებებამდე, მათ შორის ცხოვრების წესის დალაგებამდე.

რეგიონალური კრიზისული სიტუაცია - ეს არის რეგიონების ეკონომიკური მდგომარეობის შეცვლა, რომელთა აღმოფხვარა მოითოვს ფედერალურ საკანონმდებლო და აღმასრულებელი მმართველობის ორგანოების ჩარევას და ტერიტორიული განვითარების სახელმწიფო ეკონომიკური საგანგებო მეთოდების გამოყენებას.

რეგიონებში კრიზისული სიტუაციების ძირითადი სახეები:

-დემოგრაფიული სიტუაციის ცვლილება, რომელსაც მივყავართ მოსახლეობის დეპოპულაციისაკენ, ქვეყნისა და მისი რეგიონის გენოფონდის გაუარესებისაკენ.

-ტერიტორიის ტექნოგენური დატვირთვის რაციონული ნორმის გადაჭარბება, რომელსაც მივყავართ რეგიონის ეკოსისტემის გაუარესებისაკენ.

-რეგიონის მრეწველობის დაცემა სპეციალიზაციის დარგებში 50-60%-ზე მეტად;

-უმუშევრობის ზრდა, ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 15%-ზე მეტში;

-რეგიონის პროფილის შეცვლა, რომელსაც მივყავართ კადრების მასობრივ გადაკვალიფიცირებასთან;

-ჭარბი შრომის რეგიონებში ლტოლვილების, გადასახლებულებისა და უცხოელი მუშახელის გამოჩენა, რომელსაც საერთონაციონალურ და სოციალურ დაძაბულობამდე მივყავართ;

-მაღალი და მუდამ მზარდი სამრეწველ კომპლექსის დამოკიდებულების ხარისხი (50%-ზე მეტი) რეგიონთაშორისიდან საერთორეგიონალურ კავშირებამდე;

-ფინანსური რეურსებით დაბალი მომარაგება, რეგიონში დესტაბილზებული სიტუაცია, დაფედერალურ ცენტრთან გართულებული სიტუაცია (მაგალითად, რეგიონის ფინანსური საშუალებების დოტაცია აჭარბებს 30%);

-ინფრასტრუქტურის ობიექტების დაბალი მომარაგება, რომელიც შემოფარგლავს შემდგომი განვითარების შესაძლებლობებს.

შემდგომი კრიტერიუმებით რუსეთის ფედერაციის სუბიექტები შეიძლება გავყოთ **კრიზისულ და კრიზისის პირას** მყოფებად.

მრეწველობის დაცემის მონაცემების მიხედვით კრიზისულად ითვლება ფედერაციის 9 სუბიექტი (ჩეჩნეთის რესპუბლიკა, ინგუშეთი, ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა, დაღესტანი, ყაბარდო-ბალყარეთი, ყარაჩა-ჩერქეზეთი, დივა, ადიღეა, მორდოვია, მარიი ელ, ყალმუხეთი; პენზას, ასტრახანის, ტამბოვის, ივანოვსკაიას, ფსკოვის, კურსკაიას, ბრიანსკიას, ორლოვსკიას ოლქები და ალთაის მხარე), კრიზისის პირას მყოფი 16 სუბიექტი (კურგანსკაია, კიროვსკაია, ტულსკაია, ვლადიმირსკაია, ვორონეჟსკაია, როსტოვსკაია, სმოლენსკაია, ჩიტინსკაია, სარატოვსკაია, კალაუჟსკაია, ნოვგოროდსკაია, ორენბურგსკაია და ტვერის რაიონი, სტავროოლის მხარე, ჩუვაშთისა და ბურატიის რესპუბლიკები).

დემოგრაფიული სიტუაციის დამახასიათებელი მაჩვენებლების მიხედვით, კრიზისულ ტერიტორიებს მიეკუთვნება 5, კრიზისს პირას მყოფს კი ფედერაციის - 12 სუბიექტი; ცხოვრების დონის მიხედვის შესაბამისად 19-დან 5;

უმუშევრობის დონის მიხედვით - შესაბამისად ფედერაციის 17-დან 12 სუბიექტი.

დამახასიათებელია, რომ ფედერაციის სუბიექტების მნიშვნელოვანი რიცხვი გხვდება კრიზისულ და კრიზისის პირას მყოფ ჯგუფში, ნებისმიერი კლასიფიკაციის გამოყენებისას.

რეგიონალური კრიზისული სიტუაციების შედეგები:

-მკვეთრი მატება გარდაცვალებისა შობადობასთან მიართებაში, რომელიც იწვევს რეგიონის მოსახლეობის სწრაფ დაბერებას;

-ძირძველი მოსახლეობის რაოდენობის შემცირება, რაც იწვევს ნაციონალური ტრადიციების დაკარგვას;

-ტერიტორიაზე ტექნოგენური დატვირთვის გაძლიერება, მისგან გამომდინარე შედეგებით;

-წარმოების დაცემა, რასაც მივყავართ უმუშევრობის ზრდასთან, დაწესებულებების გაკოტრებასთან, რეგიონალური ბიუჯეტის ფინანსირების პოტენციური წყაროების დადაბლებასთან, რაც შემოიფარგლებოდა სამომხმარებლო ბაზრის ფორმირების შესაძლებლობით, პირობების შექმნა ბაზარზე უცხოური იმპორტირებული პროდუციისათვის ადგილობრივი მწარმოებლების საზიანოდ;

-უმუშევრობის ზრდა;

-რეგიონის ეკონომიკის არამდგრადი ფუნქციონირება, უზომოდ დიდი დამოკიდებულება შემოტანილ და ექსპორტულ პროდუქციასა და ნედლეულზე, როგორც შედეგი შეუსრულებელი ვალდებულებებისა;

-გაზრდილი მასა გადაუხდელობისა და გადასახადებიდან ამორიცხული ნაკლოვანებებისა, რომელსაც მივყავართ ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტთან და დასაშვები ნორმის გადაჭარბებასთან.

შექმნილ სიტუაციაში, როცა ფედერაციის სუბიექტების უმეტესი ნაწილი უუნაროა, რათა არსებული კრიზისიდან საკუთარი საშუალებებით გამოვიდეს, რეგიონალური პოლიტიკის შემუშავებისა და გავრცელების მნიშვნელობა ხდება სახელმწიფოს მთლიანობის, ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის გადამწყვეტი მომენტი.

ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკა

ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკის განვითარების ისტორია შეიძლება გავყოთ ორ პერიოდად.

პირველი პერიოდი 1975 წლიდან 1988 წლამდე, როცა თანასაზოგადოების პოლიტიკა ბაზირებდა წევრი-ქვეყნების რეგიონალური პოლიტიკის კვოტების სისტემაზე ერთობლივი ფინანსირებით. მიუხედავად მიღებული ვალდებულებისა რეგიონალური პოლიტიკის გატარებაზე, რომელიც დაფიქსირებული იყო რომის მოლაპარაკებით, პირველი სპეციფიკური ინსტრუმენტი რეგიონალური პოლიტიკის - რეგიონალური განვითარების ევროპული ფონდი - შექმნილი იქნა მხოლოდ 1975 წელს, გაერთიანებული სამეფოსა და დანიის თანასაზოგადოებასთან შეერთების შემდეგ.

80- წლების ბოლომდე ევროკავშირის ასიგნირება რეგიონალური პოლიტიკის ფარგლებში გამოიყენებოდა წესებისა და რეგიონების ფინანსირებისათვის, რომელიც განსაზღვრული იყო ნაციონალური ხელისუფლებით. ევროპული ინტეგრაციის ზრდასთან ერთად - ერთიანი ევროპული კანონის მიღებით და თანასაზოგადოებასთან ესპანეთისა პორტუგალიის მიერთებით - გაიზარდა მოთხოვნა მეტად აქტიური და სწრფად ორდინირებულ მოქმედებებზე, რომელიც მიმართული იქნა რეგიონალური ართანასწორობის ლიკვიდაციისაკენ. ამასთან დაკავშირებით 1988 წელს გატარებული იქნა ძირეული რეფორმა თანასაზოგადოების რეგიონალური პოლიტიკისა, რომელიც ფაქტიურად დასაწყისი გახდა დამოუკიდებელი და ეფექტური რეგიონალური პოლიტიკის გატარებისა ეროკავშირის დონეზე.

რეფორმა ითვალისწინებდა ,,სტრუქტურული პოლიტიკის ინსტრუმენტების'' შემადგენლობის მეთოდების მთლიან გადახედვას ევროკავშირის ქვეყნების მიერ, რომელიც მიმართული იყო რეგიონალური განვითარებისაკენ, დაკავებულობის უზრუნველყოფასთან, სწავლის და აგრეთვე სოფლის მეურნეობის რაიონების განვითარებისაკენ. ამან ასევე მიიყვანა სტრუქტურული ფონდის ბიუჯეტური ასიგნირების მნიშვნელოვან მომატებასთან, რომელიც გაიზარდა ორჯერ 1987 წლიდა 1993 წლამდე პერიოდში. Maastrisht Treaty-ის მოლაპარაკება, რომელიც წინ უსწრებდა

ეკონომიკური კავშირისა და ერთიანი ფულადი სისტემის შექმნას, 1993 წელს მიღებული იქნა ევროკავშირის რეგიონალური პოლიტიკის ახლებურად გადახედვა, ორი სკანდინვიური სახელმწიფოს (შვედეთი და ფინეთი) მოთხოვნილებებთან დასაახლოვებლად, რომლებიც ევროკავშირს შეუერთდნენ და უზრუნველყოფდნენ თევზჭერაზე მთლიან თანადგომას. ბიუჯეტური რესურსები კვლავ იქნა გაზრდილი. 90-იანი წლების ბოლოს ევროკავშირის ,,სტრუქტურული''მოღვაწეობის წილზე მოდიოდა 35% მეტი, გასავლები დახლოებით 27,4 მლრდ. ეკიუ 1999წელს -შედარებით 1987 წელთან 7 მლრდ. ეკიუ, ან ბიჯეტის 19%.

რეგიონალური პოლიტიკის მიზნები და პრინციპები

1957 წლის რომის მოლაპარაკების დროიდან ევროკავშირი მიისწრაფვის რეგიონალური უთანასწორების შემცირებისაკენ. ეს მიზანი, რომელიც დადასტურებულია ევროკავშირის შექმნის შესახებ მოლაპარაკებაში, ხელმოწერილი Maastrisht -ში 1991 წელს მოიცავს უთასაწორობის შემცირებას უფრო მეტად განვითარებული და უფრო მეტად ჩამორჩენილი რეგიონების განვითარების დონის მიხედვით.

განვლილი 25 წლის მანძილზე ევროკავშირის მიერ გატარებული რეგიონალური პოლიტიკის მიზანმიმართებამ მიიღო დადასტურება: სოციალური თანასწორობა - დიდი ბზარის მიუღებლობა შემოსავლებისა და დაკავებულობის ამოსავალი წერტილის მიხედვით; პროდუქტიულობა - ევროკავშირის შესაძლებლობა მიმართოს დახმარება ნაკლებად განვითარებული რაიონებისაკენ, მიიზიდოს ამგვარად რესურსები, რომლებიც ადრე რჩებოდნენ გამოუყენებლად; ეფექტურობა - ევროკავშირის როლი პოლიტიკის კოორდინირებაში, რომელიც ტარდება ევროკავშირისა და წევრი ქვეყნების მიერ რეგიონალური განვითარების ინტერესებით; აგრეთვე ევროინტეგრაციის ინტერესები - რომლებიც წყვეტენ შესაძლებლობას იმისას, რომ რეგიონალური ან სოციალური უთანასწორობა საფრთხის ქვეშ აყენებს ევროპის ინტეგრაციის მომავალი განვითარების პროცესებს. 80-იანი წლების შუაწლებიდან დაწყებული ეს აქცენტი ევროპული ინტეგრაციის ინტერესებში გატარებული პოლიტიკის შემეცნების ხარისხში გახდა განსაკუთრებით თვალნათელი. იგი დადასტურებულად განისაზღვრებოდა, როგორც შემოსავლების მაღალი დონის ეკონომიკური უზრუნველყოფა, კონკურენტუნარიანობა და დაკავებულობა, აგრეთვე სოციალური სოლიდარობა, რომელიც მიღწეული იქნა უთანასწორობის დაწევის გზით, დაკავების უზრუნველყოფის გეგმით, სიღარიბის ლივიდაციის სოციალური შესაძლებლობებით (სეს1996).

სტრუქტურული ფონდების რეფორმების შემდეგ 1988 წელს, მისი მოღვაწეობა ბაზირებული იქნა რამდენიმე საკვანძო პრინციპებით:

-რესურსების კონცენტრაცია მეტნაკლებად საჭიროების მქონე რეგიონებსა და რეგიონის ჯგუფებს შორის - განსაკუთრებით რეგიონებში, რომლებიც მიეკუთვნებიან ე.წ. მიზან 1 (სტრუქტურულად ჩამორჩენილი რეგიონები). აქვე შედის ის რეგიონები, რომლებიც მიეკუთვნებიან მიზან 2 (რომლებზეც მოდის დაცემის პირას მყოფი სამრეწველო რეგიონები), მიზანი 5 ბ (სოფლის რაიონები)ან მიზანი 6 (მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვის მქონე რაიონები);

-ფინანსირება განიხილება, როგორც დიდხნიანი სწრაფად მოქმედი პროგრამა და არა, როგორც ერთჯერადი პროექტი;

-პოლიტიკა ხორციელდება ურთიერთობის პარტნიორობის განხორციელების მიზნით ევროპის კომისიასა, ნაციონალურ ხელიუფლებასა და რეგიონული მმართველობის მიერ.

-დაბოლოების პრინციპი, როცა ევროკავშირის დონეზე ფინანსირება აბოლოებს და არ ცვლის რეურსებს, რომლებიც ასიგნირებულები არიან ამ მიზნით ნაციონალურ დონეზე.

-სუბსიდიარების პრინციპი, რომლის დროსაც რესურსების მართვა ხორციელედება ყველაზე დაბალ, სიტუაციაზე დამოკიდებულ ადმინისტრაციულ - რეგიონალურ, ნაციონალურ ან ევროპულ დონეზე. გარდა ამისა მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა კონტროლსა და შეფასებას, რომელიც საშუალებას იძლევა ფონდების ეფექური გამოყენების უზრუნველყოფას

თემა 15

საქართველოს ინტეგრაცია ევროკავშირში

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობა 1992 წელს დაიწყო, როგორც კი საქართველომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დამოუკიდებლობა აღადგინა. ევროკავშირი ერთ–ერთი პირველი იყო, ვინც საქართველოს გარდამავალი პერიოდის მძიმე წლებში დაეხმარა. 1995 წელს თბილისში ევროკომისიამ წარმომადგენლობა (დელეგაცია) გახსნა. ევროკავშირთან საქართველოს ურთიერთობა უფრო ინტენსიური 2003 წლის ვარდების რევოლუციის შემდეგ გახდა, როდესაც ევროკავშირმა კიდევ ერთხელ დაადასტურა საქართველოში მიმდინარე ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური რეფორმების მხარდაჭერა.

2014 წლის ივნისში ასოცირების შესახებ შეთანხმების ხელმოწერით ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობები ხარისხობრივად სრულიად ახალი ეტაპზე გადავიდა. ასოცირების შესახებ შეთანხმება და მასში შემავალი ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA) ითვალისწინებენ ევროკავშირთან მoმავალი პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის შესაძლებლობას, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელოვნად გაღრმავებას, საქართველოს დაახლოებას ევროპასთან.

ევროკავშირი და საქართველო ასევე შეთანხმდნენ ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების დღის წესრიგზე, რომელიც განსაზღვრავს განვითარების პრიორიტეტებს 2014-2016 წწ. პერიოდში, ასოცირების შესახებ შეთანხმების/ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის განხორციელების გათვალისწინებით. ასოცირების დღის წესრიგი დაეხმარება საქართველოს სრულად ისარგებლოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით, რომლის წინასწარი ნაწილობრივი ამოქმედება (განსაკუთრებით მისი სავაჭრო ნაწილის) 2014 წლის 1 სექტემბერისათვის უკვე დაიწყო. წინასწარი ნაწილობრივი ამოქმედება მისი ევროკავშირის 28 წევრი სახელმწიფოს ეროვნული პარლამენტების მიერ რატიფიცირების პროცედურების დასრულებამდე შეთანხმების უმეტესი ნაწილის ამოქმედების საშუალებას იძლევა.

მოლაპარაკებები ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის ჩათვლით, ოფიციალურად დაიწყო ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის

საკითხებში / ევროკომისიის ვიცე პრეზიდენტმა ქეთრინ ეშტონმა ბათუმში, 2010 წლის 15 ივლისს; ისინი დასრულდა 2013 წლის 22 ივლისს. ასოცირების შესახებ შეთანხმების პარაფირება მოხდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტზე 2013 წლის ნოემბერში, მას ხელი მოეწერა ბრიუსელში 2014 წლის 27 ივნისს, ხოლო 2014 წლის 18 ივლისს მოხდა მისი რატიფიკაცია საქართველოს პარლამენტის მიერ.

საქართველო - ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება ევროკავშირის "ევროპის სამეზობლო პოლიტიკის" (ENP)შედეგია, რომელიც 2004 წელს დაიწყო და რომლის მიზანი იყო გაფართოებული ევროკავშირისა და მისი მეზობლების დაახლოება და ყველა ჩართულ მხარეში კეთილდღეობის, სტაბილურობისა და უსაფრთხოების ხელშეწყობა. მან ხელი შეუწყო კავშირების ჩამოყალიბებას თანამშრომლობის ახალ სფეროებში და საქართველოს მიზანს, მიეღწია მეტი დაახლოებისათვის ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ სტრუქტურებთან.

2009 წლის გაზაფხულზე უფრო ღრმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის წამოწყებით, რომელშიც საქართველოს გარდა ასევე მონაწილეობდნენ სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდოვა და უკრაინა, ევროკავშირმა ხაზი გაუსვა ამ რეგიონის მნიშვნელობას და იმ პრივილეგირებულ ურთიერთობებს, რომლებსაც ის სთავაზობდა რეგიონის ქვეყნებს.

2005 წლის დეკემბერში ევროკავშირმა საქარველოს მიანიჭა პრეფერენციების ზოგადი სისტემით (GSP+) სარგებლობის უფლება. ეს უფლება 2008 წელს გაგრძელდა და ის გაგრძელდება გარდამავალ პერიოდში DCFTA-ს ძალაში შესვლიდან ორი წლის განმავლობაში . GSP+ ითვალისწინებს საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული საქონლის საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლებას და ტარიფების ცალმხრივად შემცირებას.

1990–იანი წლების დასაწყისიდან მოყოლებული, ევროკავშირი ეხმარება საქართველოს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში მომხდარი კონფლიქტების შედეგების აღმოფხვრაში და ის განაგრძობს ამ რეგიონებში პროექტების მხარდაჭერას 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ. ის ასევე მნიშნელოვნად უწყობს ხელს საქართველოს ძალისხმევებს მრავალი დევნილის სასიცოცხლო პირობების გაუმჯობესების მიმართულებით.

2003 წლის ივლისიდან მოყოლებული, ევროკავშირი ნიშნავს ევროკავშირის სპეციალურ წარმომადგენელს სამხრეთ კავკასიაში (2011 წლიდან - ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენელი სამხრეთ კავკასიაში და საქართველოში კრიზისის საკითხებში link). ეს არის მაჩვენებელი ევროკავშირის მზადყოფნისა, აქტიურად შეუწყოს ხელი კონფლიქტების მშვიდობიან მოგვარებას და ნდობის აღდგენის

ძალისხმევებს სამხრეთ კავკასიაში, და ამავდროულად კიდევ ერთხელ ადასტურებს ევროკავშირის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობას და სუვერენიტეტის მხარდაჭერას. სამოქალაქო ევროკავშირის მონიტორინგის მისია (EUMM) საქართველოში 2008 წლის ოქტომბერში ამოქმედდა, ევროკავშირის შუამავლობით მიღწეული ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესაბამისად, რომელმაც დაასრულა აგვისტოს ომი. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატი გულისხმობს ამ შეთანხმებების მონიტორინგს, კერძოდ სეპარატისტულ რეგიონების ადმინისტრაციული საზღვრის მიმდებარე ტერიტორიების პატრულირებას.

ევროკავშირმა და საქართველომ ხელი მოაწერეს შეთანმხებას პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ (PCA), რომელიც ძალაში შევიდა 1999 წლის 1 ივლისს. შეთანხმება ევროკავშირსა და საქართველოს შორის შორის თანამშრომლობის ყველა ასპექტს მოიცავს პოლიტიკური თანამშრომლობის, ვაჭრობის, ადამიანის უფლებების, დემოკრატიის, მეცნიერების და ტექნოლოგიის, განათლების, საბაჟოს, კორუფციის წინააღმეგ ბრძოლის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ტელეკომუნიკაციების, გარემოს დაცვის და კულტურის ჩათვლით.

პრაქტიკული თვალსაზრისით პარტნიორობის და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება ნიშნავს:

- ყოველწლიურ შეხვედრებს ევროკავშირსა და საქართველოს შორის მინისტრების, პარლამენტების და სახელმწიფო მოხელეების დონეზე
- ევროკავშირის კომპანიები, რომლებიც საქართველოში ინვესტირებას ახდენენ ისეთივე პირობებით ისარგებლებენ, როგორითაც სარგებლობენ ქართული თუ ნებისმიერი მესამე სახელმწიფოს კომპანიები (რომელი პირობებიც უკეთესია). ასევე, ნებისმიერი ქართული კომპანია, რომელიც ინვესტირებას ახდენს ევროკავშირში, ისეთივე პირობებით ისარგებლებს, როგორითაც ევროპული კომპანიები სარგებლობენ.
- სავაჭრო კვოტების გაუქმება და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი საზღვრებზე
- ევროკავშირიდან ან/და საქართველოდან ლეგალურად დასაქმებულებმა არადისკრიმინაციული სამუშაო პირობებით უნდა ისარგებლონ
- საქართველოს და ევროკავშირის მთავრობებმა ხელი არ უნდა შეუშალონ მიმდინარე გადახდას საქონლისა და მომსახურებისთვის; მთავრობებმა არ უნდა მოახდინონ კაპიტალის პირდაპირი მოძრაობის დაბლოკვა ევროკავშირიდან საქართველოში და პირიქით

- ინტელექტუალური საკუთრების მფლობელები საქართველოსა და ევროკავშირში ხუთ წელიწადში თავიანთი უფლებების თანაბარ სამართლებრივ დაცვას უნდა მოელოდნენ

არტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA) მისი განხორციელებისა და მონიტორინგისთვის აწესებს ჩარჩოს, რომელიც დღეისათვის შემდეგი ინსტიტუციებისგან შედგება:

თანამშრომლობის საბჭო

თანამშრომლობის საბჭო წელიწადში ერთხელ იკრიბება. მისი ფუნქციაა პარტნიორობის და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების განხორციელებაზე ზედამხედველობა. ის, ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლების, ხოლო მეორეს მხრივ, ევროკავშირის საბჭოს და ევროკომისიის წევრებისთან შედგება. თანამშრომლობის საბჭოზე მხარეები განიხილავენ პარტნიორობის და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ფარგლებში წამოჭრილ საკითხებს, აგრთეთვე, ორმხრივი თუ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში წამოჭრილ ნებისმიერ სხვა საკითხებს, რომლებიც საერთო ინტერესის საგანია და პარტნიორობის და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების მიზნებს ემსახურება.

თანამშრომლობის კომიტეტი

თანამშრომლობის კომიტეტი წელიწადში ერთხელ იკრიბება მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების დონეზე. ის ამზადებს თანამშრომლობის საბჭოს სხდომებს და უზრუნველყოფს, რომ შეხვედრებს შორის უწყვეტი პროცესი მიმდინარეობდეს. ამასთან, თანამშრომლობის კომიტეტს შეიძლება თანამშრომლობის საბჭომ მიანიჭოს ნებისმიერი უფლებამოსილება. თანამშრომლობის კომიტეტი წელიწადში ერთხელ იმართება. ის შემდეგ ქვეკომიტეტებს მოიცავს:

- ტრანსპორტის, გარემოს დაცვის და ენერგეტიკის
- დასაქმების და სოციალური საკითხების, საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ტრეინიგის, განათლების და ახალგაზრდობის, კულტურის, საინფორმაციო საზოგადოების და აუდიოვიზუალური პოლიტიკის და მეცნიერების და ტექნოლოგიების
- ვაჭრობის, ეკონომიკის და მასთან დაკავშირებული სამართლებრივი საკითხების
- სამართლის, თავისუფლების და უსაფრთხოების

საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი

საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი შედგება საქართველოს პარლამენტის და ევროპარლამენტის წევრებისგან. ეს არის პლატფორმა პოლიტიკური დიალოგისთვის ევროკავშირის და საქართველოს პარლამენტარებს შორის.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის სამართლებრივი ურთიერთობები კვლავპარტნიორობის და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებით. რეგულირდება: ევროკავშირის მიერ ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებისთვის შეთავაზებული სხვა შეთანხმებების მსგავსად, პარტნიორობის და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება საქართველოსთან გვთავაზობს პოლიტიკური დიალოგის ჩარჩოს; ის განსაზღვრავს ძირითად საერთო ამოცანებს ვაჭრობის და ინვესტირების, მდგრადი განვითარების, ეკონომიკური, სოციალური, ფინანსური, სამოქალაქო, სამეცნიერო, ტექნოლოგიურ და კულტურულ თანამშრომლობას, სამართლებრივ დაახლოებასა და საქართველოს ძალისხმევის მხარდაჭერას, განამტკიცოს დემოკრატია და განავითაროს ეკონომიკა. შესაძლებელია პარტნიორობის და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების ყოველწლიურად განახლება.

2009 წლის გაზაფხულზე ევროკავშირმა წამოაყენა აღმოსავლეთ პარტნიორობისინიციატივა, რომლის მიზანი იყო საქართველოში, ისევე როგორც აზერბაიჯანში, ბელარუსში, მოლდოვაში, სომხეთსა და უკრაინაში, პოლიტიკური და სოციალურ–ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერა. აღმოსავლეთ პარტნიორობა გულისხმობს უფრო მტკიცე პოლიტიკურ თანამშრომლობას ევროკავშირთან, კერძოდ, მთელი რიგი ახალი ასოცირებული შეთანმხებების ხელმოწერის პერსპექტივას და ევროკავშირის ეკონომიკაში ინტეგრირებას ღრმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანმხმებების საშუალებით.

მთელი რიგი სხვა შეთანმხებების გასაცნობად იხ.: ევროკავშირის შეთანხმებები საქართველოსთან

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების პოლიტიკური საფუძველიევროპის სამეზობლო პოლიტიკაა (ENP). მხარეებს შორის პოლიტიკური დიალოგი რეგულარულად იმართება თანამშრომლობის საბჭოების, მინისტრების და პოლიტიკური დირექტორების შეხვედრების დონეზე. ევროპის სამეზობლო პოლიტიკა ევროკავშირმა 2004 წლის გაფართოების შემდეგ შექმნა იმისთვის, რომ მის ახლო მეზობლებს არ ჰქონოდათ ევროკავშირისგან დისტანცირების შეგძნება, განსაკუთრებით აღმოსავლეთ საზღვარზე.

დღეს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამუშაო და წარმმართველი მექანიზმი მხარეებს შორისა შეთანმებული ,,ევროკავშირი–საქართველოს სამოქმედო გეგმაა". ეს გეგმა განსაზღვრავს ქვეყანაში გასატარებელი რეფორმების პრიორიტეტებს შემდეგ ძირითად სფეროებში: პოლიტიკური დიალოგი და რეფორმა; დემოკრატიის და კარგი მმართველობის გაძლიერება; სამართალი, თავისუფლება და უსაფრთხოება; კონფლიქტების პრევენცია, ვაჭრობა და ის ზომები, რომლებიც მოამზადებს პარტნიორ ქვეყანას ევროკავშირის შიდა ბაზარზე თადათანობით შესასვლელად; ენეგრეტიკა,

ტრანსპორტი, ტელეკომუნიკაციები, გარემოს დაცვა და კვლევა; არალეგალურ მიგრაციასთან ბრძოლა; სოციალური პოლიტიკა და ადამიანთა შორის კონტაქტები.

ხუთწლიანი სამოქმედო გეგმა 2006 წლის 14 ნოემბერს იყო მიღებული. 2007 წლის შემდეგ სამოქმედო გეგმის განხორციელების შესახებ ევროკავშირმა ორი შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა (შუალედური ანგარიშების შესახებ დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ევროპის სამეზობლო პოლიტიკა–საქართველო).

აღმოსავლეთ პარტნიორებისთვის ევროპის სამეზობლო პოლიტიკის უკეთ მისადაგების აუცილებლობიდან გამომდინარე ევროკაშირმა მთელი რიგი დამატებითი პოლიტიკური ინიციატივა წამოაყენა:

აღმოსავლეთ პარტნიორობა არის **ევროპის სამეზობლო პოლიტიკის** აღმოსავლეთის განმზომილება. ამ ინიციატივის შესახებ პირველად 2009 წლის 7 მაისს, პრაღაში, ევროპის აღმოსავლეთ სამეზობლოს სამიტზე გაცხადდა. ევროპის აღმოსავლეთ სამეზობლოში ევროკავშირის 27 წევრი სახელმწიფო, აზერბაიჯანი, ბელარუსი (ევროკავშირთან მისი ურთიერთობების განვითარებიდან გამომდინარე), მოლდოვის რესპუბლიკა, საქართველო, სომხეთი, უკრაინა მონაწილეობენ.

მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ პარტნიორს ევროკავშირთან ურთიერთობის განსხვავებული მიზანი შეიძლება ჰქონდეს, ყველა მათგანი უფრო მჭიდრო ურთიერთობის დამყარებას ცდილობს. აღმოსავლეთ პარტნიორობა არის ევროკავშირის პასუხი აღმოსავლეთ სამეზობლოს ქვეყნებში არსებულ გამოწვევებსა და სურვილებზე.

ევროკავშირი თავის პარტნიორებს სთავაზობს: ასოცირების შესახებ ახალ შეთანხმებებს, იმ ქვეყნებთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი შეთანხმებების ხელმოწერის ჩათვლით, რომლებსაც აქვთ სურვილი და შესაძლებლობა, უფრო მეტად დაუახლოვდნენ ევროკავშირს; თანდათანობითი ინტეგრირება ევროკავშირის ეკონომიკაში და გამარტივებული მიმოსვლა სავიზო სისტემის თანდათანობითი ლიბერალიზების გზით, რასაც თან უნდა ახლდეს ზომების მიღება არალეგალური მიგრაციის წინააღმდეგ. აღმოსავლეთ პარტნიორობა ხელს შეუწყობს, ასევე, დემოკრატიის და კარგი მმართველობის დამკვიდრებას, განამტკიცებს ენერგოუსაფრთხოებას, ხელს შეუწყობს სექტორულ რეფორმებს და გარემოს დაცვას, ხელს შეუწყობს ადამიანებს შორის კონტაქტების განმტკიცებას, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას, დამატებითი ფინანსური დახმარების გამოყოფას იმ პროექტებისთვის, რომლებიც შეამცირებს სოციალურ და ეკონომიკურ უთანასწორობას და განამტკიცებს სტაბილურობას.

აღმოსავლეთ პარტნიორობა სთავაზობს მის წევრებს უფრო ინტენსიურ თანამშრომლობაზე მიმართული ორმხრივი და მრავალმხრივი ღონისძიებების გატარებას. პარტნიორი ქვეყნები დაუახლოვდებიან ევროკავშირს ინდივიდუალური შესაძლებლობის მიხედვით და იმ ვადებში, რაც მათ შეუძლიათ; პარტნიორი ქვეყნები ითანამშრომლებენ ევროკავშირთან დაკავშირებულ საკითხებზე, გაუზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას და თანამშრომლობის წარმატებულ მაგალითებს.

ევროკავშირს სურს გააძლიეროს თანამშრომლობა შავი ზღვის აუზის და მის მიმდებარე ქვეყნებს შორის. ამ თანამშრომლობის მიზანია: დემოკრატიული და ეკონომიკური რეფორმების სტიმულირება, სტაბილურობის მხარდაჭერა და განვითარების ხელშეწყობა, საერთო ინტერესის სფეროში შემავალი პრაქტიკული პროექტების მხარდაჭერა, შესაძლებლობების და გამოწვევების მხარდაჭერა რეგიონის კონტექსტში კოორდინირებული მოქმედებით და რეგიონში კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების ხელშემწყობი გარემოს შექმნა.

ევროკავშირმა შეიმუშავა პროგრამა სახელწოდებით ,,შავი ზღვის სინერგია“, რომელიც შედგება ტრანსპორტის, ენერგეტიკის, გარემოს დაცვის, საზღვაო მართვის, თევზჭერის, მიგრაციის, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის, საინფორმაციო საზოგადოების და კულტურული თანამშრომლობის რამდენიმე კონკრეტული ინიციატივისაგან. ევროკავშირმა შეიმუშავა თანამშრომლობის ტრანსსასაზღვრო პროგრამა, რომელიც გულისხმობს შავი ზღვის ქვეყნების ადგილობრივი ხელისუფლებების და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობას.

ფაქტები და თარიღები

1992 წელს ევროგაერთიანებამ საქართველო დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ცნო და დაიწყო მასთან აქტიური თანამშრომლობა.

1994 წლიდან საქართველომ დაიწყო ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმებაზე მუშაობა (PCA). ამ შეთანხმებამ, რომელიც ლუქსემბურგში 1996 წლის 22 აპრილს იქნა ხელმოწერილი, განსაზღვრა ის ძირითადი ჩარჩო, რომლის მიხედვითაც უნდა განვითარებულიყო საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობები. აღნიშნულ ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლებმა, ევროკომისიისა და საქართველოს პრეზიდენტებმა. ხელშეკრულება ძალაში შევიდა 1999 წელს.

1995 წლიდან საქართველო სარგებლობს ევროკავშირის სავაჭრო პრეფერენციათა განზოგადებული სისტემით (GSP).

1997 წლის 1 სექტემბრიდან, საქართველოს პარლამენტის დადგენილების შესაბამისად, საქართველომ დაიწყო ქვეყნის კანონმდებლობის ჰარმონიზაცია ევროკავშირის კანონმდებლობასთან.

2003 წლის 7 ივლისს ევროკავშირმა სამხრეთ კავკასიის რეგიონში თავისი სპეციალური წარმომადგენელი (EU Special Representative for the South Caucasus) დანიშნა, რითაც კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ამ რეგიონის ქვეყნებისადმი თავის ინტერესს.

2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირის (მინისტრთა) საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში ჩართვის შესახებ. ამის შემდეგ საქართველოს ევროკავშირთან ურთიერთობები ახალ ფაზაში შევიდა და კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი მიიღო.

2005 წელს, საქართველოს სამი წლის ვადით მიენიჭა ევროკავშირის პრეფერენციების განახლებული გენერალიზებული სისტემის (GSP+ სავაჭრო რეჟიმი) შეღავათები მდგრადი განვითარებისა და ეფექტიანი მმართველობისათვის.

2006 წლის ნოემბერში საქართველოს მთავრობასა და ევროკომისიას შორის დასრულდა საქართველო–ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის შეთანხმება, რომელიც ხელს უწყობს თანამშრომლობის სტრატეგიული მიზნებისა და შესაბამისი პოლიტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების განხორციელებას. სამოქმედო გეგმა 2006 წლის 14 ნოემბერს იქნა მიღებული.

ევროკავშირმა ამერიკელ პარტნიორებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა რუსეთ–საქართველოს ომის შეჩერებაში. ევროკავშირის შუამავლობით ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის ე.წ. ექვსპუნქტიან შეთანხმებას საქართველოს მიმართ რუსეთის აგრესიასთან დაკავშირებით. 2008 წლის 1 სექტემბერს საფრანგეთის ინიციატივით გაიმართა ევროკავშირის საგანგებო სამიტი, სადაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების ლიდერებმა მკაცრად დაგმეს რუსეთის მიერ საქართველოს რეგიონების დამოუკიდებელ ქვეყნებად აღიარება და სხვა ქვეყნებს მოუწოდეს არ მიიღონ ანალოგიური გადაწყვეტილება.

2008 წლის 15 სექტემბერს, ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრებმა მიიღეს გადაწყვეტილება ევროკავშირის მონიტორინგის მისიის (EUMM) შექმნის თაობაზე, რომლის ამოცანაა ექვსპუნქტიანი შეთანხმების შესრულების პროცესზე დაკვირვება. აღნიშნულმა მისიამ საქმიანობა 2008 წლის 1 ოქტომბერს დაიწყო.

2008 წლის 25 სექტემბრის ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა საქართველოში კრიზისისთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის პოსტი.

2008 წლის 15 ოქტომბერს დაიწყო ე.წ. ჟენევის მოლაპარაკებები ევროკავშირის, ეუთო-ს, გაერო-ს, აშშ-ს, საქართველოსა და რუსეთის წარმომადგენლების მონაწილეობით. მოლაპარაკებების ძირითად საკითხებს წარმოადგენს სტაბილურობა

და უსაფრთხოება რეგიონში, დევნილთა დაბრუნება საერთაშორისოდ აღიარებული პრინციპების საფუძველზე.

2008 წლის 22 ოქტომბერს, ქ. ბრიუსელში ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით გაიმართა დონორთა კონფერენცია, რომელზეც საქართველოსთვის პარტნიორი ქვეყნებისა და საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილმა დახმარებამ 2008-2010 წლებისთვის 4.5 მილიარდი დოლარი შეადგინა.

2008 წელს, ევროკავშირმა საქართველოს სამი წლის ვადით (2009-2011) გაუგრძელა პრეფერენციათა გენერალიზებული სისტემა ეფექტური მმართველობისა და მდგრადი განვითარებისათვის (GSP+).

2008 წლის 3 დეკემბერს გამოქვეყნდა ევროკომისიის კომუნიკე "აღმოსავლეთ პარტნიორობის" შესახებ. "აღმოსავლეთ პარტნიორობა" (Eastern Partnership) ევროკავშირის აღმოსავლეთ მეზობელ ქვეყნებთან (უკრაინა, მოლდოვა, საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, ბელარუსი) თანამშრომლობის თვისობრივად ახალი ფორმაა (დაწვრილებითი იხ. აღმოსავლეთ პარტნიორობის რუბრიკა).

2009 წლის 7 მაისს, ქ. პრაღაში, გაიმართა "აღმოსავლეთ პარტნიორობის" სამიტი.

2009 წლის 30 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა "პარტნიორობა მობილურობისათვის" ერთობლივ დეკლარაციას.

2010 წლის 16 თებერვალს ოფიციალურად დაიწყო „პარტნიორობა მობილურობისათვის" ფარგლებში საქართველო-ევროკავშირს შორის თანამშრომლობა.

2010 წლის 10 მაისს, ბრიუსელში, ზოგად საკითხთა საბჭომ (General Affairs Council) დაამტკიცა ევროკომისიის მიერ წარდგენილი მანდატი საქართველოსთან ასოცირების შესახებ ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებასთან დაკავშირებით.

2010 წლის 17 ივნისს ხელი მოეწერა ,,საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ" შეთანხმებას.

2010 წლის 15 ივლისს დაიწყო ასოცირების შესახებ შეთანხმებაზე მოლაპარაკებები, რომლის ნაწილიცაა "ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე შეთანხმება " (DCFTA).

2010 წლის 22 ნოემბერს ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა „ევროკავშირსა და საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ" შეთანხმებას.

2010 წლის 2 დეკემბერს ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა „საქართველოს და ევროკავშირსა და მის წევრ სახელმწიფოებს შორის ერთიანი საავიაციო სივრცის შესახებ” შეთანხმებას.

2011 წლის 1 მარტს ძალაში შევიდა ,,საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ" და „ევროკავშირსა და

საქართველოს შორის უნებართვოდ მცხოვრებ პირთა რეადმისიის შესახებ" შეთანხმებები.

2011 წლის 3 მაისს ქ. ბრიუსელში გაიმართა საგანგებო სხდომა, რომელზეც ოფიციალურად დაფუძნდა „ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა".

2011 წლის 14 ივლისს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის „სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სხვა საკვები პროდუქტების გეოგრაფიული დასახელების ურთიერთდაცვისა და აღიარების შესახებ" ხელშეკრულებას, რომელიც 2012 წლის 1 აპრილიდან შევიდა ძალაში.

2011 წლის 25 აგვისტოს ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით გაერთიანდა სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლისა და საქართველოში კრიზისისთვის ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობები და მათ ნაცვლად შეიქმნა სამხრეთ კავკასიასა და საქართველოში კრიზისის საკითხებში ევროკავშირის სპეციალური წარმომადგენლის თანამდებობა. ამ პოზიციაზე დაინიშნა ფილიპ ლეფორი.

2011 წლის 29-30 სექტემბერს, ქ. ვარშავაში გაიმართა "აღმოსავლეთ პარტნიორობის" მეორე სამიტი.

2012 წლის 28 თებერვალს ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე (DCFTA).

2012 წლის 4 ივნისს გაიხსნა საქართველო-ევროკავშირის დიალოგი უვიზო მიმოსვლის შესახებ.

2012 წლის 23 ივლისს "აღმოსავლეთ პარტნიორობის" მონაწილე ქვეყნების მინისტრთა შეხვედრაზე მიღებული იქნა 2012-13 წლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა საგზაო რუკა.

2013 წლის 22 ივლისს დასრულდა მოლაპარაკებები საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კომპონენტზე.

2013 წლის 22 ნოემბერს ევროკომისიამ და ევროკავშირის წევრმა სახელმწიფოებმა აღიარეს საქართველოს მეზღვაურების ტრენინგებისა და კომპეტენციის დამადასტურებელი სერტიფიკატები. შედეგად, ქართველ მეზღვაურებს მიეცათ უფლება და შესაძლებლობა, რომ დასაქმდნენ ევროკავშირის ქვეყნების დროშის ქვეშ მცურავ გემებზე.

2013 წლის 28-29 ნოემბერს, ქ. ვილნიუსში „აღმოსავლეთ პარტნიორობის" რიგით მესამე სამიტი გაიმართა.

2013 წლის 29 ნოემბერს „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ვილნიუსის სამიტზე ასოცირებისა და მისი კომპონენტის, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების პარაფირება მოხდა.

2013 წლის 29 ნოემბერს „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ვილნიუსის სამიტზე საქართველოს და ევროკავშირს შორის გაფორმდა შეთანხმება საქართველოს ევროკავშირის კრიზისის მართვის ოპერაციებში ჩართვის შესახებ. შეთანხმება საქართველოს აძლევს საშუალებას წვლილი შეიტანოს მსოფლიო უსაფრთხოებაში.

2014 წლის 26 ივნისს ევროკავშირმა და საქართველომ დაამტკიცეს ასოცირების დღის წესრიგი, რომელიც განსაზღვრავს ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტულ საკითხებს 2014-2016 წლებისთვის და ემსახურება ასოცირების შეთანხმების, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტის (DCFTA) ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობას. აღნიშნულმა დღის წესრიგმა ჩაანაცვლა ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა (ENP AP).

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა ასოცირების შესახებ შეთანხმებას ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის, რომელიც მიზნად ისახავს ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობის გაღრმავებას.

2014 წლის 18 ივლისს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად დაუჭირა მხარი ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიცირებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) კომპონენტის ჩათვლით.

2014 წლის 29 ივლისს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის ორმოცდამეცხრე სხდომაზე დამტკიცდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა და ასევე, საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტის განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა.

2014 წლის 26 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ერთის მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორეს მხრივ, საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2014 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა.

2014 წლის 1 სექტემბერს დაიწყო ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების დროებითი ამოქმედება, რაც გულისხმობს ასოცირების შესახებ

შეთანხმების დაახლოებით 80%-ის ძალაში შესვლას ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) კომპონენტის ჩათვლით. აღნიშნული პროცესი გაგრძელდება ევროპარლამენტისა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეროვნული საკანონმდებლო ორგანოების მიერ ასოცირების შესახებ შეთანხმების რატიფიკაციის დასრულებამდე.